პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
28 იანვარი **ორშაბათი** 2013 **№021 (13 937)** ფასი 80 თეთრი

# მეშვიდე ცდაზე, მეშვიდე ცაზე

## შსს აკადემია საქართველოს თასის მფლობელია

12



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# ივანაუსკასმა დილა და გოგუა ნახა





4

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები



2

საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა პირველი შესარჩევი ეტაპი წარმატებით დაძლია

# ელიტაში ვართ!



# თურქეთისკენ?

## მეგაშეთავაზება მანუს ლომები იხმობენ

იტალიურმა გამოცემა „სპორტანდომ" გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის თანახმად დიდია ალბათობა, რომ საქართველოს ნაკრების კალათბურთელი **მანუჩარ მარკოიშვილი** იტალიური „კანტუდან" თურქულ „გალათასარაიში" გადავიდეს. გაზეთ „ლა რეპუბლიკაში" ზუსტი თანხა დაკონკრეტებული არ არის, მაგრამ ნათქვამია, რომ მარკოიშვილმა მეგაშეთავაზება მიიღო.

„დეილიბასკეტი" კიდევ უფრო ჩაუღრმავდა საკითხს და შეგვახსენა, რომ „კანტუს" ერთ-ერთი ძლიერი სპონსორი გაურბის და ეს ტრანსფერი გუნდს თავის გატანისთვის სჭირდება. თავის მხრივ, „გალათასარაის" მსროლელი **დევიდ ჰოუკინსი** დოპინგტესტზე ჩავარდა და მანუჩარი სწორედ მის შემცვლელად მოიაზრება.

შეგახსენებთ, „ლომები" („გალათასარაის" მეტსახელი) თურქეთის ჩემპიონატის პარალელურად ევროთასზე ასპარეზობენ.

გუშინ მანუჩარის „კანტუმ" იტალიის ჩემპიონატში „რომას" უმასპინძლა და 60:65 დამარცხდა. ქართველმა უკანახაზელმა 26 წუთში 10 ქულა და თითო მოხსნა-პასი მიითვალა.

ვაჟა სიმონიშვილი

# ორი ნაცნობი










# და ერთი უცნობი

ევროთასების მიმოხილვა

5-8,10

ეროვნული ბიბლიოთეკა

U17

# მინსკიდან ქართველებმა კარი გაიჯახუნეს

## ზარანდია საუკეთესო თავდამსხმელია

**საქართველო-მოლდოვა 4:2**

1:0 ჩაბრაძე (18), 1:1 კატერი (27), 1:2 გოლუბტოვი (44), 2:2 რ. ჭანტურია (50), 3:2 ჩაბრაძე (57), 4:2 ზარანდია (63)

საქართველო: გოშაძე, ველიაშვილი, გელაშვილი, ტაბიძე, თევზაძე, მალანია (74. შულაია), ხარაიშვილი (49. რ. ჭანტურია), კერძევაძე (41. გოროზია), ბერიძე (66. რუხაძე), ზარანდია, ჩაბრაძე

მწვრთნელი: გ. დევდარიანი

მოლდოვა: ფრუნზა, ტრიფანი, გოლუბტოვი, ანდრიუხინი, სვინარენკო (64. სანდული), ვ. მარკიცკი, ა. მარკიცკი, გოლუბევი, ბოჟი, კატერი (57. გორბანი), ბეჟანი

მწვრთნელი: ნ. ბუნია

გაფრთხილება: ბერიძე, ბეჟანი

გაძევება: ბეჟანი (80+3)


ლუკა ზარანდია
ფოტო: gff-ის ფეისბუქის გვერდიდან

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა მინსკის საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც რვა გუნდი მონაწილეობდა, ბოლოსწინა, მეშვიდე ადგილი დაიკავა. **გიორგი დევდარიანის** გუნდმა დასკვნით მატჩში მოლდოვა 4:2 დაამარცხა.

ანგარიში **გრიგოლ ჩაბრაძემ** გახსნა, რომელსაც კარგი საგოლე გადაცემა გაუკეთა **გიორგი ბერიძემ**, ხოლო საგოლე შეტევა, მეკარე **ოთო გოშაძემ** წამოიწყო. ეს ჩაბრაძის პირველი გოლია 17-წლამდე ნაკრების შემადგენლობაში. მეორე ტაიმში ჩაბრაძემ **რომან ჭანტურიას** პასით გამოიჩინა თავი.

მოლდოველები შეხვედრის მსვლელობისას დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს. შეცვლაზე შესულმა რომან ჭანტურიამ თამაშში აშკარა გარდატეხა შეიტანა. მოედანზე შესვლიდან ერთ წუთში, მან ჯერ თავად გაიტანა, შემდეგ კი ჩაბრაძესაც გაატანინა. მეოთხე გოლი კი, **ლუკა ზარანდიას** ანგარიშზეა, რომელიც მატჩს წერტილი შედეგიანი სოლორეიდით დაუსვა.

ტურნირის გამარჯვებული ბელგიის ნაკრები გახდა, რომელმაც ფინალში თერთმეტმეტრიანების სერიით რუსეთს სძლია. ძირითადი დრო ფრედ, 0:0 დასრულდა. მესამე ადგილისთვის მატჩში უკრაინამ მასპინძელი ბელარუსი 2:0 დაამარცხა.

ქართველებმა გუნდური ვერა, მაგრამ ერთი ინდივიდუალური ჯილდო მაინც მოიპოვეს. ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელად ლუკა ზარანდია დაასახელეს, რომელსაც პრიზი ბელარუსის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გეორგი კონდრატიევმა** გადასცა.

ცნობისთვის, ტურნირის საუკეთესო მეკარე რუსი **ანტონ მიტრიუშკინი** გახდა, საუკეთესო მცველი - **ალექსანდრ პავლოვეცი** (ბელარუსი), საუკეთესო ნახევარმცველი - **ვიქტორ კოვალენკო** (უკრაინა). ტურნირის ბომბარდირი და საუკეთესო ფეხბურთელი კი ბელგიელი **ზაქარია ბაკალი** გახლავთ.

*„ძალიან მოულოდნელი პრიზი იყო. ჩემი გვარი რომ გამოაცხადეს, გაოცება სახეზე მეწერა... საპრიზო ადგილზე რომ ვერ გავედით, გვეგონა, ჩვენსკენ არავინ გამოიხედავდა. დიდი მადლობა ყველას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩვენთვის ელიტრაუნდისთვის მოსამზადებელი ტურნირი იყო, ბიჭები ძალიან გულდაწყვეტილები ვართ, რომ შედეგი ვერ ვაჩვენეთ. ამ ტურნირმა ბევრი რამ გვასწავლა და ჩვენი ბევრი შეცდომაც დაგვანახა. მთავარია, მარტისთვის ვიყოთ სათანადოდ მზად, რომ ავსტრიაში კარგი შედეგი ვაჩვენოთ და ჯგუფიდან გავიდეთ, მთავარი ესაა“,* - უთხრა ზარანდიამ სფფ-ის ვებგვერდს.

საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდისთვის მზადებას განაგრძობს და იმედი გვაქვს, იქ მინსკზე გაცილებით უკეთეს შედეგს აჩვენებს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, დევდარიანის გუნდს გერმანიის ნაკრებთან სპარინგი აქვს დაგეგმილი, 12 და 14 მარტს კი თბილისში შვედებს ამხანაგურად შეხვდება. შეგახსენებთ, ავსტრიაში გასამართ ელიტრაუნდში საქართველოს ნაკრების მეტოქეები სერბეთი, ირლანდია და მასპინძლები იქნებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დინამო

# მეორე მარცხი

## მილხრაუმი თბილისელებთან ვარჯიშობს

ანთალიურ შეკრებაზე თბილისის "დინამომ" 26 იანვარს მეორე საკონტროლო შეხვედრა პოლტავის "ვორსკლასთან" გამართა. სამწუხაროდ, **დუშან უჰრინის** გუნდი უკრაინის პრემიერლიგის კლუბთანაც დამარცხდა - 0:2.

სპარინგში არ მონაწილეობდნენ მეკარე **ლევან ტყეშელაშვილი**, აგრეთვე **ნიკა კვეკვესკირი, ჯაბა ჯიღაური, გიორგი რეხვიაშვილი** და **ჩისკო**.

გუნდის მთავარი მწვრთნელი **დიეგო მალანიას** დაემშვიდობა, **ემანუელ მენდის** კი კვლავ აკვირდება. ორი დღეა ვირუსის გამო, არ უვარჯიშია **ალექს რადოვანოვიჩს** – ის საწვრთნელ პროცესს გუშინ დაუბრუნდა.

"დინამოს" შეუერთდა და უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს **პატრიკ მილხრაუმი**. 28 წლის გერმანელი მცველი ბოლოს "ზესტაფონში" თამაშობდა და მიმდინარე სეზონში გუნდის ფორმა 17 მატჩში მოირგო. ხანგრძლივი კარიერის მანძილზე მილხრაუმს უთამაშია "კარლსრუეში", "აუეში", "ალემანიაში", "მიუნხენ 1860"–სა და "შტუტგარტ კიკერსში".

**"დინამო": ლორია - შაშიაშვილი, ხოჭოლავა, კვარაცხელია, გლიშიჩი - სეთურიძე, ალვარო, ხმალაძე, კოტო – მერებაშვილი, დვალი.**

**შეცვლაზე: ზარქუა, მენდი, გველესიანი, ხიზანეიშვილი, მილხრაუმი, ძარია, პაპავა, ტვილდიანი, დიასამიძე, ტატანაშვილი, შინდაგორიძე.**

**მერაბ მამულაშვილი**


ფოტო: www.fcdinamo.ge

ფუტსალი




# საქართველო ელიტ რაუნდში გავიდა

უეფა-ს ნორვეგიელი დელეგატი **კიმ რობინ ჰაუგენი** მართალი აღმოჩნდა, რომელმაც მოლდოვა-მალტას თამაშამდე ივარაუდა, რომ ჰოლანდიაში გასამართავი ელიტ რაუნდის საგზურს საქართველო მოიპოვებდა.

მალტაზე, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი ქართული ფუტსალისთვის ფეხბედნიერი აღმოჩნდა. სამგუნდიან ჯგუფში საქართველოს ნაკრებმა ასპარეზობა მეტოქეებზე ადრე დაასრულა. ჩვენებმა მასპინძელ მალტას 9:0 მოუგეს. მოლდოვასთან საქართველოს რომ მოეგო, ჯგუფის გამარჯვებული ვადამდე გახდებოდა. მაგრამ უმძიმეს შეხვედრაში ანგარიში მხოლოდ ბოლოს გაათანაბრეს — 5:5.

ასე რომ, ყველაფერი მოლდოვა-მალტას დაპირისპირებას უნდა გაერკვია. თუ მოლდოვა 8 და ნაკლები ბურთით მოიგებდა, შემდეგ ეტაპზე საქართველო გავიდოდა. 9 ან მეტი ბურთით მოგების შემთხვევაში, პირველ ადგილს მოლდოვა დაიკავებდა.

საბედნიეროდ, მალტელებმა მეტოქეს თავი შეაკლეს. მოლდოვამ ანგარიში მხოლოდ მე-14 წუთზე გახსნა (**ანდრიან ლაშკუ**). მე-16 წუთზე მასპინძელთა კარი **ანდრეი ვიკოლაშმაც** აიღო, მაგრამ ერთ წუთში ლაშკუმ პენალტი ვერ გამოიყენა და მოლდოვამ ტაიმი 2:0 მოიგო.

მეორე ტაიმის 27-ე წუთზე **სერგეი მუნტიანუმ** სხვაობა გაზარდა – 3:0. თუმცა ოთხ წუთში მალტელმა **დენიელ ბრინკატმა** მოლდოველთა კარი აიღო (3:1). 37-ე წუთზე **დორინ კოჩებანის** გოლს მხოლოდ სტატისტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, მოლდოვამ 4:1 გაიმარჯვა და ელიტ რაუნდში **ავთანდილ ასათიანის** შეგირდები გავიდნენ.

ჰოლანდიაში ელიტრაუნდის მატჩები 27-30 მარტს გაიმართება. ჩვენი გუნდი ჰოლანდიის, ჩეხეთისა და ბელარუსის ნაკრებებს დაუპირისპირდება. ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი, 12 საუკეთესო გუნდის მონაწილეობით, 2014 წელს ბელგიაში გაიმართება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დელეგაციის წევრებმა მალტა ამ მატჩამდე დატოვეს და შეხვედრის ტექსტურ რეპორტაჟს თვალს რომის აეროპორტში ადევნებდნენ. 6-საათიანი ლოდინი სიხარულის მომტანი აღმოჩნდა და ქართველების ყიჟინამ აეროპორტი კინაღამ დაანგრია.

### ჯერ ღირსება, მერე კარიერა

ფუტსალის ნაკრები საქართველოში 27 იანვარს გამთენიისას დაბრუნდა და გუნდის მთავარ მწვრთნელ **ავთანდილ ასათიანს** ინტერვიუ ჩამოვართვით.

საქართველოს ფუტსალის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ელიტ რაუნდში მეორედ გავიდა და კვლავ ასათიანისა და **ბესო არველაძის** წინამძღოლობით, რომლებიც ნაკრებში ხუთი თვის წინ დაბრუნდნენ.

**- უკვე ვიცით, რომ ბოლო შეხვედრას (მოლდოვა-მალტას) აეროპორტში, ინტერნეტით ადევნებდით თვალს.**

- ის საათ-ნახევარი ჩვენთვის კოშმარი იყო. ვერ წარმოვიდგენდი, ევროპის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქალაქის აეროპორტში ინტერნეტი ასე საშინლად თუ იმუშავებდა... მიხარია, რომ ელიტ რაუნდში მოვხვდით, რისთვისაც თითოეულ ჩემს ფეხბურთელს მადლობას ვუხდი.

**- ბევრი ფიქრობდა, რომ მალტა თავს აღარ მოიკლავდა...**


ავთანდილ ასათიანი

- მესმის, ეს ფიქრები მალტის სისუსტიდან გამომდინარეობდა. მაგრამ წლებია, მათ მთავარ მწვრთნელს, კევინ მიფსუდს ვიცნობ და დამიჯერეთ, მაგარი კაცია. რომ მოვდიოდი, მითხრა, მშვიდად იფრინე, მოლდოვას თავს შევაკლავთ და ბოლომდე ვეომებითო. ასეც მოხდა, მიფსუდმა სიტყვა შეასრულა.

**- ეს მოლდოვა რა მოუგებელი გაგვიხდა?..**

- გეთანხმებით, რომ მოლდოვას უნდა ვუგებდეთ, მაგრამ ისეც ნუ ვიტყვით, რომ სუსტი გუნდია. ჩვენ კი გვწყინს, მაგრამ მათ რომ პირობები აქვთ, ისეთი ჩვენ არც დაგვესიზმრება. დასაცინი მაშინ ვიქნებოდით, მალტისთვის რომ არ მოგვეგო.

ვაღიარებ, მოლდოვასთან გაგვიჭირდა. რაღაც მომენტში მოვეშვით და დავისაჯეთ. მატჩის დასრულებამდე მცირე ხნით ადრე 3:5 ვაგებდით, მაგრამ ბიჭებმა უზომოდ მოინდომეს და შეხვედრის ბედი შემოატრიალეს. დამეთანხმებით, ეს ქართველებს ყოველთვის გვიჭირდა.

**- ალბათ, საქმე აქამდე რომ მივიდა, შეცდომებიც დაუშვით.**

- რა თქმა უნდა, იყო შეცდომები, მაგრამ ბიჭებმა ისეთი თავდადებით ითამაშეს, არ შეიძლება ეს დავუკარგოთ. არ ვიცი, მომავალში მე ვიქნები ნაკრების მწვრთნელი თუ სხვა, მაგრამ ამ ბიჭებს დიდი მომავალი აქვთ. იმედია, ამ შემადგენლობას ფეხბურთის ფედერაცია და სპორტის სამინისტრო მიხედავენ და ეს ფეხბურთელები ქვეყანას უკეთ წარმოაჩენენ. აეროპორტში იჯდნენ და სიხარულისგან ტიროდნენ. წარმოუდგენელია, ასეთმა ადამიანებმა ქვეყნისთვის თავი არ დადონ.

გოგა ალთუნაშვილს ფეხი სტკიოდა და მალტასთან ამიტომ დავასვენე. მოლდოვასთან ტრავმა გაუმიზეზდა, მაგრამ მოედანზე ნამდვილი მეომარი იყო, დასვენება არც მოუთხოვია. ასე იყო ყველა, მე კი მოთამაშეებს არა მხოლოდ კლასით, არამედ თავდადებითაც ვაფასებ.

**- რატომ თქვით ფრაზა - არ ვიცი, მომავალში ვიქნები თუ არა ნაკრების მწვრთნელი?!**

- მოლდოვასთან ფრის შემდეგ დაიწერა, ასათიანი უნდა წავიდესო. მე ადგილს არასოდეს ვეპოტინებოდი, რადგან ჩემი პრინციპია – ჯერ ღირსება, მერე კარიერა. მაგრამ წინა ციკლის ჩავარდნას მე რომ მაბრალებენ, ამაზე მეცინება, ნაკრებში ხომ ხუთი თვის წინ დამაბრუნეს. ეტყობა, ჰგონიათ, რომ მოლდოვას წინა ციკლში რომ ვერ ვაჯობეთ, ამ პოსტზე მაშინაც მე და ბესო არველაძე ვმუშაობდით.

**- ალბათ, ელიტ რაუნდამდე საკონტროლო შეხვედრებს დაგეგმავთ.**

- ეს აუცილებელი იქნება. იქნებ, მარტის დასაწყისში, "იბერია სტარს" შევხვდეთ. არც ერთ ნაკრებზე ნაკლები გუნდი არ არის, თანაც ისინიც ევროპის ოთხთა ფინალისთვის ემზადებიან და მიმაჩნია, რომ სპარინგები ორივეს ძალიან წაგვადგება. ჩვენ კი ნაკრების კანდიდატებს კიდევ დავაკვირდებით. ყველამ იცოდეს, რომ ნაკრებში მოხვდებიან მხოლოდ საუკეთესო ფორმაში მყოფი ფეხბურთელები.

**- ცოტა ხნის წინ ბრძანეთ, რომ ბრაზილიელების მიწვევას არ აპირებთ. ვითომ ელიტ რაუნდში ნაკრებს გაძლიერება აწყენდა?**

- მე ის ვთქვი, რომ უკრაინაში წავიდა რონი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა. მალტაზე მისი წაყვანა მინდოდა, მაგრამ რონის იმედად რომ ვიყო და კლუბმა არ გამოუშვას, მერე სად მივდივართ?! თუ ჩამოვა, სიამოვნებით დავიმატებდი.

**მერაბ მამულაშვილი**

ბენდელას თასი.

# პირველი სენსაციების გამოცხვა

26 იანვარს დაიწყო "ბენდელას თასის" 22-ე გათამაშება. აფხაზეთის ომის გმირის, **ზაზა ბენდელიანის** ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირის მთავარი პრიზისთვის უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდები იბრძვიან.

26 იანვარს პირველი ტურის ზოგიერთი მატჩი გაიმართა: I ჯგუფში **რამაზ მუმლაძის** გაწვრთნილმა "დინამო 2"-მა დილმის ბაზაზე გორის "ქართლს" დიდი ანგარიშით მოუგო – 6:1. დუბლი შეასრულეს **ბუდუ ზივზივაძემ** და **მიშა ჯიშკარიანმა**, თითო ბურთი გაიტანეს **ვატო ფოცხვერიამ** და **ლაშა ჩაფიძემ**.

დინამოელთა შემადგენლობაში ითამაშეს ძირითადი გუნდის მეკარე **კოკა სეფიაშვილმა** და ნახევარმცველმა **ლაშა პარუნაშვილმა**, რომლებიც, შესაძლოა, მალე სხვა კლუბებში იჯარით გაუშვან.

II ჯგუფში „ზესტაფონის" მეორე გუნდი პირველლიგელ ხონის „იმერეთს" სამტრედიაში დაუპირისპირდა და 2:0 გაიმარჯვა. თავი **ბადრი კვარაცხელიამ** და **ნოდარ გაჩეჩილაძემ** გამოიჩინეს.




II ჯგუფის შეხვედრები გუშინ გაიმართა: "ბენდელას" სტადიონზე ცხინვალის "სპარტაკმა" რუსთავის "მეტალურგის" დუბლშემადგენლობას 5:1 სძლია.

"მცხეთა პარკზე" "ვიტ ჯორჯიას" დუბლშემადგენლობა პირველლიგელ "იუსი ბესტთან" ვერაფერს გახდა: ძირითადი დრო 0:0 დასრულდა და, დებულების თანახმად, პენალტების სერია დაინიშნა, რომელიც უკეთ ამ უკანასკნელმა შეასრულა - 4:5.

მაგრამ "იუსი ბესტის" ანგარიშზე არა 3, არამედ, მხოლოდ 2 ქულა ჩაიწერა. დებულების თანახმად (რომელიც **გია გეგუჩაძის** რეკომენდაციით შედგა), ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ ორივე გუნდს ქულა ეწერება, პენალტებით გამარჯვებულს კი დამატებით ქულა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# ლაშა სალუქვაძე რუსეთზე, ნაკრებზე და პრიმასტერებზე

## თუ ფეხბურთელი არ არის, გუნდს შედეგს ვერ მოთხოვ

გორის „დილადან“ რუსეთში, ხაბაროვსკის სკა ენერგიაში გადასული ლაშა სალუქვაძე გუშინ „დილა“ - „ვიტ ჯორჯიას“ მატჩზე ვნახეთ.

სალუქვაძის გარდა „დილადან“ ამ რუსულ გუნდში კიდევ გოჩა ხოჯავა და მწვრთნელი გიორგი დარასელია გადავიდნენ. სკა ენერგიაში მივიდნენ ოთარ მარცვალაძე და შოთა გრიგალაშვილიც. მოკლედ, ხაბაროვსკული კლუბი ქართველების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის.

...და როგორ აღმოჩნდა ამ გუნდის ფეხბურთელი სალუქვაძე „დილა“ - „ვიტ ჯროჯიას“ მატჩზე? ლაშასთან საუბარი აქედან დავიწყეთ.



ლაშა სალუქვაძე

- სკა ენერგიას შეკრებაზე ვახლდი ისრაელში, რამდნიმე დღე შესვენება გვაქვს და აქ ჩამოვედი. გუნდი ისევ ისრაელში იქნება 29 იანვრამდე, 5 თებერვლიდან კი კვიპროსზე წავალთ შეკრებაზე და ტურნირზეც ვითამაშებთ.

**- როგორ შეეწყვე ახალ გუნდს, როგორია პირველი შთაბეჭდილებები?**

- ჯერ შეთამაშება გვაკლია, ისე კი შთაბეჭდილება კარგი დამრჩა. ამ გუნდის რამდენიმე ფეხბურთელს ადრეც ვიცნობდი.

**- რა გაქანების კლუბი უნდა იყოს სკა ენერგია?**

- გუნდი რუსეთის პრემიერლიგაში გადასვლას ისახავს მიზნად და ქართველებიც მაგიტომ მივედით სკა ენერგიაში. ამ კლუბს ალბათ აქვს საიმისო პირობები, რომ პრემიერლიგაშიც ნორმალურად გააგრძელოს არსებობა, თუ სათანადო შესაძლებლობი არ გაქვს, პრემიელიგაში სხვანაირად ვერ იქნები - ეს ყველას კარგად ესმის.

**- ჩვენმა ფეხბურთელებმა როგორ წარმოაჩინეს თავი სკა ენერგიას პირველ შეკრებაზე ისრაელში?**

- ხოჯავას და მარცვალაძეს ტრავმა ჰქონდათ და გარკვეული დრო გაუცდათ, მაგრამ ნელ-ნელა შევლენ ფორმაში, გრიგალაშვილიც უკეთესად ათამაშებდა. მომდევნო, კვიპროსულ შეკრებაზე ყველაფერი უფრო კარგად გამოჩნდება.

**- ხაბაროვსკი რუსეთის ევროპული ნაწილისგან ძალიან შორს არის. ალბათ შენც გახსოვს, გიორგი ლომაია რომ თამაშობდა ვლადივოსტოკის „ლუჩში“ და თუ რა ტიპის პრობლემები ჰქონდა: თვითმფრინავით მგზავრობა დიდ დისტანციაზე, დიდი განსხვავებაა ხაბაროვსკის და მოსკოვის ლოკალურ დროშიც...როცა სკა ენერგიაში გადასვლას დათანხმდი, რამდენად გათვალისწინებული გქონდა ეს ყველაფერი?**

- რა თქმა უნდა, ეს ფაქტორი ფეხბურთელზე იმოქმედებს, ვიცი, რა ძნელიც არის ყოველივე, მაგრამ ეს სპორტია, სადაც მოგიწევს გადასვლა, იქ უნდა ითამაშო. მოკლედ, ამ ფაქტორს დიდი ყურადღება არ უნდა მივაქციო, სეზონის ბოლომდე 13 მატჩი გვაქვს დარჩენილი და ეს არც ისე ბევრია.

**- თუ სკა ენერგია პრემიერლიგის საგზურს ვერ მოიპოვებს, მერე რა როგორ იქნება?**

- ქართველებმა ამ კლუბთან ექვსთვიან კონტარტქს მოვაწერეთ ხელი და თუ პრემიერლიგაში ვერ გადავალთ, ალბათ წამოვალთ სკა ენერგიადან.

**- რუსეთში ადრეც გითამაშია: ყაზანის „რუბინში“ ხუთი წელი, 2011/12 წლებში კი ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგაში“. როგორ ფიქრობ, რუსეთის პირველი ლიგა ძნელი სათამაშო იქნება?**

- ამბობენ, რუსეთის პირველი ლიგა საკმაოდ ძლიერი ჩემპიონატიაო. პირველ ლიგაში ბევრია ისეთი ფეხბურთელი, რუსეთის პრელიერლიგაში რომ უთამაშია და ამის გათვალისწინებითაც, პირველი ლიგა ძნელი სათამშო იქნება, საკმაოდ კარგი გუნდები არიან თავმოყრილნი.

**- ეროვნულ ნაკრებში 30 მატჩი გაქვს ჩატარებული. გორის „დილამ“ შარშან ევროპა ლიგის შესარჩევში რომ ითამაშა, ნათლად გამოჩნდა, გუნდის ერთ-ერთ ყველაზე ფასეული ფეხბურთელი იყავი, ევროსარბიელი კი ყველაფრის კარგი ინდიკატორია. მიუხედავად ამისა, ამ ეტაპზე ნაკრებში აღარ გიწვევენ...**

- „დილას“ ბირთვს ისეთი ფეხბურთელები შეადგენდნენ, რომ ევროსარბიელზე თამაში არ გამჭირვებია. რაც შეეხება ნაკრებს, რაც წლები გადის, გამოცდილება მემატება და ვფიქრობ, ნაკრებშიც უკეთესად ვითამაშებდი, ასაკიც ისეთი მაქვს, რომ სანაკრებო დონეზე გამოსვლა ისევ შემიძლია.

**- შარშან საქარეთველოს ჩემპიონატს რვაწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდი - როგორი გამოდგა ჩვენი ჩემპიონატი უწინდელთან შედარებით?**

- როცა თბილისის „ლოკომოტივის“ და „დინამოს“ ფეხბურთელი ვიყავი, საქართველოს ჩემპიონატში უფრო გამოცდილი ფეხბურთელები თამაშობდნენ, ვიდრე ახლა. მაშინ კარგი გუნდიც ბევრი იყო: „დინამო“, „ლოკომოტივი“, „ტორპედო“, „ვიტ ჯორჯია“ „სიონი“...ახლა უფრო ახალგაზრდებზე აკეთებენ აქცენტს ქართული კლუბები. თუ ახალგაზრდას გუნდში გამოცდილი ფეხბურთელები არ ჰყავს, წინ ვერ წავა, ერთ ადგილზე გაჩერდება, ჩემპიონატი კი „პრიმასტერების“ ტურნირს დაემსგავსება.

**- ყველაზე უფრო რომელი ქართული გუნდი მოგწონს ამ დროისთვის?**

- „დილას“ გარდა, რომელმაც ზედიზედ თერთმეტი მატჩი მოიგო, გამოვარჩევდი „ტორპედოსაც“, გია გეგუჩაძე გუნდს კარგ ფეხბურთს ათამაშებს, მაგრამ დგება ისეთი გადამწყვეტი მომენტი, როცა ფეხბურთელის გამოცდილება ძალიან ბევრს ნიშნავს. მიმდინარე ჩემპიონატის მეორე წრეში გამოჩნდა, რომ „დინამო“ მართლაც გამორჩეული გუნდია, ფეხბურთელები უფრო კარგად შეთამაშდნენ და გამოცდილებამაც თავი იჩინა. თუ გუნდში ფეხბურთელი არ არის, შედეგს ვერ მოთხოვ...

**- უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში გითამაშია და კარგად იცი, თუ რა სჭირდება ასეთი შედეგის მიღწევას. როგორ ფიქრობ, ყველაზე უფრო რა დააკლდა „დილას“ შარშან ევროპა ლიგის ჯგუფში გასასვლელად?**

- „დილას“ არ გაუმართლა. „მარიტიმუსთან“ სტუმრად შეხვედრაში ფაქტობრივად უთავდამსხმელოდ დავრჩით, არადა იქ ერთი გოლიც რომ გაგვეტანა...თბილისში, როცა ანგარიში 0:0 იყო, ორჯერ გავარტყით ბურთი ძელს, ისიცა, რომ „დილა“ ახალშექმნილი გუნდი იყო...საერთო ჯამში, „დილა“ ევროსარბიელზე მაინც კარგად გამოვიდა.

**დავით თავართქილაძე**

თანამეგობრობის თასი

# ფინალში სამივე ქართველმა ითამაშა

სანქტ-პეტერბურგში დასრულდა "თანამეგობრობის თასის" გათამაშება. ფინალში ერთმანეთს მასპინძელი რუსეთი და უკრაინა დაუპირისპირდნენ.

ამ ქვეყნის გუნდების მატჩები ყოველთვის დაძაბულობითა და პრინციპულობით გამოირჩევა. გამონაკლისი არც ეს შეხვედრა იყო.

ანგარიში მე-5 წუთზე გაიხსნა: რუსების ჩაწოდების დროს, ბურთის მოგერიებისას საკუთარ კარში უკრაინელთა ქართველმა, **დავით იაშვილმა** ჩაჭრა. **კალიტვინცევისა** (14) და **ივანკოს** (64) დარტყმის შემდეგ უკრაინელები მაინც დაწინაურდნენ, მაგრამ **პანიუკოვის** (38, 75) დუბლითა და **მახმუდოვის** (90+5) პენალტით რუსებმა გაიმარჯვეს (4:2) და მთავარ პრიზს დაეუფლნენ.

უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სერგეი კოვალეცმა** სამივე ქართველი ათამაშა: მცველი **დავით იაშვილმა** ძირითადში დააყენა. მეორე მცველი **ბადრი აქუბარდია** მოედანზე 46-ე წუთზე გამოჩნდა და მწვრთნელმა 94-ე წუთზე, მეკარის გაძევების გამო მეორე მეკარით შეცვალა. **ირაკლი მესხია** კი თამაშში 52-ე წუთზე ჩაერთო და კოვალეცმა 73-ე წუთზე ტრავმის გამო გაიყვანა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონის უქმეები



გურამ კაშია (მარცხნივ)

# კაშიამ აიაქსი მეორედ გაამწარა

## ქართველებს ჯერ მხოლოდ ტესტებში გააქვთ

ლეგიონისუქმეების მიმოხილვა ყველაზე მნიშვნელოვანი ამბით დავიწყოთ - ჰოლანდიის ჩემპიონატის გასული ტურის ცენტრალური მატჩი არნემში, ადგილობრივ "ვიტესსა" და ამსტერდამის "აიაქსს" შორის გაიმართა. ამსტერდამელები 68-ე წუთამდე 2:0-ს იგებდნენ და თითქოს შეხვედრა სასურველ დასასრულამდეც უნდა მიეყვანათ, მაგრამ 68-ე წუთზე ტეო იანსენმა ანგარიშის სხვაობა "ვიტესის" კაპიტნის, **გურამ კაშიას** გადაცემით შეამცირა, რასაც მასპინძლებმა კიდევ ორი გოლი მოაყოლეს და 3:2 გაიმარჯვეს.,

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ერედივიზიეში "ვიტესმა" "აიაქსს" ორივე მატჩი მოუგო. ამ გამარჯვების წყალობით არნემელები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ჩემპიონობის გარკვეულ შანსს. "ვიტესი" ლიდერ პსვ-ს 5 ქულით ჩამორჩება. კაშიამ "აიაქსთან" შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა, ხოლო მისი თანაგუნდელი **ვაკო ყაზაიშვილი** სათადარიგო იყო.

თურქეთის სუპერლიგაში **შოთა არველაძის** "ქასიმფაშას" შემდეგ, **ზურაბ ხიზანიშვილის** "ქაისერისფორმაც" გაიმარჯვა, რომელმაც საკუთარ მოედანზე "ანთალიასფორს" 2:0 აჯობა. ხიზანიშვილმა "ქაისერის" დაცვის ცენტრში შეუცვლელად ითამაშა და გაფრთხილება მიიღო.

ქართველთა კლუბების სატურნირო მდგომარეობა თურქეთში ასეთია – "ქასიმფაშა" 29 ქულით მე-5 ადგილზეა, "ქაისერი" კი 22 ქულით მე-13.

იტალიის სერია B-ში "ემპოლიმ", რომელიც სერია A-ში დასაბრუნებლად იბრძვის, "ნოვარას" უმასპინძლა და 0:2 დამარცხდა. მასპინძელთა რიგებში **ლევან მჭედლიძე** 81-ე წუთზე გამოჩნდა და მატჩის მიწურულს გაფრთხილება მიიღო, ხოლო მისი თანაგუნდელი **ირაკლი შეყილაძე** 18-კაციან განაცხადში არ ყოფილა.

რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში ეროვნული ჩემპიონატი ჯერ არ განახლებულა და იქაური კლუბები საკონტროლო მატჩებს განაგრძობენ. მათ შორისაა ვარშავის "პოლონია", რომლის ღირსებასაც **ლადო დვალიშვილი** იცავს. შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრების თავდამსხმელს კლუბის შეცვლა გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ "პოლონიამ" მისი ფინანსური პირობების დაკმაყოფილება შეძლო და დვალიშვილი ადგილსამყოფელს აღარ შეიცვლის. "პოლონია" ამხანაგურად პოლონეთის რანგით მეორე ლიგის ბინადარ "ბოგდანკას" გაეჯიბრა და ფრედ, 2:2 ეთამაშა. დვალიშვილის ანგარიშზე გოლია. მან პირველ ტაიმში ანგარიში გახსნა, პირველი ნახევრის დასრულების შემდეგ კი "პოლონიას" სამწვრთნელო შტაბმა სასტარტო შემადგენლობაში გამწესებული ყველა ფეხბურთელი შეცვალა.

გოლი გაიტანა **ალექსანდრე იაშვილმაც**, რომლის "ბოხუმიც" სპარინგში "პადერბორნთან" 1:2 დამარცხდა. ვეტერანმა ქართველმა ფორვარდმა მატჩი სრულად ჩაატარა, **ნიკოლოზ გელაშვილი** კი მოედანზე მეორე ტაიმში შევიდა.

უკრაინულმა "დნიპრომ", რომელიც სეზონის მეორე ნახევრისთვის ესპანეთში ემზადება, საკონტროლო მატჩი მოსკოვის "დინამოსთან" ჩაატარა და 3:1 გაიმარჯვა. ერთი გოლი **სანდრო კობახიძის** ანგარიშზეა. შეგახსენებთ, კობახიძე "დნიპროს" კიევის "არსენალში" ჰყავდა განათხოვრებული და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი დნეპროპეტროვსკულ კლუბს სულ ახლახან დაუბრუნდა. კობახიძესთან ერთად, "დნიპროს" მაისურით ჩვენი ეროვნული გუნდის კაპიტანმა **ჯაბა კანკავამაც** ითამაშა.

ვლადიკავკაზის "ალანიამ" მოლდოვურ "რაპიდს" 2:0 მოუგო. **მამუკა კობახიძე** მოედანზე 50-ე წუთიდან გამოჩნდა, **გიორგი ჭანტურია** კი "ალანიას" ძირითად შემადგენლობაში იყო და მეორე ტაიმში შეცვალეს. შეგახსენებთ, ვლადიკავკაზურ კლუბში **მამუკა ლონლაძეც** ვარჯიშობდა, მაგრამ მას "ალანიას" დატოვება მოუხდა.

"კრასნოდარის" მეკარე **ნუკრი რევიშვილმა** ბაქოს "ნეფთჩისთან" საკონტროლო მატჩში, რომელიც მისმა გუნდმა 4:1 მოიგო, 45 წუთი ითამაშა. რევიშვილი სასტარტო შემადგენლობაში იყო.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ალექსანდრე იაშვილი

დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლა იწყებს მიღებას!

DINAMO TBILISI 1925

დინამოს საფეხბურთო სკოლა იფუნქციონირებს კლუბის საფეხბურთო აკადემიის ბაზაზე.

დინამოს საფეხბურთო სკოლაში საწვრთნელი პროცესი 1 მარტიდან დაიწყება.
დინამოს საფეხბურთო სკოლაში ფეხბურთელის მიღება იწარმოებს 6-დან 14 წლის ჩათვლით
დინამოს საფეხბურთო სკოლაში, სწავლების ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 100 ლარს.

დინამოს საფეხბურთო სკოლაში მიღების წესი

გთხოვთ ანკეტის ელექტრონული ვერსია შეავსოთ და გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: info@fcdinamo.ge
ანკეტის მიღება, შევსება და ჩაბარება ასევე შესაძლებელია დინამოს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე. მისამართი: თბილისი, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, ბორის პაიჭაძის ქუჩა.
დინამო არენა. მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი N2
რეგისტრაციის მიღების პირველი ეტაპის ბოლო ვადაა 15 თებერვალი.
მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ დინამოს ოფიციალურ ვებგვერდს: http://fcdinamo.ge/

# ქართული ფეხბურთი

## სამზადისი

### ივანაუსკასმა დილა საქმეში ნახა

გუშინ „ბენდელას“ სტადიონზე საკონტროლო მატჩი გაიმართა - გორის „დილამ“ თბილისის „ვიტ ჯორჯია“ 2:0 დაამარცხა.

შეხვედრას ესწრებოდა „დილას“ ახალი მთავარი მწვრთნელი **ვალდას ივანაუსკასი**, ოღონდაც ლიტველი სათადარიგოთა სკამზე არ დაჯდა, შემინული ლოჟიდან უყურებდა მატჩს და ბლოკნოტში ჩანაწერებს აკეთებდა.

პირველ ტაიმში გუნდების შემადგენლობა ასეთი იყო:

„ვიტ ჯორჯია“: **დაუშვილი, ხურცილავა, ადამაძე, კასრაძე, მჭედლიშვილი, ვასაძე, გურ. გურეშიძე, კორიფაძე, გ. ჯანელიძე, იაშვილი, კუხალეიშვილი.**

„დილა“: **შეყრილაძე, ალადაშვილი, კვახაძე, თომაშვილი, კვირკველია, აბურჯანია, ი. მაისურაძე, არზიანი, ლეონარდო, კახელიშვილი, მოდებაძე.**

პირველი ტაიმი „ვიტ ჯორჯიას“ უპირატესობით წარიმართა. **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდი უფრო კომბინაციურ ფეხბურთს თამაშობდა, ვიდრე „დილა“.

**ლევან კუხალეიშვილი** მარჯვენა მახვილი კუთხიდან ურტყამდა და მიზანი ვერ გაისწორა, **ლაშა კასრაძის** თავური არაზუსტი გამოდგა...

„დილადან“ ბრაზილიელი **ლეონარდო** რამდენჯერმე გამოირჩა ტექნიკური თამაშით, **გიორგი კახელიშვილმა** შორიდან ოდნავ ააცილა კარს, **ირაკლი მაისურაძის** დარტყმა კი **ნიკა დაუშვილმა** კუთხურზე მოიგერია.

მეორე ტაიმში შეცვლაზე ესენი გავიდნენ:

„ვიტ ჯორჯია“: **რეჭია, გეთიაშვილი, გაბრიჭიძე, ჯუღელი, ღიბრაძე, გოგიაშვილი, დავლაშელიძე.**

„დილა“: **მამალაძე, თოთაძე, ნ. ჯიშკარიანი, გორელიშვილი, ლომიძე, გვალია, გოგუა, ჟუნიორი, მამუჩიშვილი.**

შესვენების შემდეგ უკვე „დილა“ გამოიყურებოდა მეტოქეზე უკეთესად. ისევ „დილაშია“ „დინამო თბილისიდან“ წამოსული 29 წლის **გოგიტა გოგუა**, ვინც გუშინ სულ იმას ცდილობდა, აქტიურად ეთამაშა. პირველი გოლი მისი პასით გავიდა - თავი ბრაზილიელმა **ჟუნიორმა** გამოიჩინა, მეორე ბურთი კი **ლაშა გვალიამ** გაიტანა.

**დავით თავართქილაძე**

### 15 გოლი ორ შეხვედრაში

ქუთაისის "ტორპედო" საკმაოდ დატვირთულ რეჟიმში ემზადება – მთავარი მწვრთნელი **გია გეგუჩაძე** მოთამაშეებს დღეში ორჯერ ავარჯიშებს. პარალელურად, ქუთაისელები საკონტროლო შეხვედრებს ხშირად ატარებენ.

შაბათს გეგუჩაძემ შემადგენლობა ორ ნაწილად გაყო და გუნდმა საღორიას ბაზაზე ზედიზედ ორი საკონტროლო მატჩი გამართა: ჯერ თერჯოლის „საპოვნელას“ უმასპინძლა, შემდეგ კი - ქობულეთის „შუქურას“..

რეგიონული ლიგის "საპოვნელას" ქუთაისელებმა 13 უპასუხო გოლი გაუტანეს: პოკერი შეასრულა **გიორგი ფანცულაიამ**, ჰეთ-თრიქი - **ვახტანგ კვარაცხელიამ** და **ნიკა საბანაძემ**, დუბლი - **თეიმურაზ მარკოზაშვილმა**, ერთიც **დათო პეტავამ** გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში „ტორპედოს“ რიგებში შეცვლაზე ახალგაზრდა მეკარე **თორნიკე აშაძემ** ითამაშა.

**"ტორპედო": კუპატაძე (56. აშაძე) - რიგვავა, სანდოხაძე, ტაბატაძე, კუსიანი (56. ლობჟანიძე) - გიგაური, ნ. ახვლედიანი (46. პეტავა), მარკოზაშვილი (56. გოგიჩაიშვილი), ფანცულაია - საბანაძე, ვ. კვარაცხელია**

**ასლან ბალაძის** გაწვრთნილ პირველლიგელ "შუქურასთან" დაპირისპირებაში ქუთაისური გუნდის მაისურით პირველად ითამაშა **გიორგი ონიანმა. ბექა ტულუშისა** და **გრიგოლ დოლიძის** გოლებით "ტორპედომ" ამჯერად უფრო მოკრძალებული ანგარიშით გაიმარჯვა - 2:0.

ტორპედო: **მიგინეიშვილი (70. კუპატაძე) - ცინცაძე, ზ. ჭელიძე, გ. ონიანი (62. მამასახლისი), გ. გურული - დოლიძე, ფირცხალავა, კუხიანიძე (60. ქიქავა), ე. გრიგალაშვილი – ტულუში, ბერიაშვილი.**

ესპანეთში "მარბელას თასის" დაწყებამდე ქუთათურები კიდევ ერთ მატჩს 29 იანვარს გამართავენ: "ტორპედო" საკუთარ ბაზაზე პირველი ლიგის წყალტუბოს "სამგურალთან" ისპარინგებს.

**მერაბ მამულაშვილი**

### ბრძოლა და ფრე

სეზონისთვის ემზადებიან პირველი ლიგის "გაგრა" და "დინამოს" დუბლშემადგენლობა. ეს გუნდები ერთმანეთს დიღმის ბაზაზე ამხანაგურად დაუპირისპირდნენ.

მე-10 წუთზე ანგარიში გაგრელმა **გუგა ფალავანდიშვილმა** გახსნა. მალე "დინამო" **ჭიაბერ ჭეჭელაშვილის** (27, პენალტი; 42) დუბლით დაწინაურდა – 2:1, მაგრამ დინამოელებმა უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხეს: მეორე ტაიმში **გიორგი ერისთავი** მეკარესთან პირისპირ გავიდა და ანგარიში გაათანაბრა.

ჭეჭელაშვილს 63–ე წუთზე ჰეთ-თრიქის შესრულება შეეძლო, თუმცა მეკარემ თერთმეტმეტრიანი აულო და მატჩი 2:2 დასრულდა.

ამ გუნდების თამაშით იმიტომ დავინტერესდით, რომ **ვასილ მაისურაძის** 17-წლამდელთა ნაკრების ბევრი მოთამაშე "დინამოს" დუბლებშია თავმოყრილი – მეკარე **ნიკა შერმადინი, ვანო წილოსანი, არჩილ მესხი,** იგივე ჭეჭელაშვილი. ნაკრების კანდიდატები არიან "გაგრაშიც".

**მერაბ მამულაშვილი**

### ჩიმაკაძის უკრაინული შანსი

მიმდინარე სეზონის პირველი ეტაპის შემდეგ „ვიტ ჯორჯია“ დატოვა 24 წლის თავდამსხმელმა **ბესიკ ჩიმაკაძემ.**

ეს ფეხბურთელი თავის დროს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო. ჩიმაკაძე თბილისის „ამერიდან“ გაიცნო საფეხბურთო მილეთმა. ის „ვიტ ჯორჯიაშიც“ ერთ-ერთი საკვანძო მოთამაშე გახლდათ, კლასიკური ცხრა ნომერი, ჯანმაგარი და ორთაბრძოლებში გამორჩეული.

ასეთ ფორვარდს სხვა რომელიმე ქართულ გუნდში მოწყობა არ გაუჭირდებოდა, თუმცა შევიტყვეთ, რომ უკრაინაშია წასული და იქაურ „კრივბასში“ ცდილობს დამკვიდრებას.

ჩიმაკაძის უკრაინაში დარჩენის საკითხი დღე-დღეზე გადაწყდება.

**დავით თავართქილაძე**

### სიონმა სასკოსთან გაიმარჯვა

შაბათს "ბენდელას" სტადიონზე საკონტროლო შეხვედრა გამართა ბოლნისის "სიონმა". **არმაზ ჯელაძის** გუნდს **თენგიზ კაციას** გაწვრთნილი "სასკო" დაუპირისპირდა.

ანგარიში პენალტით **გიორგი მანწკავამ** გახსნა. პირველი ტაიმი ასეც დასრულდა 1:0 - მეორე ნახევარში ბოლნისელებმა უფრო ლონიერად შეუტიეს და **კოკა მიკუჩაძის, ირაკლი ლექვთაძისა** და **ვილი ისიანის** გოლებით 4:0 დაწინაურდნენ. "სასკომ" მხოლოდ ანგარიშის შემცირება მოახერხა და საბოლოოდ, "სიონმა" 4:1 გაიმარჯვა.

ბოლნისელთა რიგებში მეორე ტაიმში "ზესტაფონიდან" იჯარით დამატებული **ზაალ ელიავა** გამოჩნდა, რომელმაც 35 წუთი ითამაშა და "სიონის" გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა.

**მერაბ მამულაშვილი**

## სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | მზადება, საკონტროლო მატჩები |
|---|---|---|---|
| ზესტაფონი<br>კახა კაჭარავა | კობახიძე (ალანია, რუსეთი), მამალაძე (დილა), მენთეშაშვილი (?), ელიავა (სიონი, იჯარით), მილხრაუმი (დინამო თბ) | ლ. კუტალია, ენდელაძე (ორივე ზუგდიდი), ჭანკოტაძე (სიონი, იჯარა დაუმთავრდა), ჩულიბრკი (?), ებონგე (?), რეკრუკი (?) | **10 იანვრიდან - ზესტაფონში**<br>სპარტაკი 0:2, დინამო ბთ 5:0<br>**29 იანვრიდან - ანთალიაში** |
| მეტალურგი<br>გიორგი ყიფიანი | ი. მაისურაძე (დილა), ტატანაშვილი (დინამო თბ), თექთურმანიძე (დინამო თბ, იჯარა დაუმთავრდა), ჰოსმანი (?) | კორღალიძე (ზიმბრუ, მოლდოვა), ახალკაცი (დილა), მ. ალავიძე (?) | **12 იანვრიდან - რუსთავში**<br>**1 თებერვლიდან - ანთალიაში** |
| ტორპედო<br>გია გეგუჩაძე | იოსელიანი (?) | გ. ონიანი (დილა), ცინცაძე (დაუგავა, ლატვია) | **18 იანვრიდან - ქუთაისში**<br>სამტრედია 0:2, საპოვნელა 13:0, შუქურა 2:0<br>**1 თებერვლიდან - ესპანეთში** |
| დინამო (თბ)<br>დუშან უჰრინი (უმცროსი) | ვოსკობოინიკოვი (?), იაგუე (?), ლექვთაძე (სიონი, იჯარით) | შაშიაშვილი (დილა), მილხრაუმი (ზესტაფონი), ტატანაშვილი (მეტალურგი), თექთურმანიძე (მეტალურგი, იჯარა დაუმთავრდა), შინდაგორიძე (?), დიასამიძე (დინამო ბთ), მენდი (?), რადოვანოვიჩი (?) | **15 იანვრიდან - თბილისში**<br>**21 იანვრიდან - ანთალიაში**<br>შახტიორი (ყაზახეთი) 0:1, ვორსკლა (უკრაინა) 0:2 |
| დილა<br>ვალდას ივანაუსკასი | **გ. დარასელია (მთ. მწვრთნელი, სკა ხაბაროვსკი, რუსეთი), შაშიაშვილი (დინამო თბ), სკენდერი (სონდერიისკე, დანია),** სალუქვაძე, ხოჯავა (ორივე სკა ხაბაროვსკი), ს. გურული (?), გ. ონიანი (ტორპედო), ახალკაცი (მეტალურგი) | **ვ. ივანაუსკასი (მთ. მწვრთნელი)** ი. მაისურაძე (მეტალურგი), კვახაძე (უგუნდოდ), მამალაძე (ზესტაფონი) | **17 იანვრიდან - თბილისში**<br>ვიტ ჯორჯია 2:0 |
| კოლხეთი<br>სოსო ფილია | გაბუნია, ტყეშელაშვილი (ორივე დინამო ბთ) | ზამ. ჯანაშია (?) | **19 იანვრიდან - ფოთში** |
| მერანი<br>მალხაზ ჟვანია | გ. ჟვანია (დინამო ბთ), მჭედლიშვილი (ვიტ ჯორჯია) | გ. მეგრელაძე (უგუნდოდ) | **20 იანვრიდან - მარტვილში**<br>**12 თებერვლიდან - ურეკში** |
| სიონი<br>არმაზ ჯელაძე | ქუცურუა (დინამო ბთ), ჭედია (?), ჩიკვილაძე (?), დ. ლომაია (?), ხუბუა (?), მაჭავარიანი (?), რ. ჯიქია (?), ფეიქრიშვილი (?), ჭანკოტაძე (ზესტაფონი, იჯარა დაუმთავრდა), თარხნიშვილი (იჯარა დაუმთავრდა) | დ. ჩაგელიშვილი (ოკჟეტპესი, ყაზახეთი), ფოფხაძე (ზუგდიდი), მიკუჩაძე (ისრაელი), მაისაშვილი (გურია), ელიავა (ზესტაფონი, იჯარით), მერლანი (ზუგდიდი), ლექვთაძე (დინამო თბ, იჯარით), ახალაია (უგუნდოდ) | **18 იანვრიდან - თბილისში**<br>ზოოვეტი 2:1, სასკო 4:0 |
| ვიტ ჯორჯია<br>მერაბ კოჭლაშვილი | ჩიმაკაძე (?), ზაქრაძე (?) ლანიაშვილი (?) | გ. ჯანელიძე (ნეფტეხიმიკი, რუსეთი), მჭედლიშვილი (მერანი) | **16 იანვრიდან - მცხეთაში**<br>სტუ 3:0, დილა 0:2 |
| ზუგდიდი<br>ელგუჯა კომეთიანი | კუტალია, ენდელაძე (ორივე ზეტაფონი), კოშკაძე (დინამო ბთ), მერფლანი, ფოფხაძე (ოროივე სიონი), დ. ბოლქვაძე (ჩიხურა) | ხუხია (დინამო ბთ), გამრეკლიძე (?) | **23 იანვრიდან - ზუგდიდში** |
| ჩიხურა<br>სოსო ფრუიძე | | დ. ბოლქვაძე (ზუგდიდი) | **16 იანვრიდან - საჩხერეში** |
| დინამო (ბთ)<br>გია გურული | დიასამიძე (დინამო თბ), ხუხია (ზუგდიდი), სიჭინავა (?), კაკულია (?), კილაძე (?), ბალაძე (?), კლოვისი (?), ცნობილაძე (?), ტიმჩიშინი (?) | ქუცურუა (სიონი), გ. ჟვანია (მერანი), გაბუნია, ტყეშელაშვილი (ორივე კოლხეთი), კოშკაძე (ზუგდიდი), შალამბერიძე (პოლონეთი) | **16 იანვრიდან - ბათუმში** |

*შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი*

იტალია. სერია A. XXII ტური

# დაიძაბა, თან როგორ...

## ნაპოლი იუვეს კუდზე დააჯდა

**XXII ტური სენსაციებით დაიწყო: შაბათის ორივე შეხვედრაში ფავორიტებმა ქულები დაკარგეს - „იუვენტუსი“ აუტსაიდერ „ჯენოასთან“ მხოლოდ ფრეს გამორჩა, „ლაციომ“ კი „კიევოსთან“ სულაც მარცხი იწვნია. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ მიჯრით მერვე მატჩია „ლაციოს“ „კიევოსთვის“ საკუთარ მოედანზე ვერ მოუგია.**

### პეტკოვიჩის ექსპერიმენტი

**ვლადიმირ პეტკოვიჩის** ექსპერიმენტმა ან გნებავთ როტაციამ არ გაამართლა და „ლაციოს“ მწარე მარცხი აგემა. რომაულ გუნდს შუა კვირაში სათასო პაექრობა ჰქონდა „იუვენტუსთან“ და მწვრთნელმა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის დასვენება განიზრახა. კერძოდ, თადარიგში დატოვა **სტეფანო მაური** და **ერნანესი**, მოთამაშეები, რომლებიც შუა ხაზში ამინდს ქმნიან. შედეგად, „ლაციოს“ იერიშები უფერული და აზრს მოკლებული გახლდათ. პეტკოვიჩმა მეორე ნახევარში ცვლილებებს მიმართა და ჯერ მაური ჩართო თამაშში, შემდეგ კი ერნანესი, რამაც მასპინძელთა იერიშები მკვეთრად გაამწვავა.



მატჩის შემდეგ, ანტონიო კონტე კარგა ხანს ვერ წყნარდებოდა

სწორედ ანტრაქტის შემდეგ შექმნეს დედაქალაქელებმა მომენტები, თუმცა იქ უკვე **მიროსლავ კლოზეს** არყოფნამ იჩინა თავი. სამაგიეროდ, ვერონელებმა გამოიყენეს თითქმის ერთადერთი რეალური მომენტი და ვერონაში სამი ქულა გაიყოლეს. გამარჯვების გოლი **ალბერტო პალოსკის** ანგარიშზეა, რომელმაც დამატებაზე ითამაშა კარგად და ბურთი ფაქტობრივად დაუცველ კარში გადაგზავნა. ნამატჩევს, პეტკოვიჩი თავს იმართლებდა:

*„მაური და ერნანესი გადაღლილნი იყვნენ და მათ დასვენება ესაჭიროებოდათ. როტაციის გარეშე ყველა ფრონტზე წარმატებით ასპარეზობა შეუძლებელია. დარწმუნებული ვარ, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე, შედეგი კი არც თუ სამართლიანი დაფიქსირდა. მეტოქემ მხოლოდ ერთი მომენტი შექმნა, ჩვენ კი უამრავი გავატანეთ ქარს. უნდა გავაანალიზოთ მომხდარი და მომდევნო მატჩზე ვიფიქროთ“.*

### მსაჯობით უკმაყოფილო კონტე

უკმაყოფილო რბილად ნათქვამია, **ანტონიო კონტე** გაცხარებული გახლდათ და მატჩის შემდეგ, რეფერი მიწასთან გაასწორა. საქმე იმაშია, რომ მსაჯმა რამდენიმე საკამათო ეპიზოდში გენუელთა მხარე დაიჭირა, ერთ მომენტში კი ტურინელთა სასარგებლოდ თერთმეტმეტრიანი არ დანიშნა – არადა, „ჯენოას“ მცველს ბურთი ხელზე ნამდვილად მოხვდა. უმალ გაირკვა ისიც, რომ არბიტრი **მარკო გუიდა** ნეაპოლელია და ბუნებრივია, ამას შესაბამისი კუდებიც გამოება. მართალია, კონტეს მსაჯის ნეაპოლელობა არ უხსენებია, მაგრამ სხვა მხრივ არაფერი დააკლო – ჯერ ანტონიოს მოვუსმინოთ და შემდეგ მატჩზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა:

*„ეს უკვე ყოველგვარ ზღვარს სცილდება, რადგან დღეს, აშკარად დავიჩაგრეთ. მსაჯმა არაერთი შეცდომა დაუშვა, თერთმეტმეტრიანი კი ცხადზე უცხადესი იყო. საგულისხმოა, რომ კარის უკან მდგარმა არბიტრმა მთავარ მსაჯს პენალტის დანიშვნა ურჩია, მაგრამ გუიდამ მისი აზრი არ შეისმინა. როგორც მინიმუმ, ეს არაპროფესიონალიზმია და ისე, არც უარესის გამორიცხვა შეიძლება. დღეს ჩვენ ქულები დაგვაკარგვინეს“.*

კონტემ ერთი ამბავი ატეხა, მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ მისმა „იუვენტუსმა“ ერთ-ერთი უსუსტესი შეხვედრა ჩაატარა მიმდინარე სეზონში? – პირველი ხეირიანი კომბინაცია, რომელიც ტურინელებმა განახორციელეს, გოლით დასრულდა და ეს ყველაფერი 54-ე წუთზე მოხდა (!). არც შემდეგ გამოსხმიათ ტურინელებს ფრთები და გენუელთა გოლიც არ იყო მოკლებული ლოგიკას. 68-ე წუთზე, თავი **მარკო ბორიელომ** გამოიჩინა, რომელიც მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებულს გამოეხმაურა და თავური დარტყმით ბურთი ბადეში გაახვია. აღსანიშნავია, რომ მარკომ გოლი არ აღნიშნა და ამით, ექსგუნდის მიმართ პატივისცემა გამოხატა. ეს ერთობ გასაკვირი ამბავია, რადგან ბორიელომ ტურინულ გრანდში მხოლოდ რამდენიმე თვე დაყო და მთელი ეს პერიოდი ტიფოზებისგან აგრესიის მეტი არაფერი უგრძვნია. გახსოვთ ალბათ, „იუვეს“ გულშემატკივრებმა ბორიელო არაფრით მიიღეს და ხშირად გამაყრუებელი სტვენის ფონზე უხდებოდა თამაში. ამ ყველაფრის შემდეგ, გოლის არაღნიშვნას დიდსულოვნება სჭირდება და მარკო ამისთვის ქებას იმსახურებს. კვალიარელას გოლზე არაფერი გვითქვამს, მაგრამ სათქმელი ბევრიც არაფერია – ფაბიომ სამსვლიანი კომბინაცია დააბოლოვა, ბურთი კი კარში რეკოშეტის შემდეგ შეგორდა. „იუვემ“ მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა და ვერაფერი ფეხბურთი ითამაშა.

### თრილერი ბოლონიაში და იკარდის პოკერი

„ნაპოლიმ“ კარგად ისარგებლა კონკურენტთა წაფორხილებით და უმნიშვნელოვანესი ქულები ჩაიწერა აქტივში. **ვალტერ მაცარის** გუნდმა კერკეტი „პარმა“ მისსავე მოედანზე დაამარცხა და „იუვენტუსს“ კუდზე დააჯდა. ლიდერსა და მდევარს შორის სხვაობა უკვე სამი ქულაა, ეს კი სახუმარო ამბავი არ გახლავთ. „ნაპოლის“ და მატჩის გმირად კიდევ ერთხელ ითქვა **ედინსონ კავანი**, რომელმაც შეხვედრის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე გამარჯვების გოლი გაიტანა.

მოიგო „მილანმაც“ და სატურნირო ცხრილში მეხუთე პოზიციაზე აინაცვლა. **მასიმილიანო ალეგრის** გუნდს ჩემპიონთა ლიგის ზონამდე ექვსი ქულა აკლია, რაც იმას ნიშნავს, რომ ლომბარდიული გრანდი სამეულისთვის აუცილებლად იბრძოლებს. „ფიორენტინამ“ 2013 წელს ვერაფრით აუღო ალღო, კიდევ ერთი მარცხი და კიდევ ერთი იმედგაცრუება. დაახლოებით იმავე მდგომარეობაშია „რომა“, რომელმაც ფანტასტიკურ პაექრობაში „ბოლონიასთან“ მხოლოდ ქულა მოიპოვა და ცხრილში მერვე პოზიციაზე დაეშვა. ბოლოს, ისიც ვთქვათ, რომ „სამპდორიამ“ „პესკარას“ შავი დღე აყარა, **მაურო იკარდიმ** კი პოკერი შეასრულა. 19 წლის ფორვარდს მალე იტალიის ეროვნულ ნაკრებში გამოიძახებენ, ამის შესახებ თვით **ჩეზარე პრანდელიმ** განაცხადა.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

### მომდევნო ტური

**1 თებერვალი:** რომა-კალიარი.

**2 თებერვალი:** ტორინო-სამპდორია, ნაპოლი-კატანია.

**3 თებერვალი:** კიევო-იუვენტუსი, პალერმო-ატალანტა, პესკარა-ბოლონია, სიენა-ინტერი, ჯენოა-ლაციო, ფიორენტინა-პარმა, მილანი-უდინეზე.

### ლაციო-კიევო 0:1

**გოლი:** 0:1 პალოსკი (61).

**ლაციო (4-5-1):** მარკეტი – კონკო, ბიავა, დიასი, რადუ (74. კოზაკი) – კანდრევა, ბროკი (46. მაური), ლედესმა, გონსალესი (62. ერნანესი), ლულიჩი – ფლოკარი.

**კიევო (5-3-2):** პუჯონი – სარდო (33. ვაჩეკი), დაინელი, ანდრეოლი, ცეზარი, იოკიჩი - ლ. რიგონი, კოფიე, გუანა (68. სეიმური) – თერეუ, პალოსკი (74. სტოიანი).

**გაფრთხილება:** ბიავა, დიასი, ერნანესი - ვაჩეკი.

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 11-12; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 14-5(6-2); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 30 000

### იუვენტუსი-ჯენოა 1:1

**გოლები:** 1:0 კვალიარელა (54), 1:1 ბორიელო (68).

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი – ბარცალი, ბონუჩი, კასერესი – ლიხტშტაინერი, პოგბა, ვიდალი, მარკიზიო (82. ბელტრამე), დე ჩელიე (73. ჯაკერინი) – ვუჩინიჩი, კვალიარელა (69. ჯოვინკო).

**ჯენოა (3-5-2):** ფრეი – გრანკვისტი, მანფრედინი (66. როსი), მორეტი – პიზანო, კუჩკა, მათუზალემი, ოლივერა (66. ბერტოლაჩი), ანტონელი – იმობილე (59. ბორიელო), ფლორო ფლორესი.

**გაფრთხილება:** ვუჩინიჩი, ლიხტშტაინერი – გრანკვისტი, მათუსალემი, ანტონელი, ბორიელო.

**კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 14-10; **თამაშგარე:** 6-0; **კარში დარტყმა:** 13-7(6-1); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**მაყურებელი:** 38 000

### ბოლონია-რომა 3:3

**გოლები:** 0:1 ფლორენცი (9), 1:1 ჯილარდინო (17), 1:2 ოსვალდო (18), 2:2 გაბიადინი (26), 3:2 პასკუატო (54), 3:3 პანაიოტისი (74).

**ბოლონია (4-2-3-1):** ალიარდი – მოტა, სორენსენი, ანტონსონი, მორლეო – პერესი, ტაიდერი (64. კრხინი) – დიამანტი, გაბიადინი (49. პასკუატო), კონე (86. აბერო) – ჯილარდინო.

**რომა (4-3-3):** გოიკოეჩეა – პირისი (74. ტოროსიდისი), ბურდისო, კასტანი, ბალცარეტი (58. დოდო) – ბრედლი, პანაიოტისი, ფლორენცი (58. მარკინიო) – პიანიჩი, ოსვალდო, ტოტი.

**გაფრთხილება:** მოტა, სორენსენი, მორლეო, პერესი, კონე, გაბიადინი - პირისი, პანაიოტისი, პიანიჩი.

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 21-23; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 12-8(9-7); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 20 000

### ატალანტა-მილანი 0:1

**გოლი:** 0:1 ელ შაარავი (29).

**ატალანტა (4-3-1-2):** კონსილი – ფერი (24. რაიმონდი), სტენდარდო, კანინი, ბრივიო - ჩიგარინი (80. ბუდანი), ბიონდინი, კარმონა - ბონავენტურა – პარა, დენისი (61. მათეუ).

**მილანი (4-3-3):** აბიატი – აბატე, საპატა, მექსე, კონსტანტი - მონტოლივო, ფლამინი, ბოატენგი - ელ შაარავი (85. რობინიო), ნიანგი (89. ტრაორე), პაცინი.

**გაფრთხილება:** კონსილი, კარმონა, ბიონდინი, მათეუ, რაიმონდი - აბიატი, მექსე, მონტოლივო, პაცინი.

**გაძევება:** ბრივიო (58. ატალანტა).

**კუთხური:** 7-7; **ჯარიმა:** 12-13; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 5-9(1-4); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 26 000

### კალიარი-პალერმო 1:1

**გოლები:** 0:1 ილიჩიჩი (30), 1:1 რიბეირო (90).

**კალიარი (4-3-3):** აგაცი – პიზანო, როსეტინი, ასტორი, აველარი – დესენა (59. რიბეირო), კონტი, ნაინგოლანი – პინილია (76. კოსუ), იბარბო, საუ.

**პალერმო (3-4-2-1):** სორენტინო – ფონ ბერგენი, მუნიოსი, არონიკა – მორგანელა, ბარეტო, კურტიჩი, დოსენა – ილიჩიჩი (70. ფორმიკა), ბრიენცა (83. ანსელიმო) - დიბალა.

**გაფრთხილება:** პიზანო, კონტი, პინილია - მუნიოსი, ფონ ბერგენი, არონიკა, დოსენა.

**გაძევება:** გასპერინი, მიკოლი (პალერმო, სათადარიგო სკამიდან).

**კუთხური:** 12-4; **ჯარიმა:** 19-13; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 15-8(7-2); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 9 000

### კატანია-ფიორენტინა 2:1

**გოლები:** 0:1 მილიაჩო (22), 1:1 ლეგროტალიე (50), 2:1 კასტრო (88).

**კატანია (3-5-2):** ანდუხარი – ბელუში (77. პოტენცა), ლეგროტალიე, სპოლი - ალვარესი, ისკო, ბიაჯანტი (85. პალიალუნგა), ბარიენტოსი, კაპუანო (57. რიკიუტი) - კასტრო, გომესი.

**ფიორენტინა (3-5-2):** ნეტო – რონკალია, გონსალო, სავიჩი – კუადრადო, აკვილანი, მილიაჩო, ბორხა ვალერო, პასკუალი (81. ტომოვიჩი) – ლიაიჩი (69. ტონი), იოვეტიჩი.

**გაფრთხილება:** ბელუში, სპოლი, ალვარესი, ბიაჯანტი, კაპუანო, კასტრო - სავიჩი, კუადრადო.

**გაძევება:** აკვილანი (78).

**კუთხური:** 1-4; **ჯარიმა:** 11-24; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 4-11(3-3); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 14 000

### პარმა-ნაპოლი 1:2

**გოლები:** 0:1 ჰამშიკი (20), 1:1 კანავარო (75-საკ. კარში), 1:2 კავანი (85).

**პარმა (4-3-3):** მირანტე – როზი (70. ამაური), სანტაკროჩე (28. ლუკარელი), პალეტა, გობი - მარკიონი, ვალდესი, პაროლო - ბიაბიანი, სანსონე (78. ბენალოუანე), ბელფოდილი.

**ნაპოლი (3-4-1-2):** დე სანქტისი – კამპანიარო, კანავარო, ბრიტოსი – მესტო (78. არმერო), ჯემაილი, ინლერი (63. დონადელი), ცუნიგა – ჰამშიკი – პანდევი (67. ინსინიე), კავანი.

**გაფრთხილება:** პალეტა, სანტაკროჩე, მარკიონი, ვალდესი, ლუკარელი - კამპანიარო, ბრიტოსი, ჰამშიკი.

**კუთხური:** 12-6; **ჯარიმა:** 12-16; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 13-14(4-8); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 14 000

### სამპდორია-პესკარა 6:0

**გოლები:** 1:0 ედერი (32-პენ.), 2:0 იკარდი (42), 3:0 ობიანგი (50), 4:0 იკარდი (56), 5:0 იკარდი (58), 6:0 იკარდი (71).

**სამპდორია (3-5-2):** რომერო – გასტალდელო, პალომბო, კოსტა - დე სილვესტრი, კრსტიჩიჩი, ობიანგი, პოლი (68. მუნარი), ესტიგარიბია – ედერი, იკარდი (73. მაქსი ლოპესი).

**პესკარა (4-3-1-2):** პერინი – ბალცანო, ბოკეტი, ტერლიცი, კაპუანო – ბლაზი (81. ნიელსენი), დაგოსტინო, კაშონე – ბარნასონი - კარალიო (63. რიცო), სელიკი (53. ვუკუსიჩი).

**გაფრთხილება:** ობიანგი - კაპუანო, ბლაზი.

**კუთხური:** 8-0; **ჯარიმა:** 22-11; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 18-1(10-0); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 23 000

### უდინეზე-სიენა 1:0

**გოლი:** 1:0 მურიელი (36).

**უდინეზე (3-5-2):** პადელი – ერუ, დანილო, დომიცი – ბასტა, პინცი, ალანი, ლაძარი, პასკუალე – მურიელი (72. პერეირა), დი ნატალე (87. რანეგი).

**სიენა (3-4-2-1):** პეგოლო – ნეტო, კონტინი, ფელიპე – ანჯელო, დელა როკა, რუბინი, ვერგასოლა - რეჯინალდო (74. პაოლუჩი), როზინა (67. სესტუ) - ბოგდანი (58. ემეგარა).

**გაფრთხილება:** ბასტა, ლაძარი, პინცი, ალანი, პასკუალე - ნეტო, რუბინი.

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 18-16; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 5-4(3-1); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 17 000

### ინტერი-ტორინო 2:2

**გოლები:** 1:0 კივუ (5), 1:1 მეჯორინი (23), 1:2 მეჯორინი (52), 2:2 კამბიასო (67).

**ინტერი (3-4-1-2):** ჰანდანოვიჩი – რანოკია, ჟუან ჟესუსი, კივუ (28. პერეირა) – გარგანო, ძანეტი, მუდინგაი (55. კამბიასო), ნაგატომო – გუარინი – კასანო (75. ალვარესი); პალასიო.

**ტორინო (4-4-2):** ჟილე – დამბროზიო, გლიკი, როდრიგესი, მაზიელო – ბრიგი, გაცი, სანტანა (70. ბირსა), მეჯორინი – ჩერჩი (82. ვივესი), ბარეტო (61. ბიანკი).

**გაფრთხილება:** კამბიასო

**კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 9-12; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 9-8 (4-4); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 45 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 22 | 15 | 4 | 3 | 46-15 | 49 |
| 2. ნაპოლი | 22 | 14 | 4 | 4 | 43-20 | 46 |
| 3. ლაციო | 22 | 13 | 4 | 5 | 31-21 | 43 |
| 4. ინტერი | 22 | 12 | 4 | 6 | 35-25 | 40 |
| 5. მილანი | 22 | 11 | 4 | 7 | 39-28 | 37 |
| 6. ფიორენტინა | 22 | 10 | 6 | 6 | 39-27 | 36 |
| 7. კატანია | 22 | 10 | 5 | 7 | 31-28 | 35 |
| 8. რომა | 22 | 10 | 4 | 8 | 46-38 | 34 |
| 9. უდინეზე | 22 | 8 | 9 | 5 | 33-31 | 33 |
| 10. პარმა | 22 | 8 | 7 | 7 | 30-29 | 31 |
| 11. კიევო | 22 | 8 | 4 | 10 | 23-34 | 28 |
| 12. ტორინო | 22 | 6 | 10 | 6 | 27-26 | 27 |
| 13. სამპდორია | 22 | 7 | 4 | 11 | 28-29 | 24 |
| 14. ატალანტა | 22 | 7 | 4 | 11 | 19-32 | 23 |
| 15. ბოლონია | 22 | 6 | 4 | 12 | 29-31 | 22 |
| 16. კალიარი | 22 | 5 | 6 | 11 | 21-38 | 21 |
| 17. პესკარა | 22 | 6 | 2 | 14 | 17-45 | 20 |
| 18. ჯენოა | 22 | 4 | 6 | 12 | 22-34 | 18 |
| 19. პალერმო | 22 | 3 | 8 | 11 | 19-35 | 17 |
| 20. სიენა | 22 | 5 | 5 | 12 | 20-32 | 14 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

ბომბარდირები: 18 - კავანი (ნაპოლი); 15 – ელ შაარავი (მილანი); 14 - დი ნატალე (უდინეზე); 11 - ოსვალდო (რომა); 10 - კლოზე (ლაციო), ლამელა (რომა), პაცინი (მილანი); 9 - ჯილარდინო (ბოლონია)

### სერია B. XXIII ტური

**კროტონე-სასუოლო 2:1**

გოლები: 1:0 ჯორჯო (13), 2:0 ერამო (28), 2:1 მისიროლი (35).

**ბარი-ასკოლი 0:1**

გოლი: 0:1 ძაძა (15).

**ჩეზენა-ვიჩენცა 3:1**

გოლები: 0:1 პინარდი (18), 1:1 გრანოჩე (25), 2:1 ტონუჩი (28), 3:1 სუჩი (75).

**ემპოლი-ნოვარა 0:2**

გოლები: 0:1 ლეპირელი (69), 0:2 ლაძარი (90).

**გროსეტო-ჩიტადელა 3:1**

გოლები: 0:1 რობერტო (32), 1:1 პადელა (41), 2:1 პიოვაკარი (56), 3:1 ლუპოლი (78-პენ.).

**მოდენა-ტერნანა 1:2**

გოლები: 0:1 ლიტერი (81), 1:1 არდემანი (87-პენ.), 1:2 ლიტერი (90-პენ.).

**პადოვა-ლივორნო 0:0**

**პრო ვერჩელი-რეჯინა 0:0**

**სპეცია-ვერონა 0:1**

გოლი: 0:1 კაჩა (81).

**ვარეზე-ლანჩანო 1:2**

გოლები: 0:1 ტურჩი (44), 1:1 ებაგუა (75), 1:2 ვოლპე (86-პენ.).

**იუვე სტაბია-ბრეშა** 28 იანვარი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სასუოლო | 23 | 16 | 3 | 4 | 47-17 | 51 |
| 2. ლივორნო | 23 | 14 | 6 | 3 | 45-29 | 48 |
| 3. ვერონა | 23 | 13 | 7 | 3 | 36-18 | 46 |
| 4. ვარეზე | 23 | 10 | 7 | 6 | 31-27 | 36 |
| 5. ემპოლი | 23 | 9 | 7 | 7 | 38-37 | 33 |
| 6 მოდენა | 23 | 9 | 7 | 7 | 31-26 | 32 |
| 7. ბრეშა | 22 | 7 | 10 | 5 | 33-26 | 31 |
| 8. პადოვა | 23 | 8 | 9 | 6 | 28-27 | 31 |
| 9. ასკოლი | 23 | 9 | 5 | 9 | 30-30 | 31 |
| 10. იუვე სტაბია | 22 | 8 | 6 | 8 | 34-32 | 30 |
| 11. ჩიტადელა | 23 | 8 | 6 | 9 | 27-32 | 30 |
| 12. სპეცია | 23 | 7 | 7 | 9 | 30-32 | 28 |
| 13. ტერნანა | 23 | 7 | 7 | 9 | 25-27 | 28 |
| 14. ნოვარა | 23 | 8 | 5 | 10 | 30-26 | 25 |
| 15. კროტონე | 23 | 7 | 6 | 10 | 22-31 | 25 |
| 16. ლანჩანო | 23 | 5 | 10 | 8 | 21-31 | 25 |
| 17. ბარი | 23 | 8 | 7 | 8 | 32-28 | 24 |
| 18. რეჯინა | 23 | 6 | 8 | 9 | 20-27 | 24 |
| 19. ჩეზენა | 23 | 5 | 9 | 9 | 26-41 | 24 |
| 20. ვიჩენცა | 23 | 3 | 10 | 10 | 26-35 | 19 |
| 21. პრო ვერჩელი | 23 | 4 | 4 | 15 | 19-40 | 16 |
| 22. გროსეტო | 23 | 4 | 8 | 11 | 25-37 | 14 |

**შენიშვნა:** ბარი – 7, გროსეტო – 6 ქულა, ნოვარა – 4, რეჯინა – 2, პადოვა – 2, მოდენა – 2, კროტონე — 2, ემპოლი – 1, ასკოლი – 1, ვარეზე – 1 ქულა.

**ბომბარდირები:** 14 — სანსოვინი (სპეცია), კაჩა (ვერონა); 13 — არდემანი (მოდენა), სილიგარდი (ლივორნო); 12 — ძაძა (ასკოლი);

### სერია C1/A

კუნეო-რეჯანა 0:0, ლუმეცანე-ტრიტიუმი 5:2, სან მარინო-ფერალპიზალო 0:1

### სერია C1/B

ნოჩერინა-პრატო 4:2

# უცხოური ფეხბურთი

**● საფრანგეთი. ლიგა 1. XXII ტური.**



რომენ ალესანდრინიმ საკუთარ გუნდს ქულა გადაურჩინა

# ასეთებიც ხდება: ნანსიმ მოიგო

**ვალანსიენი–ლიონი 0:2**

**გოლები:** 0:1 ფოფანა (8), 0:2 გომისი (28).

**რენი–მარსელი 2:2**

**გოლები:** 0:1 ა. აიუ (38), 1:1 ტეოფილ კატერინი (59), 1:2 ჟ. აიუ (83), 2:2 ალესანდრინი (88).

**ნანსი–ლორიანი 2:1**

**გოლები:** 1:0 ალოო ეფულლუ (36), 1:1 ალიადიერი (50), 2:1 პუიგრენიე (71).

**ტრუა–ბრესტი 2:1**

**გოლები:** 1:0 კამიუ (44), 2:0 დარბიონი (54), 2:1 ბენ ბასატი (61).

**ევიანი–აიაჩო 1:1**

**გოლები:** 0:1 ოლიეჩი (36), 1:1 ვასი (54).

**მონპელიე–სოშო 2:0**

**გოლები:** 1:0 ერერა (28), 2:0 უტაკა (34).

**რეიმსი–ტულუზი 1:1**

**გოლები:** 0:1 კაპუ (56), 1:1 კრიხოვიაკი (74).

**სტ. ეტიენი–ბასტია 3:0**

**გოლები:** 1:0 ბრანდაო (9), 2:0 ობამეიანი (79), 3:0 გილავოგი (85).

**ნიცა–ბორდო 0:1**

**გოლი:** 0:1 საივე (58).

**პსჟ–ლილი 1:0**

**გოლი:** 1:0 ჩექჯი (68 - საკ. კარში).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 22 | 13 | 6 | 3 | 38-12 | 45 |
| 2. ლიონი | 22 | 13 | 6 | 3 | 37-18 | 45 |
| 3. მარსელი | 22 | 13 | 3 | 6 | 30-27 | 42 |
| 4. რენი | 22 | 11 | 3 | 8 | 33-28 | 36 |
| 5. ბორდო | 22 | 8 | 11 | 3 | 24-15 | 35 |
| 6. ნიცა | 22 | 9 | 8 | 5 | 33-27 | 35 |
| 7. სტ. ეტიენი | 22 | 9 | 7 | 6 | 30-16 | 34 |
| 8. ლორიანი | 22 | 9 | 7 | 6 | 36-35 | 34 |
| 9. მონპელიე | 22 | 9 | 5 | 8 | 35-27 | 32 |
| 10. ტულუზი | 22 | 8 | 7 | 7 | 30-24 | 31 |
| 11. ლილი | 22 | 7 | 9 | 6 | 26-23 | 30 |
| 12. ვალანსიენი | 22 | 8 | 6 | 8 | 32-32 | 30 |
| 13. ბასტია | 22 | 7 | 4 | 11 | 28-47 | 25 |
| 14. ბრესტი | 22 | 7 | 3 | 12 | 23-31 | 24 |
| 15. აიაჩო | 22 | 5 | 9 | 8 | 23-31 | 22 |
| 16. სოშო | 22 | 6 | 4 | 12 | 21-32 | 22 |
| 17. ევიანი | 22 | 5 | 6 | 11 | 23-35 | 21 |
| 18. რეიმსი | 22 | 4 | 8 | 10 | 18-24 | 20 |
| 19. ტრუა | 22 | 3 | 7 | 12 | 25-43 | 16 |
| 20. ნანსი | 22 | 2 | 9 | 11 | 20-38 | 15 |

**შენიშვნები:** „აიაჩოს" – 2 ქულა

**ბომბარდირები:** 19 – იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ ჟერმენი); 12 – ცვიტანიჩი (ნიცა), გომისი (ლიონი); 9 – ალესანდრინი (რენი), ბენ ბასატი (ბრესტი), ბენ იედერი (ტულუზი), მოდესტი (ბასტია), ობამეიანი (სენტ ეტიენი).

ლიგა 1-ის 22-ე ტური პარასკევს დაიწყო. ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი „ლიონი", ვალანსიენში **ჯიმი ბრიანის** და **ლისანდრო ლოპესის** გარეშე ჩავიდა, რითაც ამ ფეხბურთელების გუნდიდან წასვლა პრაქტიკულად დადასტურდა. მიუხედავად დანაკლისისა, სტუმრებმა იოლი გამარჯვება მოიპოვეს. გოლები **გეიდა ფოფანამ** და **ბაფეტიმბი გომისმა**, შესაბამისად მე-8 და 28-ე წუთებზე გაიტანეს. გომისისთვის ეს გოლი ჩემპიონატში უკვე მე-12 იყო და პირველი 2013 წელს.

ამ მოგების წყალობით „ლიონმა" 45 ქულა მოაგროვა და სატურნირო ცხრილში სამი ქულით გაუსწრო „მარსელს", რომელმაც შაბათს **იან მვილას** გარეშე დარჩენილ „რენთან" ორი ქულა დაკარგა. სტუმრების მხრიდან გოლები **ანდრე აიუმ** და **ჟორდან აიუმ** გაიტანეს, „რენისგან" კი თავი **კევინ ტეოფილ კატერინმა** და **რომენ ალესანდრინიმ** გამოიჩინეს. ეს უკანასკნელი შესანიშნავ ფორმაშია – 23 წლის ფეხბურთელმა ბოლო 11 შეხვედრაში 7 გოლი გაიტანა.

ტურის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა აუტსაიდერების კარგი გარჯა იყო. „ტრუამ" მძიმე ბრძოლაში „ბრესტს" მოუგო, რომლის მხრიდანაც მორიგი გოლი გაიტანა **ედენ ბენ ბასატმა.** თავისი გმირი „ტრუასაც" ჰყავს: ბოლო პერიოდში ბრწყინავს **ფაბიენ კამიუ** – გენიალური მწერლის მოგვარემ, ყველა ტურნირზე, ბოლო 7 შეხვედრაში 6 გოლი გაიტანა, არადა კამიუ ნახევარმცველია.

„ტრუას" გამარჯვებაზე მეტად, ალსანიშნავი „ნანსის" ასპარეზობაა. **პატრიკ გაბრიელის** შეგირდებმა 20-მატჩიანი (!) მოუგებელი სერია შეწყვიტეს და აგვისტოს შემდეგ პირველი გამარჯვება მოიპოვეს. ჩემპიონატში პირველი გოლი გაიტანა **პოლ ალოო ეფულუმ,** რომელმაც რამდენიმე დღით ადრე, თასზე „ნიცასთან" დუბლი გაიფორმა. რაც შეეხება **სებასტიენ პუიგრენიეს,** ვეტერანმა მცველმა, ლიგა 1-ის მიმდინარე სეზონში მესამე გოლი გაიტანა და გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. სამი გოლი „ნანსის" რიგებში წელს ასევე **ჯამელ ბაკარმა** და „სენტ ეტიენში" განათხოვრებულმა **იოან მოლომ** გაიტანეს.

იოლი გამარჯვება მოიპოვა „სენტ ეტიენმა" და სატურნირო ცხრილში მეშვიდე პოზიცია დაიკავა. 8-მატჩიანი უგოლო სერია შეწყვიტა **პიერ-ემერიკ ობამეიანმა,** რომელმაც 79-ე წუთზე ანგარიში 2:0 გახადა. გაბონელს ლიგა 1-ში 10 ნოემბრის შემდეგ არ გაეტანა.

მოულოდნელი შედეგი დაფიქსირა ნიცაში, სადაც მასპინძელმა „ბორდოსთან" წააგო. **კლოდ პუელის** გუნდს ბოლო 6 საშინაო მატჩი მოგებული ჰქონდა, წაგებით კი 11 აგვისტოს შემდეგ არ წაეგო, როდესაც „ნიცა" ჩემპიონატის პირველ ტურში „აიაჩოსთან" დამარცხდა. ამ მოგების წყალობით, „ბორდო" მეტოქეს ქულებით გაუთანაბრდა და ბურთების უკეთესი სხვაობის გამო, სატურნირო ცხრილში გადაასწრო.

## ჰოლანდია

**ერედივიზიე. XX ტური.**

**ვენლო–ალკმაარი 1:4**

**გოლები:** 0:1 მაერი (27), 1:1 ნვოფორი (52), 1:2 გორტერი (55-პენ), 1:3 ალტიდორი (62), 1:4 რეინენი (66).

**ზვოლე–ჰერენვენი 1:1**

**გოლები:** 0:1 ფინბოგასონი (46), 1:1 ავდიჩი (84).

**დენ ჰააგი–როდა 2:2**

**გოლები:** 1:0 ვან დუინენი (14), 1:1 ლებედინსკი (45), 2:1 ჰოლა (78-პენ), 2:2 ფლედერუსი (88).

**ვაალვაიკი–ბრედა 0:4**

**გოლები:** 0:1 ვერბეეკი (56), 0:2 ბუისი (58), 0:3 სხალკი (80), 0:4 ბოტეგინი (90).

**ჰერაკლესი–პსვ 1:5**

**გოლები:** 0:1 მატავჟი (23), 0:2 ლენსი (35), 1:2 ევერტონი (62), 1:3 ვაინალდუმი (66), 1:4 მერტენსი (72), 1:5 ვაინალდუმი (76).

**ვიტესი–აიაქსი 3:2**

**გოლები:** 0:1 **კაშია** (33-საკ. კარში), 0:2 ერიკსენი (64), 1:2 ტ. იანსენი (68), 2:2 ვან აანჰოლტი (79), 3:2 იბარა (81).

**ფეიენოორდი–ტვენტე 0:0**

**უტრეხტი–ვილემ II 3:1**

**გოლები:** 1:0 კალი (48), 2:0 დუპლანი (67), 3:0 სხეპერსი (89), 3:1 ემუტი (90).

**ნაიმეგენი–გრონინგენი 2:1**

**გოლები:** 1:0 ვან აიდენი (10), 1:1 კოოლვაიკი (67-საკ. კარში), 2:1 რიკსი (80)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსვ | 20 | 14 | 1 | 5 | 66-22 | 43 |
| 2. ტვენტე | 20 | 12 | 6 | 2 | 35-14 | 42 |
| 3. აიაქსი | 20 | 11 | 7 | 2 | 47-23 | 40 |
| 4. ვიტესი | 20 | 11 | 5 | 4 | 38-24 | 38 |
| 5. ფეიენოორდი | 20 | 11 | 5 | 4 | 37-26 | 38 |
| 6. უტრეხტი | 20 | 10 | 6 | 4 | 29-20 | 36 |
| 7. ნაიმეგენი | 20 | 7 | 6 | 7 | 26-33 | 27 |
| 8. დენ ჰააგი | 20 | 5 | 10 | 5 | 33-32 | 25 |
| 9. ალკმაარი | 20 | 6 | 6 | 8 | 31-34 | 24 |
| 10. ვაალვაიკი | 20 | 5 | 8 | 7 | 24-26 | 23 |
| 11. ჰერაკლესი | 20 | 5 | 8 | 7 | 37-40 | 23 |
| 12. გრონინგენი | 20 | 5 | 5 | 10 | 19-32 | 20 |
| 13. ბრედა | 20 | 5 | 5 | 10 | 20-37 | 20 |
| 14. ზვოლე | 20 | 4 | 7 | 9 | 21-31 | 19 |
| 15. ჰერენვენი | 20 | 4 | 7 | 9 | 28-40 | 19 |
| 16. როდა | 20 | 4 | 7 | 9 | 26-39 | 19 |
| 17. ვენლო | 20 | 3 | 6 | 11 | 23-43 | 15 |
| 18. ვილემ II | 20 | 2 | 7 | 11 | 18-42 | 13 |

**ბომბარდირები:** 16 – ბონი (ვიტესი); 15 – ალტიდორი (ალკმაარი), ფინბოგასონი (ჰერენვენი); 14 – პელე (ფეიენოორდი); 10 – იმერსი (ფეიენოორდი), მატავჟი (პსვ ეინდჰოვენი).

**ტატო ბაციკაძე**

**● აფრიკის თასი. სამხრეთ აფრიკა 2013. ჯგუფური ეტაპი. II და III ტური.**

# სიკვდილის ჯგუფის პირველი მსხვერპლი

## მესამე ტური შესანიშნავად დაიწყო

**II ტური. D ჯგუფი**

**კოტ დივუარი–ტუნისი 3:0**

**გოლები:** 1:0 ჟერვინიო (21), 2:0 იაია ტურე (87), 3:0 ია კონანი (90).

**ალჟირი–ტოგო 0:2**

**გოლები:** 0:1 ადებაიორი (31), 0:2 დ. ვომე (90).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოტ დივუარი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2. ტოგო | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 3. ტუნისი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| 4. ალჟირი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

**III ტური. A ჯგუფი**

**მაროკო–ს. აფრიკა 2:2**

**გოლები:** 1:0 ელ ადუა (10), 1:1 მაჰლანგუ (71), 2:1 ჰაფიდი (82), 2:2 სანგვენი (86).

**კაბო ვერდე–ანგოლა 2:1**

**გოლები:** 0:1 ნანდო (33-საკ. კარში), 1:1 ფ. ვარელა (81), 2:1 ელდონი (90).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ს. აფრიკა | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| 2. კაბო ვერდე | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 3. მაროკო | 3 | 0 | 3 | 0 | 3-3 | 3 |
| 4. ანგოლა | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |

აფრიკის თასის მეორე ტური შაბათს დასრულდა და გაირკვა პირველი გუნდი, რომელიც ტურნირს გამოეთიშა. ალჟირის ნაკრებმა, ტოგოსთან წაგებული მატჩის შემდეგ, ჯგუფიდან გასვლის ყველანაირი შანსი დაკარგა. მიუხედავად იმისა, რომ ალჟირელებს რამდენიმე ლიდერი აკლდათ, ეს გუნდი მაინც ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა და მათი მხრიდან ასეთი უსუსური ასპარეზობა ძალიან მოულოდნელი იყო. ტოგოელთა მხრიდან, რა თქმა უნდა, **ემანუელ ადებაიორი** გამოირჩეოდა, რომელმაც ერთი გოლი გაიტანა და შეხვედრის ბოლოს საგოლე პასიც გააკეთა. ალსანიშნავია, რომ მატჩი დაახლოებით 20 წუთით შეწყდა, რადგან ერთ-ერთი კარის ძელი გადაიხარა და პიზის კოშკის პოზა მიიღო. ამის გამო არბიტრმა მატჩს 20 წუთი დაამატა.

მეორე გამარჯვება მოიპოვა კოტ დივუარმა და 1/4 ფინალის საგზური მოიპოვა. სპილოს ძვლის სანაპიროს ნაკრები ტუნისს ხვდებოდა, რომელიც ალჟირის არ იყოს, ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტია. ანგარიში 21-ე წუთზე **ჟერვინიომ ლასინა ტრაორეს** გადაცემის შემდეგ გახსნა. კოტ დივუარს დიდი უპირატესობა არ ჰქონდა და მატჩის საბოლოო ანგარიში ნამდვილად არ ასახავს იმას, თუ რა ხდებოდა მოედანზე. მაყურებელი დაძაბულ შეხვედრას 87-ე წუთამდე ადევნებდა თვალს, მატჩის ბოლო სამ წუთში კი **საბრი ლამუშის** შეგირდება ორი გოლი გაიტანეს (**იაია ტურე** და **დიდიე ია კონანი**) და საბოლოოდ დიდი ანგარიშით მოიგეს.

როგორც უკვე ვთქვით, კოტ დივუარი ჯგუფიდან გავიდა, ალჟირი კი ჩარჩა, ასე რომ მეორე საგზურის მფლობელს ტოგო და ტუნისი ურთიერთშეხვედრაში გაარკვევენ.

### ბოლო წუთების დრამა

საოცრად დასრულდა A ჯგუფი, სადაც ბოლო ტურის წინ ჯგუფიდან გასვლის შანსი ყველა გუნდს ჰქონდა. პირველი ტაიმების მერე, მაროკო სამხრეთ აფრიკას უგებდა, ანგოლა კი კაბო ვერდეს და ყველაფერი თითქოს ლოგიკურად მიდიოდა – ამ სიტუაციში ჯგუფიდან ფავორიტები, მაროკო და ტურნირის მასპინძელი გადიოდნენ.

სიტუაცია მატჩების ბოლო 20 წუთში აირია: 71-ე წუთზე, სამხრეთ აფრიკამ **მეი მაჰლანგუს** გოლის წყალობით ანგარიში გაათანაბრა. ახლა უკვე ჯგუფიდან სამხრეთ აფრიკა და ანგოლა გადიოდნენ, მაგრამ დანებებას არ აპირებდა კაბო ვერდე, რომელმაც 81-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა და ვირტუალურ მეორე ადგილზე მაროკოს ნაკრების გადაიყვანა. მას შემდეგ, რაც მაროკო მეორედ დაწინაურდა (**აბდელილაჰ ჰაფიდი**), თითქოს ყველაფერი გაირკვა, მაგრამ მაყურებელს საოცარი ფინალი ელოდა – 86-ე წუთზე **სიაბონგა სანგვენიმ** ტურნირზე უკვე მეორე გოლი გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა, პარალელურ შეხვედრაში კი კაბო ვერდე დაწინაურდა – ეს კი ნიშნავდა იმას, რომ მაროკო ტურნირს მიღმა რჩებოდა. შეხვედრის ბოლო წამებზე მაროკო აქტიურ შეტევაზე გადავიდა, მაგრამ გოლის გატანა და ჯგუფში სამხრეთ აფრიკის ჩატოვება ვერ შეძლო. საბოლოოდ, მაროკომ მესამე ადგილი დაიკავა, 1/4 ფინალში კი სამხრეთ აფრიკა და კაბო ვერდე გავიდნენ.

**ტატო ბაციკაძე**




მაროკო-სამხრეთ აფრიკა

**● ტრანსფერი**

# დროგბაც გალათასარაიში

„შანხაის" ფორვარდმა **დიდიე დროგბამ** კარიერის გაგრძელება თურქულ „გალათასარაიში" გადაწყვიტა.

34 წლის დივუარელმა სტამბოლში 1,5-წლიანი კონტრაქტი შეათანხმა, რომლის განმავლობაში ფეხბურთელი 7,5 მილიონ ევროს მიიღებს. დროგბას შემდეგ „გალათასარაიში" **კოლო ტურეც** მიდის.

შეგახსენებთ, რომ ახლხან „გალას" რიგები **ვესლი სნეიდერმა** გააძლიერა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ესპანეთი. ლა ლიგა. XXI ტური

# რონი ჰეთ თრიკი
# მესი პოკერი

## როცა საკლუბო ინტრიგა მკვდარია, სუპერვარსკვლავთა რბოლა გვახალისებს

10 გოლი და ერთი თამაში მარაგში იანვარში (31-ში თასზე „ბარსელონას-თან“) - ასეთია კრიშტიანო რონალდოს გოლთა დინამიკა 2013 წელს. „ხეტაფეს“ კარში ჰეთთრიკს სულ 10 წუთი ეყო, სამი გოლი ერთ მატჩში პორტუგალიელმა, აგერ უკვე, მეოცედ გაიტანა კარიერაში, სულ კი საკლუბო ასპარეზზე 302 გოლი დაუგროვდა. შეგახსენებთ, რომ რონი ჯერ მხოლოდ 27 წლისაა.

თხა თხაზე ნაკლების პრინციპით, ლიონელ მესიმ ზედიზედ მე-11 ტურში გაიტანა გოლ(ებ)ი და ესპანურ ფეხბურთს მორიგი რეკორდი აჩუქა. ლეომ პორტუგალიელს ამ ტურში აჯობა - „ოსასუნას“ კარში პოკერი მიითვალა, 2013 წელს კი მის ანგარიშზე 9 გოლია. ლეოს ლა ლიგაში 200-ზე მეტი გოლი დაუგროვდა, ასეთი შედეგი კი სულ 7 გოლეადორს აქვს, მაგრამ არც ერთს არ მიუღწევია 200-გოლიანი ზღვრისთვის 25 წლის ასაკში.

ვფიქრობთ, თუ ასე გაგრძელდა 2012 წლის მიღწევას (მესი - 91 გოლი) ორივე ფეხბურთელი გააუმჯობესებს.



ლეო მესიმ ლა ლიგაში 200 გოლზე მეტი გაიტანა



კრიშტიანო რონალდომ კარიერაში მე-20 ჰეთთრიკი შეასრულა

### ასპასის ზურგი - სელტას აქილევსის ქუსლი

წინა ტურის გმირმა, „რეალ სოსიედადმა“ („ბარსელონას“ დამმარცხებელმა) არც ამჯერად გაანბილა გულშემატკივარი, ბოლო 11 ტურში ბასკებს მხოლოდ ერთი წაგება აქვთ, თუმცა ვიგოდან მათ სამი ქულის წაღებაც შეეძლოთ, რადგან ნახევარი მატჩი რიცხობრივ უპირატესობაში ითამაშეს და სჯობდნენ კიდევაც მასპინძლებს. ანგარიში „სელტას“ დანიელმა ლეგიონერმა **მიკაელ კრონ-დელიმ** ლამაზი კომბინაციის შემდეგ გახსნა. მაგრამ გალისიელთათვის ყველაზე ცუდი 35-ე წუთზე მოხდა, როცა ზურგი დაიშავა მათმა საუკეთესო ფეხბურთელმა **იაგო ასპასმა** და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო (ასპასი მხოლოდ შესვენებაზე შეცვალეს, მანამდე კი „სელტა“ 10 კაცით თამაშობდა). მეორე ტაიმიც ცუდად დაიწყო „სელტასთვის“ - ხელით ითამაშა **აუგუსტო ფერნანდესმა** და მეორე ყვითელი ბარათი მიიღო. ბასკებმა მალე ისარგებლეს რიცხობრივი უპირატესობით - **გონსალო კასტროს** კუთხური **გორკა ელუსტონდომ** თავურით საპასუხო გოლად აქცია, მაგრამ მეტს ველარ შეწვდნენ - 1:1.

### ბებერი ხარის საჯარიმო

„ლევანტემ“ უსიამოვნო სერია ავტოგოლის წყალობით შეწყვიტა. არადა, თავიდან „ვალიადოლიდი“ დაწინაურდა - **ხავიერ ბარახამ** უფროსი ძმის სტილში (ხავიერი ესპანეთის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველის, **რუბენ ბარახას** ძმაა) შორეული დარტყმით დააწინაურა სტუმრები. ვალენსიელთა პასუხი იყო გოლი-შედევრი **ხოსე ბარკეროს** შესრულებით, ვეტერანმა საჯარიმო ისე დაარტყა, ცოცხალ კედელს შემოატარა და მეკარის მარცხენა კუთხის „ცხრიანში“ ჩაახვია. „ლევანტე“ ჯობდა მეტოქეს მერეც, თუმცა რომ არა **რუკავინას** შეცდომა, რომელმაც ბურთი **მარტინსს** „მოჰპარა“, მაგრამ ველარ შეიმაგრა, მიზანს ვერ მიაღწევდა.

### არც კარგი და არც ცუდი

**ხავიერ აგირეს** ხელში „ესპანიოლი“ მოყოჩაღდა, ბარსელონურმა კლუბმა არაგონის დედაქალაქიდან ქულა წაიღო შინ. თამაშში ყველაზე მეტად ნიღბიანი **კრისტიან სტუანის** თავური დაგვამახსოვრდა, რომელიც **რობერტო გაგომ** სასწაულებრივ აიღო. მე-2 ტაიმში ორჯერ უკიდურესად იუხეშეს ფეხბურთელებმა - მსაჯმა ჯერ სტუმარი **ხავი ლოპესი**, შემდეგ მასპინძელი **კრისტიან სეპუნარუ** გააძევა.

**მანოლო ხიმენესი** (სარაგოსა): *„ქუ-ლა კარგი არაა, მაგრამ არც ცუდია“.*

**ხავიერ აგირე** (ესპანიოლი): *„არც ერთ გუნდს არ უნდა შეცდომების დაშვება, რომელთაც მათ კარში გოლი მოჰყვებოდა, აქედან სიფრთხილეც“.*

### რიასორი არ მოგვაწყენს

„რიასორზე“, ტრადიციულად, ბრწყინვალე მატჩი გაიმართა, რომლის კვანძიც მე-2 დამატებული წუთის მიწურულს გაიხსნა, მექსიკელი **ანდრეს გუარდადოს** ჩაწოდებულს უმეთვალყურეოდ დატოვებული პორტუგალიელი მცველი **რიკარდო კოშტა** გამოეხმაურა და „ვალენსიამაც“ 3:2 იმარჯვა. ამ ეპიზოდს **პაულო ასუნსაოს** გაძევება მოყვა, რაც მეორე იყო „დეპორტივოსთვის“ (მანამდე **სილვიო** გააძევეს).

მატჩის ჩარხი ორჯერ შეტრიალდა - ჯერ „ვალენსია“ იგებდა, **ჟონასმა** თავით მატჩის 31-ე (!) წამზე გაიტანა, შემდეგ კი მასპინძელთა ფორვარდმა **რიკიმ** დუბლი (განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მეორე გოლი) შეასრულა. მე-2 ტაიმში, სილვიოს გაძევების შემდეგ, **ნელსონ ვალდესმა** გაათანაბრა.

**დომინგუშ პასიენსია** (დეპორტივო): *„ძნელია ეს წაგება ახსნა. პირველივე წუთიდან მდევრის როლში ვიყავით, თუმცა შევძელით წინ გასვლა, მაგრამ დაცვაში ინდივიდუალურმა შეცდომებმა გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია. ფეხბურთელებს არ ვუკარგავ მონდომებას, მაგრამ თუ სულ ასე შეცდებიან, უკეთეს შედეგს ვერ მიიღებენ“.*

**ერნესტო ვალვერდე** (ვალენსია): *„დეპორტივომ“ მეორე გოლი კონტრშეტევაზე გაიტანა, ამით ცუდ მდგომარეობაში ჩაგვაგდო. ძალიან გაგვიჭირდა მოგება, მეტოქე ტურნირის ფსკერზეა და მთელი ძალებით იბრძვის“.*

### ჰეთთრიკი ათ წუთში

„რეალმა“ მცირე მადრიდულ დერბიში 4:0 გაანადგურა „ხეტაფე“, თუმცა პირველი ტაიმის შემდეგ 0:0 იყო. **კრიშტიანო რონალდომ** ჰეთთრიკი შეასრულა, პირველი გოლი კი **სერხიო რამოსის** ანგარიშზეა.

რონალდომ საკლუბო მატჩებში 300-გოლიან ზღვარს გადააბიჯა, ახლა მის ანგარიშზე 302 გოლია. აქედან 179 გოლი რონალდომ „რეალის“ მაისურით გაიტანა, 118-ჯერ „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში გამოირჩა, 5-ჯერ „სპორტინგის“.

**აიტორ კარანკა** (რეალი): *„რეალის“ პროგრესი აშკარაა. პირველ ტაიმში მომენტებს ვერ ვიყენებდით, მეორეში ყველაფერი გამოსწორდა. კრიშტიანო რონალდომ მცირე ტრავმა მიიღო და ყოველი შემთხვევისთვის, გამოვცვალეთ“.*

**ლუის გარსია** (ხეტაფე): *„კრიშტიანო შთამბეჭდავი ფეხბურთელია, ხოლო ფიზიკური კონდიციებით ის ყველას სჯობს“.*

### გოლთაცვენა კამპ ნოუზე

„ბარსელონამ“ 5:1 გაანადგურა „ოსასუნა“, რომელმაც ტაიმ-ნახევარი 10 კაცით ითამაშა (**არიბასი** გააძევეს) და აგრძელებს ერთპიროვნულ ლიდერობას ესპანეთის ჩემპიონატში ხუთიდან 4 გოლი კი **ლეო მესის** ანგარიშზეა. სხვა თამაშებიდან გამოვყოფთ „რაიო ვალეკანოს“ მოულოდნელ გამარჯვებას „ბეტისზე“ - 3:0.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## პორტუგალია

### ლიგა საგრეში. XVI ტური

**აკადემიკა-ბეირა მარი 3:1**
გოლები: 1:0 მარინიო (15), 2:0 ედინიო (34), 3:0 კლეიტონი (36), 3:1 რუბენ რიბეირო (84-პენ)

**ბრაგა-ბენფიკა 1:2**
გოლები: 0:1 სალვიო (5), 0:2 ლიმა (35), 1:2 პედრო (77)
გაძევება: ჰაასი (85. ბრაგა)

**მორეირენშე-ფერეირა 0:5**
გოლები: 0:1 ურტადო (24), 0:2 ვიტორი (45), 0:3 ურტადო (56), 0:4 ლუის კარლუში (69), 0:5 ვიტორი (89)

**მარიტიმუ-რიუ ავე 1:1**
გოლები: 1:0 რობერჟი (42), 1:1 ჰასანი (43)

**სეტუბალი-ნასიონალი 0:2**
გოლები: 0:1 რონდონი (51), 0:2 კანდეიაში (67)

**სპორტინგი-გიმარაეში 1:1**
გოლები: 0:1 ჩანდაო (53 ს.კ.), 1:1 ვან ვოლფსვინკელი (56)

**ეშტორილი-ოლანენშე 3:3**
გოლები: 1:0 ვიტორია (9-პენ), 1:1 ტარანგო (20), 2:1 ვიტორია (29-პენ), 3:1 ევანდრო (46), 3:2 მაურისიო (59), 3:3 დუარტე (68-პენ)
გაძევება: ა. ლუიში (67. ეშტორილი)

**28 იანვარი**

**პორტუ-ჟილ ვისენტე 00:00**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 16 | 13 | 3 | 0 | 41-12 | 42 |
| 2. პორტუ | 15 | 12 | 3 | 0 | 35-8 | 39 |
| 3. ბრაგა | 16 | 9 | 2 | 5 | 35-21 | 29 |
| 4. ფერეირა | 16 | 7 | 7 | 2 | 22-12 | 28 |
| 5. რიუ ავე | 16 | 6 | 4 | 6 | 19-21 | 22 |
| 6. გიმარაეში | 16 | 5 | 6 | 5 | 18-23 | 21 |
| 7. აკადემიკა | 16 | 4 | 7 | 5 | 24-25 | 19 |
| 8. სპორტინგი | 16 | 4 | 7 | 5 | 15-17 | 19 |
| 9. ეშტორილი | 16 | 5 | 4 | 7 | 24-25 | 19 |
| 10. მარიტიმუ | 16 | 4 | 7 | 5 | 14-23 | 19 |
| 11. ნასიონალი | 16 | 5 | 3 | 8 | 22-28 | 18 |
| 12. ჟილ ვისენტე | 15 | 3 | 6 | 6 | 14-20 | 15 |
| 14. ოლანენშე | 16 | 3 | 6 | 7 | 19-26 | 15 |
| 13. სეტუბალი | 16 | 3 | 5 | 8 | 19-33 | 14 |
| 15. ბეირა მარი | 16 | 3 | 5 | 8 | 20-29 | 14 |
| 16. მორეირენშე | 16 | 1 | 5 | 10 | 14-32 | 8 |

ბომბარდირები: 14 - ჯექსონ მარტინესი (პორტუ); 13 - ოსკარ კარდოსო (ბენფიკა), ალბერტ მეიონგი (სეტუბალი).

**სელტა-სოსიედადი 1:1**

**გოლები:** 1:0 კრონ-დელი (32), 1:1 ელუსტონდო (59)
**სელტა (4-2-3-1):** ვარასი - ხონი, კაბრალი, დემიდოვი, ლაგო - ოუბინია, ბერმეხო (55. პრანიჩი) - ა. ფერნანდესი, პარკი (61. ინსა), კრონ-დელი - ასპასი (46. ა. ლოპესი).
**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი, ელუსტონდო, ი. მარტინესი, დე ლა ბელა - ილარამენდი (76. პარდო), ბერგარა - ველა, ჩაბი პრიეტო, გ. კასტრო (69. გრიზმანი) - იფრანი (60. აგირეჩე).
**გაფრთხილება:** კრონ-დელი, კაბრალი, ფერნანდესი, ლაგო, პარკი - ელუსტონდო, დე ლა ბელა, ბერგარა
**გაძევება:** ფერნანდესი (50), პაკო ერერა (მწვრთნელი)
**კუთხური:** 5-8; **ჯარიმა:** 15-8; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 11-17 (4-4); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.
**მაყურებელი:** 17 000

**ლევანტე-ვალიადოლიდი 2:1**

**გოლები:** 0:1 ბარახა (8), 1:1 ბარკერო (44), 2:1 რუკავინა (90 ს.კ.)
**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - ლელი, ბალესტეროსი (31. როდასი), დ. ნავარო, ხუანფრანი - იბორა, დიოპი - ელ-ზჰარი, ბარკერო (77. ხუანლუ), რუბენ გარსია (68. ვალდო) - მარტინსი.
**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** დ. ერნანდესი - რუკავინა, სერენო, ვალიენტე, პენია - რუბიო, ბარახა (76. სასტრე) - ლარსონი, ოსკარი (88. ნეირა), ომარი (63. ბუენო) - გერა.
**გაფრთხილება:** მარტინსი, ხუანფრანი, იბორა - ვალიენტე
**კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 12-10; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 16-11 (7-5); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.
**მაყურებელი:** 19 000

**სარაგოსა-ესპანიოლი 0:0**

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - სეპუნარუ, ალვარო, პარედესი, აბრაამი - პინტერი (72. ე. ორიოლი), მოვილია - სუკულინი (90. ხოსე მარი), ვ. როდრიგესი (83. ხ. ფერნანდესი), მონტანიესი - პოშტიგა.
**ესპანიოლი (4-3-3):** კასილია - ხ. ლოპესი, კოლოტო, მორენო, კაპდევილა - ვ. სანჩესი (50. კ. გომესი), ფორლინი, ბაენა - სტუანი (79. რ. როდრიგესი), ს. გარსია, სიმაო.
**გაფრთხილება:** აბრაამი, სეპუნარუ - ლოპესი, სანჩესი, სტუანი, გომესი
**გაძევება:** ლოპესი (79), სეპუნარუ (82)
**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 16-17; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 14-5 (4-2); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.
**მაყურებელი:** 27 000

**დეპორტივო-ვალენსია 2:3**

**გოლები:** 0:1 ჟონასი (1), 1:1 რიკი (32), 2:1 რიკი (45), 2:2 ვალდესი (62), 2:3 რ. კოშტა (92)
**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია - მ. პაბლო, აიტამი, ზე კაშტრო, სილვიო - ბერგანტინიოსი, პ. ასუნსაო - გამა (76. კამუნიასი), ანდრე სანტოსი (53. ხ. ვასკესი), პიცი - რიკი (69. ოლივეირა).
**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - ჟ. პერეირა, რამი, რ. კოშტა, გუარდადო - ტინო კოსტა, რუისი (54. ბერნატი) - პიატი, ბანეგა (84. კანალესი), ჟონასი (46. ვიერა) - ვალდესი.
**გაფრთხილება:** გამა, პაბლო, სილვიო - პიატი, კოსტა
**გაძევება:** სილვიო (52), ასუნსაო (93)
**კუთხური:** 8-12; **ჯარიმა:** 17-10; **თამაშგარე:** 1-7; **კარში დარტყმა:** 11-22 (7-12); **ბურთის ფლობა:** 34%-66%.
**მაყურებელი:** 25 000

**რეალი-ხეტაფე 4:0**

**გოლები:** 1:0 ს. რამოსი (52), 2:0 რონალდო (62), 3:0 რონალდო (65), 4:0 რონალდო (72-პენ)
**რეალი (4-2-3-1):** ადანი - ს. რამოსი, ალბიოლი (46. ხედირა), რ. კარვალიო, ფ. კოენტრაო - ესიენი, მოდრიჩი - დი მარია, იოზილი (68. კალეხონი), რონალდო (77. ბენზემა) - იგუაინი.
**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - ვალერა, ლოპო, ალექსისი, მ. ტორესი - ხ. ტორესი (69. მიჩელი), ბორხა - სარაბია (67. ფრაილე), დ. კასტრო, გავილანი - კოლუნგა (76. ა. ვასკესი).
**გაფრთხილება:** ალბიოლი, იოზილი - მ. ტორესი, გავილანი, მოია, ლოპო, ალექსისი, სარაბია
**კუთხური:** 11-3; **ჯარიმა:** 8-16; **თამაშგარე:** 2-6; **კარში დარტყმა:** 22-6 (13-3); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.
**მაყურებელი:** 72 000

**ვალეკანო-ბეტისი 3:0**

**გოლები:** 1:0 პიტი (4-პენ), 2:0 დელიბაშიჩი (65), 3:0 ხოსე კარლოსი (82)
**რაიო ვალეკანო (4-2-3-1):** რუბენი - ტიტო, გალვესი, ამატი, კასადო - ფუეგო, ტრაშორასი - პიტი (85. ადრიანი), ა. დომინგესი, ლ. ბანგურა (58. ხოსე კარლოსი) - დელიბაშიჩი (77. ფ. ვასკესი).
**ბეტისი (4-2-3-1):** ადრიანი - ჩიკა, პერკისი, ამაია, ნაჩო - კანიასი, ბენიატი (57. ნონო) - კემპბელი (67. მოლინსი), რ. კასტრო, სევილია (77. ვადილიო) - მოლინა.
**გაფრთხილება:** ბანგურა, ამატი, კასადო, დელიბაშიჩი, ტიტო, პიტი - ადრიანი, ბენიატი, კემპბელი
**კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 20-16; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 10-13 (6-5); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.
**მაყურებელი:** 11 000

**ბარსელონა-ოსასუნა 5:1**

**გოლები:** 1:0 მესი (11), 1:1 ლო (24), 2:1 მესი (28-პენ), 3:1 პედრო (41), 4:1 მესი (56), 5:1 მესი (58)
**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პუიოლი, მასკერანო, ადრიანო - ჩავი (66. ფაბრეგასი), ბუსკეტსი (73. სონგი), ტ. ალკანტარა - პედრო (60. სანჩესი), მესი, ვილია.
**ოსასუნა (4-2-3-1):** ა. ფერნანდესი - ბერტრანი, არიბასი, ფლანიო (68. რუბენი), ნანო - ლოლო, ლო - სეხუდო (46. პუნიალი), ოიერი, დე ლას კუევასი (46. მასუდი) - ხ. ლორენტე.
**გაფრთხილება:** ადრიანო - არიბასი, ოიერი
**გაძევება:** არიბასი (26)
**კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 11-8; **თამაშგარე:** 10-2; **კარში დარტყმა:** 19-3 (9-1); **ბურთის ფლობა:** 73%-27%.
**მაყურებელი:** 85 000

**ბილბაო-ატლეტიკო 3:0**

**გოლები:** 1:0 სან ხოსე (50), 2:0 სუსაეტა (77), 3:0 დე მარკოსი (84)
**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, ეკიზა (61. გურპეგი), ლაპორტე, აურტენეჩე - სან ხოსე, ანდერი (81. იტურასპე) - სუსაეტა, დე მარკოსი, მუნიაინი (86. ი. გომესი) - ადურისი.
**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა - ხუანფრანი, კატა დიასი, გოდინი, ფილიპე ლუიში - ემრე (63. ადრიან ლოპესი), ტიაგო - რაულ გარსია, არდა თურანი (80. მ. სუარესი), კ. როდრიგესი (71. კოკე) - დ. კოშტა.
**გაფრთხილება:** ადურისი, აურტენეჩე - ფილიპე ლუიში, როდრიგესი, გოდინი, ემრე
**კუთხური:** 8-9; **ჯარიმა:** 8-15; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 18-11 (11-5); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.
**მაყურებელი:** 38 000

**მალიორკა-მალაგა 2:3**

**გოლები:** 0:1 სავიოლა (10), 0:2 ისკო (16), 1:2 ვიქტორი (27), 1:3 მონრეალი (62), 2:3 დოს სანტოსი (71)
**მალიორკა (4-2-3-1):** [illegible] - ნუნიეში, [illegible], [illegible] (4. კევინი) - პინა, [illegible] - მ. პერეირა (61. ალფარო), ვიქტორი, ჯოვანი დოს სანტოსი - ჰემედი.
**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო - ს. სანჩესი, ლუგანო, ველიგტონი, მონრეალი - ტულალანი, დემიკელისი - პორტილიო (89. იტურა), სავიოლა (68. ელიზეუ), ისკო (74. ნაჩო კამაჩო) - სანტა კრუსი.
**გაფრთხილება:** პინა, კევინი, ვიქტორი - დემიკელისი, კაბალიერო, ლუგანო
**გაძევება:** დემიკელისი (72)
**კუთხური:** 13-3; **ჯარიმა:** 15-16; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 15-4 (4-3); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.
**მაყურებელი:** 13 000

**28 იანვარი**

**სევილია-გრანადა 00:30**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 21 | 19 | 1 | 1 | 71-24 | 58 |
| 2. ატლეტიკო | 21 | 15 | 2 | 4 | 42-21 | 47 |
| 3. რეალი | 21 | 13 | 4 | 4 | 54-20 | 43 |
| 4. მალაგა | 21 | 10 | 5 | 6 | 33-19 | 35 |
| 5. ბეტისი | 21 | 11 | 2 | 8 | 31-33 | 35 |
| 6. ვალეკანო | 21 | 11 | 1 | 9 | 30-36 | 34 |
| 7. ვალენსია | 21 | 10 | 3 | 8 | 30-34 | 33 |
| 8. ლევანტე | 21 | 10 | 3 | 8 | 26-30 | 33 |
| 9. სოსიედადი | 21 | 8 | 6 | 7 | 32-28 | 30 |
| 10. ვალიადოლ. | 21 | 8 | 4 | 9 | 30-27 | 28 |
| 11. ხეტაფე | 21 | 7 | 5 | 9 | 25-35 | 26 |
| 12. ბილბაო | 21 | 7 | 4 | 10 | 27-40 | 25 |
| 13. სევილია | 20 | 6 | 5 | 9 | 24-29 | 23 |
| 14. სარაგოსა | 21 | 7 | 2 | 12 | 21-30 | 23 |
| 15. ესპანიოლი | 21 | 5 | 7 | 9 | 23-32 | 22 |
| 16. სელტა | 21 | 5 | 5 | 11 | 21-26 | 20 |
| 17. გრანადა | 20 | 5 | 5 | 10 | 18-29 | 20 |
| 18. ოსასუნა | 21 | 4 | 6 | 11 | 17-26 | 18 |
| 19. მალიორკა | 21 | 4 | 5 | 12 | 22-39 | 17 |
| 20. დეპორტივო | 21 | 3 | 7 | 11 | 26-45 | 16 |

**ბომბარდირები:** 33 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 21 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 18 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 12 - არიც ადურისი (ბილბაო), რუბენ კასტრო (ბეტისი).

**მომდევნო ტური**

1 თებერვალი: ვალიადოლიდი-ბილბაო.
2 თებერვალი: ოსასუნა-სელტა, ხეტაფე-დეპორტივო, ესპანიოლი-ლევანტე, გრანადა-რეალი.
3 თებერვალი: მალაგა-სარაგოსა, სევილია-რაიო ვალეკანო, ვალენსია-ბარსელონა, ატლეტიკო-ბეტისი, რეალ სოსიედადი-მალიორკა.

**სეგუნდა დივიზიონი.**

**XXIII ტური**

**ვილიარეალი-საბადელი 3:0**
**გოლები:** 1:0 ხერარდი (12), 2:0 კანი (66), 3:0 ხ. პერეირა (86)

**ჟირონა-გვადალახარა 2:0**
**გოლები:** 1:0 ხანდრო (87), 2:0 ბენხა (90)

**მურსია-სპორტინგი 1:1**
**გოლები:** 1:0 ე. სანჩესი (64), 1:1 ბილიჩი (85)
**გაძევება:** ო. სანჩესი (80. მურსია), ე. სანჩესი (83. მურსია)

**რასინგი-კორდობა 1:3**
**გოლები:** 1:0 გულონი (18), 1:1 აბელი (27), 1:2 პედრო (64), 1:3 ლოპეს სილვა (90)
**გაძევება:** ფ. პერესი (52. რასინგი), ხუანმი (55. რასინგი), დორკა (84. რასინგი)

**ლუგო-ლას პალმასი 3:1**
**გოლები:** 0:1 ტიევი (17), 1:1 დე კოსი (32), 2:1 დიასი (36), 3:1 დიას მიგელი (90)

**ელჩე-ერკულესი 2:0**
**გოლები:** 1:0 ჩუმეტრა (36), 2:0 კორომინასი (48)

**ალკორკონი-პონფერადინა 1:0**
**გოლი:** 1:0 ნაგორე (52)

**ბარსელონა II-რეალი II 3:1**
**გოლები:** 0:1 მორატა (35), 1:1 არაუჟო (65), 2:1 არაუჟო (70), 3:1 დეულოფეუ (78-პენ)
**გაძევება:** ალექსი (56. რეალი II)

**მირანდესი-უელვა 2:1**
**გოლები:** 1:0 ირიბასი (3), 2:0 დიას დე სერიო (4), 2:1 მატამალა (40)

**ნუმანსია-უესკა 1:2**
**გოლები:** 0:1 ხუან კარლოსი (69), 0:2 ბორხა (75), 1:2 ლაგო (84)

**ხერესი-ალმერია 0:2**
**გოლები:** 0:1 კორონა (41), 0:2 შარლესი (43)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ელჩე | 23 | 16 | 5 | 2 | 34-12 | 53 |
| 2. ალმერია | 23 | 12 | 6 | 5 | 36-24 | 42 |
| 3. ჟირონა | 23 | 12 | 5 | 6 | 40-25 | 41 |
| 4. ალკორკონი | 23 | 13 | 2 | 8 | 34-30 | 41 |
| 5. ბარსელონა II | 23 | 11 | 6 | 6 | 52-37 | 39 |
| 6. კორდობა | 23 | 10 | 6 | 7 | 30-24 | 36 |
| 7. ლას პალმასი | 23 | 10 | 6 | 7 | 33-32 | 36 |
| 8. ვილიარეალი | 23 | 9 | 8 | 6 | 28-24 | 35 |
| 9. საბადელი | 23 | 9 | 6 | 8 | 33-27 | 33 |
| 10. ლუგო | 23 | 9 | 6 | 8 | 24-28 | 33 |
| 11. პონფერადინა | 23 | 10 | 2 | 11 | 30-30 | 32 |
| 12. უელვა | 23 | 9 | 4 | 10 | 29-36 | 31 |
| 13. ნუმანსია | 23 | 7 | 8 | 8 | 28-30 | 29 |
| 14. სპორტინგი | 23 | 6 | 10 | 7 | 29-30 | 28 |
| 15. მურსია | 23 | 7 | 6 | 10 | 26-31 | 27 |
| 16. რეალი II | 23 | 7 | 4 | 12 | 41-41 | 25 |
| 17. გვადალახარა | 23 | 6 | 7 | 10 | 26-31 | 25 |
| 18. მირანდესი | 23 | 5 | 9 | 9 | 20-26 | 24 |
| 19. უესკა | 23 | 5 | 8 | 10 | 23-32 | 23 |
| 20. ხერესი | 23 | 5 | 7 | 11 | 22-37 | 22 |
| 21. ერკულესი | 23 | 5 | 5 | 13 | 22-36 | 20 |
| 22. რასინგი | 23 | 4 | 6 | 13 | 17-34 | 18 |

**ბომბარდირები:** 13 - ჟერარდ დეულოფეუ (ბარსელონა II); 12 - ორიოლ რიერა (ალკორკონი).

● გერმანია. ბუნდესლიგა. XIX ტური

# შტუტგარტმა ბაიერნს სამი ქულა აჩუქა!

## მოლინაროს რომ არ „ევაჟკაცა“...

**5:0 ბრემენში, 3:0 „ნიურნბერგთან“ - დორტმუნდის „ბორუსიამ“ სეზონის მეორე ნახევარი ბრწყინვალედ დაიწყო და თუ იურგენ კლოპის შეგირდები ასე გააგრძელებენ, გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლა ისევ საინტერესო გახდება. „ვერდერის“ შემდეგ კლოპის გუნდს წინააღმდეგობა ვერც „ნიურნბერგმა“ გაუწია - დორტმუნდისთვის ეს მატჩიც ვარჯიშის ორკარას ჰგავდა - სამიდან ორი გოლი „ბორუსიას“ პოლონელი გარემარბის, იაკუბ ბლაშჩიკოვსკის ანგარიშზეა, რომელსაც 6-კვირიანი იძულებითი პაუზის შემდეგ იდეალური დაბრუნება გამოუვიდა. კუბამ ორიდან ერთი პენალტით გაიტანა და ბოლო რვა მატჩში 5 გოლი აქვს გატანილი, რაც ნახევარმცველისთვის შესანიშნავი შედეგია.**

### ჰოფენჰაიმი შავ დღეშია

მეორე ბუნდესლიგაში დასაქვეითებელ ზონაში სამი გუნდი ტრიალებს და ტურისწინა მიმოხილვაშიც ვწერდით, რომ საქმეს ისეთი პირი უჩანს, სეზონის ბოლომდე ასე იქნება. „შავ სიაში“ შაბათს ერთი გადაადგილება მოხდა: „ჰოფენჰაიმი“ მე-17 ადგილამდე ჩამოქვეითდა, სარელეგაციო მე-16 ადგილზე კი „აუგსბურგი“ ალზევდა.

მართალია, **მარკო კურცის** ხელში „ჰოფე“ აშკარად უკეთესად ათამაშდა და პროგრესი ეტყობა, მაგრამ „სოფლელებმა“ ზედიზედ მერვე თამაში ვერ მოიგეს და გუნდი, რომელსაც სეზონის წინ მინიმუმ ევროპალიგის საგზურის მოპოვების ამბიცია ჰქონდა, 19 ტურის შემდეგ მეორე ლიგაში დაქვეითების სერიოზული კანდიდატია. „ჰოფე“ შაბათს ფრანკფურტში დამარცხდა, რაც იმას ნიშნავს, რომ „აინტრახტი“ ძველებურად ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის მთავარი აღმოჩენაა. „ჰოფენჰაიმის“ დამარცხების შემდეგ **არმინ ფეეს** გუნდს 33 ქულა აქვს და ჩემპიონთა ლიგის ზონაში ადგილს ინარჩუნებს.

### გლადბახი ზემოთ მიძვრება

„აუგსბურგთან“ საკუთარ მოედანზე განცდილი მარცხის შემდეგ, „ფორტუნამ“ მიონხენგლადბახის „ბორუსიასთანაც“ წააგო (1:2) და თუ დიუსელდორფელები ასე გააგრძელებენ, მალე „უსუსური სამეული“ „უსუსურ ოთხეულად“ გადაიქცევა. „ფორტუნას“ მარცხი ამჯერადაც დაცვაში დაშვებული ორი შეცდომის ბრალი გახლდათ. ჯერ **ხუანანმა** საკუთარი კარი დალაშქრა, **ჰერმანის** გოლში კი „ფორტუნას“ ყველა მცველს ერთნაირად მიუძღვით ბრალი. მართალია, **დანი შაჰინმა** მეორე ტაიმის დასაწყისში თერთმეტმეტრიანით სხვაობა შეამცირა და დიუსელდორფული კლუბი თამაშში დააბრუნა, მაგრამ მიონხენგლადბახელებმა მათ ბევრი არაფერი გააბედინეს. თუკი „ფორტუნა“ ქვემოთ მიექანება, **ლუსიენ ფავრის** ბიჭები ცხრილში ზემოთ მიძვრებიან და ევროპალიგის ზონასთან უკვე ძალიან ახლოს არიან.

### მაინცმა შური იძია

გაგიკვირდებათ და პირველ წრეში „ფიურტმა“ მაინცში მოიგო და ეს დღემდე ფიურტელთა ერთადერთი გამარჯვებაა. სეზონის საპასუხო შეხვედრაში „მაინცმა“ ჯავრი სამმაგად ამოიყარა: **თომას ტუხელის** ბიჭებმა **მაიკ ბიუსკენსის** შეგირდები 3:0 გაანადგურეს. ანგარიში აბსოლუტურად ლოგიკურია, რადგან „ფიურტს“ ფეხბურთი არ უთამაშია, მაინცელებმა კი საკმაოდ მოინდომეს. მეორე გოლის შემდეგ „ფიურტის“ ქომაგები ერთხმად სკანდირებდნენ, შეწყვიტეთ თამაშიო და საფინალო სასტვენამდე ნახევარი საათით ადრე ტრიბუნების ნახევარი დაცარიელდა.

### ათკაციანი ჰანოვერის გმირობა

„ჰანოვერისა“ და „ვოლფსბურგის“ მატჩში მიმდინარე სეზონის ყველაზე სწრაფი გოლი გავიდა: **მოჰამედ აბდელაუმ** ჰანოვერელები მესამე წუთზე, **სიმონ კიაერის** შეცდომის შემდეგ დააწინაურა. ნახევარი საათის შემდეგ „წითლებს“ ახალწვეული **პოკონიოლი** გაუძევეს, მაგრამ ამან **მირკო სლომკას** გუნდზე ცუდად არ იმოქმედა - **მამე დიუფმა** სხვაობა ორამდე გაზარდა. მეორე ტაიმის სტარტზე **მადლუნგმა** სხვაობა შეამცირა (აყლაყუდა ცენტრალური მცველის ზედიზედ მეორე გოლი) და ვოლფსბურგელები მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში უკანმოუხედავად უტევდნენ, მაგრამ ხეირი ვერ ნახეს.

### შალკე აუგსბურგში შეიზღუდა, ლევერკუზენი - ფრაიბურგში

„ჰანოვერის“ კარში 5 გოლის გატანის შემდეგ ყველას ეგონა, რომ „შალკე“ აუგსბურგშიც გოლების წვიმას მოაწყობდა, მაგრამ... 0:0 ალბათ ყველაფერზე მეტყველებს. აუგსბურგელები მედგრად იბრძოდნენ და ქულა ნაღდად დაიმსახურეს. ფაქტია, რომ მეორე წრეში ეს გუნდი სულ სხვანაირად, გაცილებით უკეთესად გამოიყურება და თუ „უსუსური სამეულიდან“ რომელიმე გუნდზე ითქმის, გადარჩენის ღირსიაო, პირველ რიგში სწორედ „აუგსბურგზე“.

0:0 დასრულდა შაბათის ტოპ-მატჩიც, რომელშიც „ფრაიბურგი“ მეორეადგილოსან „ლევერკუზენს“ სტუმრობდა. „ფარმაცევტების“ გოლეადორი **შტეფან კისლინგი**, რომელიც ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირის წოდებისთვის ბრძოლაში ფავორიტია, ბრაისგაუელთა შესანიშნავი მცველების წინააღმდეგ ვერაფერს გახდა - „ფრაიბურგს“ ხომ „ბაიერნის“ შემდეგ საუკეთესო დაცვა ჰყავს. ამრიგად, „ლევერკუზენმა“ შაბათს ორი ქულა დაკარგა და „დორტმუნდი“ ერთქულიან დისტანციაზე მიიახლოვა, „ბაიერნს“ კი უფრო დიდი უპირატესობით დაწინაურების შანსი მისცა.

### მოლინარომ ბაიერნს 3 ქულა აჩუქა

კვირას ბავარიელებმა ეს შანსი გამოიყენეს, შტუტგარტში 2:0 გაიმარჯვეს და „ლევერკუზენს“ 11 ქულით გაასწრეს! ბუნდესლიგის სამხრეთულ კლასიკაში რეკორდმაისტერის გამარჯვება „შტუტგარტის“ იტალიელი მარცხენა მცველის, **კრისტიან მოლინაროს** დამსახურებაა, რადგან 50 წუთის განმავლობაში შვაბები ბავარიელებს საკმაოდ კარგად, ტოლსწორად ეთამაშებოდნენ და ანგარიშის გახსნაც შეეძლოთ. მერე კი, მოლინარომ მიუნხენელთა თავდამსხმელ **მარიო მანჯუკიჩს** ბურთი ჩააბარა, ხორვატმა კი მადლობა გადაუხადა, მეკარე **ულრაიხს** გვერდი აუარა და ანგარიში გახსნა.

შტუტგარტელები თავიდანვე ფხიზლად იყვნენ, თავს აგრესიულად იცავდნენ და „ბაიერნს“ კონტრშეტევებზე კბენდნენ. 28-ე წუთზე **ბრუნო ლაბადიას** გუნდის დაწინაურება **ოკაზაკის** შეეძლო, ხოლო 35-ე წუთზე კი **ჰარნიკის** თავური დარტყმის შემდეგ ბურთი მანუელ **ნოიერის კარის** ძელს მოხვდა. „ბაიერნი“ ბურთს უფრო დიდხანს ფლობდა, მაგრამ პირველ ტაიმში საგოლე მომენტი არ შეუქმნია. შესაბამისად, შესვენებაზე ყველას ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ „შტუტგარტს“ შეეძლო, „ბაიერნისთვის“ ქულები დაეკარგვინებინა, მაგრამ მერე იყო მოლინაროს საბედისწერო შეცდომა და მანჯუკიჩის გოლი, რამაც შვაბთა გეგმები და სტრატეგია თავდაყირა დააყენა. შოკირებულ შვაბებს მალე **თომას მიულერმა** მეორე გოლი გაუტანა (მანჯუკიჩის პასით) და მატჩის ბედი გადაწყვიტა. და მაინც: არავინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ეს შეხვედრა, რომ არა მოლინაროს შეცდომა.

საინტერესო გამოდგა ჩრდილოეთის დერბიც, რომელშიც „ჰამბურგი“ „ვერდერს“ მასპინძლობდა. „ჰამბურგმა“ პრინციპული მეტოქის დამარცხება ბრემენული კლუბის მცველების შეცდომების წყალობით მოახერხა და ცხრილში „ვერდერს“ 6 ქულით გაასწრო.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



მარიო მანჯუკიჩის
გოლი სვენ ულრაიხის კარში

### ბორუსია (დ)-ნიურნბერგი 3:0

**ბორუსია /დ/ (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, ფელიპე სანტანა, ჰუმელსი, შმელცერი - გიუნდოგანი (89. ლაიტნერი), კელი (76. ნ. შაჰინი) - ბლაშჩიკოვსკი (76. ს. ბენდერი), გიოტცე, როისი - ლევანდოვსკი.

**ნიურნბერგი (4-2-2-1-1):** რ. შეფერი - ჩენდლერი, ნილსონი, კლოზე, პინოლა - ბალიჩი, სიმონსი - ფოილნერი (66. მაკი), გებჰარტი (78. ფრანტცი) - კიოტაკე - პეკჰარტი (78. პოლტერი).

**გოლები:** 1:0 ბლაშჩიკოვსკი (18-პენ), 2:0 ბლაშჩიკოვსკი (21), 3:0 ლევანდოვსკი (88)

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 13-8; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 19(9)-7(4); **ბურთის ფლობა:** 71%-29%.

**მაყურებელი:** 80 100

### ბორუსია (მ)-ფორტუნა 2:1

**ბორუსია /მ/ (4-2-2-2):** ტერ შტეგენი - იანჩკე, ბრუვერსი, ალვარო დომინგესი, ვენდტი - ნორდტვეიტი, მარქსი - ჩიგერჩი (92. რუპი), არანგო - ჰერმანი (88. მლაპა), ლ. დე იონგი (72. ჰანკე).

**ფორტუნა (4-2-2-1-1):** გიფერი - ბალოგუნი, ლატკა, ხუანანი, ვან დერ ბერგი - ბოძეკი (85. ილსიო), ტეშე - რაიზინგერი, ო. ფინკი (74. ომაე) - კრუსი - დ. შაჰინი.

**გოლები:** 1:0 ხუანანი (6-საკ. კარში), 2:0 ჰერმანი (14), 2:1 დ. შაჰინი (50-პენ)

**გაფრთხილება:** მარქსი

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 9(4)-14(3); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 50 315

### ჰანოვერი-ვოლფსბურგი 2:1

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ცილერი - ჩაჰედი, ჯურუ, ეგიმანი (32. ჰაგი), პოკონიოლი - შმიდებახი, ჰოფმანი - შლაუდრაფი, ჰუშტი (85. რაუში) - აბდელაუ (37. პანდერი), მ. დიუფი.

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო - ფაგნერი, ნალდო, კიაერი (46. მადლუნგი), მ. შეფერი (81. როდრიგესი) - ტრეში (66. ოლიჩი), პოლაკი - ვიეირინია, დიეგო, პერიშიჩი - დოსტი.

**გოლები:** 1:0 აბდელაუ (3), 2:0 მ. დიუფი (38), 2:1 მადლუნგი (46)

**გაფრთხილება:** ჰუშტი, ჩაჰედი, ჰოფმანი - ნალდო, დიეგო

**გაძევება:** პოკონიოლი (34. ჰანოვერი)

**კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 15-13; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 5(3)-25(10); **ბურთის ფლობა:** 30%-70%.

**მაყურებელი:** 38 800

### აუგსბურგი-შალკე 0:0

**აუგსბურგი (4-1-4-1):** მანინგერი - ფიპლი, კალსენ-ბრაკერი, კლავანი, ოსტრცოლეკი - ბაიერი - კოო, მორავეკი (66. ფოგტი), ჟი (89. იორლი), ვერნერი (81. ჰანი) - მიოლდერსი.

**შალკე (4-2-2-2):** ჰილდებრანდი - უჩიდა, ჰიოვედესი, მატიპი, ფუხსი (68. კოლასინაცი) - ნოიშტედტერი, ჰოლტბი - ფარფანი, დრაქსლერი (83. ბარნეტა) - ჰუნტელაარი, მარიკა (78. ჰიოგერი).

**გაფრთხილება:** ბაიერი - ფუხსი, მარიკა, ჰოლტბი, ჰიოვედესი

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 14-22; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 14(4)-11(4); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 28 553

### ფიურტი-მაინცი 0:3

**ფიურტი (4-1-2-2-1):** ჰესლი - მ. ციმერმანი, კლაინე, მავრაი, ბაბა - პეკოვიჩი - ფიურშტნერი, ცილნერი (69. ასამოა) - სარარერი, შტიბერი (69. პარკი) - ნიოთე (46. ჯურჯიჩი).

**მაინცი (4-2-3-1):** ვეტკლო - პოსპეხი, სვენსონი, ნოვესკი, ჟუნიორ დიასი - ბაუმგარტლინგერი, მალი (85. ედე) - ნ. მიულერი, ივანშიტცი (66. კირხჰოფი), მ. კალიჯური (46. რისსე) - სალაი.

**გოლები:** 0:1 სალაი (53), 0:2 მალი (65), 0:3 სალაი (84)

**გაფრთხილება:** ფიურშტნერი - მალი, სალაი, ნ. მიულერი

**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 18-20; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 10(4)-11(8); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 14 425

### აინტრახტი-ჰოფენჰაიმი 2:1

**აინტრახტი (4-2-3-1):** ტრაპი - ჩელოცი, სამბრანო, ანდერსონი, ოჩიპკა - ლანიგი (70. შვეგლერი), როდე - აიგნერი (89. რუსი), მაიერი, ინუი (71. ოუშენი) - მატმური.

**ჰოფენჰაიმი (4-2-2-1-1):** ვეტკლო - ბეკი, დელპიერი, ვესტერგაარდი, ოხსი - პოლანსკი, ვაისი (76. დერდიოკი) - ადვინკულა (46. რობერტო ფირმინიო), უსამი (70. გრიფო) - ვოლანდი - ხოსელუ.

**გოლები:** 1:0 ლანიგი (35), 1:1 ვოლანდი (65), 2:1 აიგნერი (67)

**გაფრთხილება:** როდე, სამბრანო, რუსი - ადვინკულა, უსამი, ოხსი

**კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 19-21; **თამაშგარე:** 4-6; **კარში დარტყმა:** 16(6)-12(5); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 38 100

### ფრაიბურგი-ლევერკუზენი 0:0

**ფრაიბურგი (4-2-2-2):** ბაუმანი - ჰედენსტადი, კრმასი, დიანიე, ზორგი - შუსტერი, ფლუმი - შმიდი, დ. კალიჯური - როზენტალი (79. გუედე), მ. კრუსე (89. სანტინი).

**ლევერკუზენი (4-1-2-2-1):** ლენო - კარვახალი, ვოლშაიდი, ტოპრაკი, ბიონიში - რაინარტცი - ლ. ბენდერი, როლფესი - კასტრო (75. სემი), შიურლე - კისლინგი.

**გაფრთხილება:** კრმასი - ვოლშაიდი, ბიონიში

**კუთხური:** 3-2; **ჯარიმა:** 12-17; **თამაშგარე:** 4-5; **კარში დარტყმა:** 13(4)-15(2); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 22 500

### ჰამბურგი-ვერდერი 3:2

**ჰამბურგი (4-1-2-1-2):** ადლერი – დიკმაიერი, ბრუმა, ვესტერმანი, იანსენი – ბადელი – სკიელბრედი (62. არსლანი), აოგო – ვან დერ ვაარტი (82. რინკონი) – სონი (90. რაიკოვიჩი), რუდნევსი.

**ვერდერი (4-1-4-1):** მილიტცი – გებრე სელასიე (56. არნაუტოვიჩი), ლუკიმია, სოკრატისი, შმიტცი – ფრიტცი – იგნიოვსკი, იუნუზოვიჩი, ექიჩი (89. პრიოდლი), დე ბრუინი – პეტერსენი.

**გოლები:** 0:1 ლუკიმია (9), 1:1 სონი (22), 2:1 აოგო (46), 3:1 რუდნევსი (52), 3:2 სოკრატისი (54)

**გაფრთხილება:** რუდნევსი, ადლერი – სოკრატისი, პეტერსენი

**გაძევება:** ფრიტცი (80. ვერდერი), არნაუტოვიჩი (91. ვერდერი)

**კუთხური:** 3-7; **ჯარიმა:** 19-16; **თამაშგარე:** 8-1; **კარში დარტყმა:** 9(4)-14(6); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 55 000

### შტუტგარტი-ბაიერნი 0:2

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი – რიუდიგერი, ტასკი, ნიდერმაიერი, მოლინარო – კვისტი, გენტნერი – ჰარნიკი, ოკაზაკი (64. ჰოლცჰაუზერი), ტრაორე (64. ჰოფლი) – იბიშევიჩი.

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი – ლამი, ვან ბუიტენი, დანტე, ალაბა – ხავი მარტინესი, შვაინშტაიგერი – თ. მიულერი, კროოსი, რიბერი (88. შაჩირი) – მანჯუკიჩი (88. გომესი).

**გოლები:** 0:1 მანჯუკიჩი (50), 0:2 თ. მიულერი (72)

**გაფრთხილება:** რიუდიგერი, კვისტი - კროოსი

**გაძევება:** ჰარნიკი (80. შტუტგარტი)

**კუთხური:** 0-6; **ჯარიმა:** 26-17; **თამაშგარე:** 0-7; **კარში დარტყმა:** 5(2)-13(4); **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

**მაყურებელი:** 60 441

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 19 | 15 | 3 | 1 | 48-7 | 48 |
| 2. ლევერკუზენი | 19 | 11 | 4 | 4 | 36-23 | 37 |
| 3. ბორუსია (დ) | 19 | 10 | 6 | 3 | 43-20 | 36 |
| 4. აინტრახტი | 19 | 10 | 3 | 6 | 36-31 | 33 |
| 5. მაინცი | 19 | 9 | 3 | 7 | 27-21 | 30 |
| 6. შალკე | 19 | 8 | 5 | 6 | 32-29 | 29 |
| 7. ბორუსია (მ) | 19 | 7 | 8 | 4 | 27-27 | 29 |
| 8. ფრაიბურგი | 19 | 7 | 7 | 5 | 24-18 | 28 |
| 9. ჰამბურგი | 19 | 8 | 4 | 7 | 22-24 | 28 |
| 10. ჰანოვერი | 19 | 8 | 2 | 9 | 38-37 | 26 |
| 11. შტუტგარტი | 19 | 7 | 4 | 8 | 21-32 | 25 |
| 12. ვერდერი | 19 | 6 | 4 | 9 | 30-37 | 22 |
| 13. ვოლფსბურგი | 19 | 6 | 4 | 9 | 20-29 | 22 |
| 14. ფორტუნა | 19 | 5 | 6 | 8 | 23-27 | 21 |
| 15. ნიურნბერგი | 19 | 5 | 6 | 8 | 18-26 | 21 |
| 16. აუგსბურგი | 19 | 2 | 7 | 10 | 15-31 | 13 |
| 17. ჰოფენჰაიმი | 19 | 3 | 4 | 12 | 24-43 | 13 |
| 18. ფიურტი | 19 | 1 | 6 | 12 | 11-33 | 9 |

**ბომბარდირები:** 13 – კისლინგი (ლევერკუზენი); 12 – ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/), მანჯუკიჩი (ბაიერნი), მაიერი (აინტრახტი); 11 – სალაი (მაინცი); 10 – იბიშევიჩი (შტუტგარტი), თ. მიულერი (ბაიერნი).

### III ბუნდესლიგა

არმინია-ოფენბახი 3:1, ვეენი-ბაბელსბერგი 1:0, ჰაიდენჰაიმი-უნტერჰახინგი 2:1, ჰალეშერი-შტუტ. კიკერსი 1:1, შტუტგარტი II-ერფურტი (გადაიდო), ოსნაბრიუკი-კარლსრუე 2:3, ალემანია-ზაარბრიუკენი 2:0, ბურგჰაუზენი-ბორუსია (დ) 2:2, ჰანზა-პროისენ მიუნსტერი 0:2, დარმშტადტი-ხემნიტცი (გადაიდო).

### მომდევნო ტური

**1 თებერვალი.** ვერდერი-ჰანოვერი.

**2 თებერვალი.** შალკე-ფიურტი, ვოლფსბურგი-აუგსბურგი, ჰოფენჰაიმი-ფრაიბურგი, მაინცი-ბაიერნი, ფორტუნა-შტუტგარტი, ჰამბურგი-აინტრახტი.

**3 თებერვალი.** ნიურნბერგი-ბორუსია (მ), ლევერკუზენი-ბორუსია (დ).

## თურქეთი.

### სუპერლიგა. XIX ტური

**ქარაბიუქი-ქასიმფაშა 0:3**

**გოლები:** 0:1 ვიუდესი (22), 0:2 ჩოლაქი (45), 0:3 უჩე (73)

**ბუიუქშეჰირი-ბურსა 4:1**

**გოლები:** 1:0 მადურეირა (19), 2:0 ჰოლმენი (30), 3:0 ეკსიოღლუ (58), 4:0 ვისკა (76), 4:1 ბატალია (83)

**გენჩლერბირლიგი-ახისარი 1:0**

**გოლი:** 1:0 კულუშიჩი (21)

**გაზიანთეფი-ფენერბაჰჩე 1:2**

**გოლები:** 1:0 შერნასი (42), 1:1 სოუ (65), 1:2 შენთურქი (83)

**ქაისერი-ანთალია 2:0**

**გოლები:** 1:0 ს. ილმაზი (3), 2:0 ბობო (21)

**ელაზიგი-ტრაბზონი 3:1**

**გოლები:** 1:0 კალოღლუ (42), 2:0 იედეკი (78), 3:0 გიურლერი (85), 3:1 საპარა (90)

**მერშინი-სივასი 3:0**

**გოლები:** 1:0 კულიო (11), 2:0 კულიო (44-პენ), 3:0 ერდემი (86)

**გალათასარაი-ბეშიქთაში 2:1**

**გოლები:** 1:0 ჩოლაქი (2), 2:0 რიერა (45), 2:1 სივოკი (46)

**ესქიშეჰირი-ორდუ დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გალათასარაი | 19 | 10 | 6 | 3 | 37-23 | 36 |
| 2. ბეშიქთაში | 19 | 8 | 7 | 4 | 41-29 | 31 |
| 3. ფენერბაჰჩე | 19 | 8 | 7 | 4 | 29-22 | 31 |
| 4. ანთალია | 19 | 9 | 3 | 7 | 31-29 | 30 |
| 5. ქასიმფაშა | 19 | 8 | 5 | 6 | 29-21 | 29 |
| 6. ბურსა | 19 | 6 | 9 | 4 | 29-25 | 27 |
| 7. გენჩლერბირ. | 19 | 6 | 9 | 4 | 31-29 | 27 |
| 8. ქარაბიუქი | 19 | 8 | 3 | 8 | 26-30 | 27 |
| 9. ესქიშეჰირი | 18 | 6 | 7 | 5 | 33-24 | 25 |
| 10. ბუიუქშეჰირი | 19 | 7 | 4 | 8 | 25-23 | 25 |
| 11. ტრაბზონი | 19 | 6 | 6 | 7 | 21-21 | 24 |
| 12. სივასი | 19 | 6 | 5 | 8 | 21-27 | 23 |
| 13. ქაისერი | 19 | 6 | 4 | 9 | 25-31 | 22 |
| 14. ორდუ | 18 | 4 | 9 | 5 | 20-20 | 21 |
| 15. გაზიანთეფი | 19 | 5 | 6 | 8 | 17-26 | 21 |
| 16. ელაზიგი | 19 | 4 | 8 | 7 | 16-30 | 20 |
| 17. მერშინი | 19 | 4 | 7 | 8 | 22-28 | 19 |
| 18. ახისარი | 19 | 3 | 7 | 9 | 13-28 | 16 |

**ბომბარდირები:** 11 – უმუთ ბულუთი (გალათასარაი); 10 – ბობო (ქაისერი), უჩე (ქასიმფაშა).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული

## უცხოური ფეხბურთი

### ინგლისი. ასოციაციის თასი. IV ეტაპი

# ბოსი: თასის მოგებას ვგეგმავთ



იუნაიტედს ყატარში გავლილი შეკრების კვალი ეტყობოდა. ეშმაკებმა ფულჰემს სულ ფრენა-ფრენით მოუგეს

„მანჩესტერ იუნაიტედმა" გადაჭედილ „ოლდ ტრეფორდზე" „ფულჰემს" გადარჩენის შანსი არ დაუტოვა. მიუხედავად იმისა, რომ **ალექს ფერგიუსონმა** თავისი გუნდი სერიოზულად გადაახალისა, მასპინძლებს ამით პრობლემა არ შექმნიათ. თამაშის გმირი „ეშმაკების" მექსიკელი თავდამსხმელი **ხავიერ ერნანდესი** გახდა, ვინც „კოტეჯელებთან" მეორე ტაიმის 14-წუთიან მონაკვეთში დუბლი შეასრულა.

**ალექს ფერგიუსონი** (მანჩესტერ იუნაიტედი): *„ძალიან მომწონს ის, თუ როგორ ვთამაშობთ ბოლო პერიოდში შეტევაში. თუკი რუნი, ერნანდესი და ვან პერსი ასევე შედეგიანად განაგრძობენ, სეზონი ჩვენთვის ნამდვილად წარმატებული გამოდგება. „ფულჰემთან" საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა ვათამაშე, რადგან ოდნავადაც არ მსურდა გარისკვა. ასოციაციის თასი ჩვენთვის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, რადგან თითქმის 10 წელი გავიდა მას მერე (უკანასკნელად 2003/04 წლების ფინალში „მილუოლს" 3:0 სძლია. რედ), რაც აღნიშნულ ტურნირში ვიმარჯვეთ.*

*უშუალოდ თამაშის მიმდინარეობას რაც შეეხება, ლონდონელები პირველ ტაიმში ასე თუ ისე ახერხებდნენ ბურთის კონტროლს და ჩვენს კართან სახიფათო მომენტებსაც ქმნიდნენ. თუმცა ჩვენი მხრივ იმდენჯერ გავამწვავეთ სიტუაცია, რომ პირველ 45 წუთშივე შეგვეძლო მატჩის ბედი გადაგვეწყვიტა. იმისთვის, რომ თამაში დაგვეწყნარებინა, მეორე ტაიმის დებიუტში ორი გოლი გავიტანეთ, ცოტა მოგვიანებით კი მეოთხეც შევაგდეთ".*

**მარტინ იოლი** (ფულჰემი): *„ბევრს ვეცადეთ, რომ ჩვენი ფეხბურთი გვეთამაშა, მაგრამ ვერაფრით მოვახერხეთ. ბურთის გათამაშება გაგვიჭირდა, საკუთარ კარს კი ცუდად ვიცავდით. პირველი ტაიმის შემდეგ თითქოს რაღაც შანსი კიდევ გვქონდა, მაგრამ თამაში განახლდა თუ არა ორჯერ გავუშვით და ამით ინტრიგა დასამარდა. გულს მხოლოდ ის მიხალისებს, რომ მეტოქეს შეეძლო არა 4, არამედ 6 და 7 ბურთის გატანა. რაკი თასიდან გამოვვარდით, მთელ ყურადღებას ამიერიდან პრემიერლიგაზე გადავიტანთ".*

**იუნაიტედი–ფულჰემი 4:1**

**გოლები:** 1:0 გიგზი (3-პენ), 2:0 რუნი (50), 3:0 ერნანდესი (53), 4:0 ერნანდესი (66), 4:1 ჰიუზი (77)

**იუნაიტედი:** დე ხეა, ევრა, ჯონსი, სმოლინგი, რაფაელი, ანდერსონი (71. კაგავა), კერიკი (61. სქოულზი), გიგზი (71. ვალენსია), ნანი, რუნი, ერნანდესი

**ფულჰემი:** შვარცერი, რიტერი, ჰიუზი, ჰანგელანდი, რიისე, სიდუელი, ბერდი (46. კარაგუნისი), დაფი (61. როდალიეგა), კაჩანიკლიჩი, რუისი (71. დეჟაგა), ბერბატოვი

**მაყურებელი:** 72[illegible]96

**სტოკ სიტი–სიტი 0:1**

**გოლი:** 0:1 საბალეტა (85)

**სტოკ სიტი:** სორენსენი, უილკინსონი (73. უაიტჰედი), შოუკროსი, ჰუთი, შოტონი, უელანი, ნზონზი, ეთერინგტონი, კაიტლი (67. ჯერომი), უოლტერსი, ჯონსი (73. კრაუჩი)

**სიტი:** პანტილიმონი, საბალეტა, კომპანი (40. კლიში), ლესკოტი, კოლაროვი (62. აგუერო), ხ. გარსია, ბერი, მილნერი, დ. სილვა, ტევესი (87. როდუელი), ჯეკო

**მაყურებელი:** 19 814

**ბრაიტონი–არსენალი 2:3**

**გოლები:** 0:1 ჟირუ (16), 1:1 ბარნსი (33), 1:2 ჟირუ (56), 2:2 ულოა (62), 2:3 უოლკოტი (85)

**არსენალი:** შჩესნი, ჯენკინსონი, მერტეზაკერი, კოშელნი, სანტოსი (78. გიბსი), დიაბი, რემსი, ოქსლეიდ-ჩემბერლენი (68. უოლკოტი), როსიცკი (68. უილშირი), პოდოლსკი, ჟირუ

**მაყურებელი:** 27[illegible]13

**მილუოლი–ასტონ ვილა 2:1**

**გოლები:** 0:1 ბენტი (22), 1:1 შიტუ (27), 2:1 მარკისი (89)

**ასტონ ვილა:** გივენი, ვლაარი, კლარკი, ჯ. ბენეტი, ლიშაი, ლოუტონი, ნზოგბია, ვესტვუდი, დელფი (39. ბენანი), ბენტი, ვაიმანი (81. ბოუერი)

**მაყურებელი:** 15 007

**ქუინზ პარკი–მილტონი 2:4**

**გოლები:** 0:1 ა. ტრაორე (4-ს.კ-ში), 0:2 ლოუი (40), 0:3 ჰარლი (50), 0:4 პოტერი (56), 1:4 ბოთროიდი (83), 2:4 ფაბიო (90+2)

**ქუინზ პარკი:** გრინი, ა. ტრაორე, ა. ფერდინანდი, ბენ-ჰაიმი, ფაბიო, პარკი (67. ზამორა), გრანერო, ფორლინი, ბოთროიდი, მაკი, კემპბელი

**მაყურებელი:** 17 081

**რედინგი–შეფილდ იუნ. 4:0**

**გოლები:** 1:0 ჰანტი (5), 2:0 ლიგერტვუდი (39), 3:0 ჰანტი (49), 4:0 მაკლირი (53)

**რედინგი:** ფედერიჩი, შორი, მარიაპა, მორისონი, კელი, კარაჯანი, ლიგერტვუდი (84. გატრი), რობსონ-კანუ, ლე ფონდრე, მაკლირი, ჰანტი

**მაყურებელი:** 14 715

**ბოლტონი–ევერტონი 1:2**

**გოლები:** 0:1 პიენაარი (17), 1:1 სორდელი (26), 1:2 ჰეიტინგა (90)

**ევერტონი:** ჰოვარდი, ბეინსი, იაგიელკა, დისტენი, ნევილი, ოსმანი, პიენაარი, ფელაინი, მირალიაში (17. გუიე), იელავიჩი (80. ჰეიტინგა), ანიჩებე

**მაყურებელი:** 18 760

**ნორვიჩი–ლუტონი 0:1**

**გოლი:** 0:1 რენდელი (80)

**ნორვიჩი:** რადი, გარიდო, რ. ბენეტი, ბარნეტი, მარტინი, ფოქსი, ჰოუსონი, ე. ბენეტი (73. პიკლინგტონი), სერმანი (73. ჰულაჰანი), კეინი (46. ჰოლტი), ჯექსონი

**მაყურებელი:** 26 521

**მიდლსბრო–ალდერშოტი 2:1**

**გოლები:** 1:0 იუტკევიჩი (82), 1:1 ჰილტონი (88), 2:1 იუტკევიჩი (90+5)

**მაყურებელი:** 12 684

**მაკსფილდი–უიგანი 0:1**

**გოლი:** 0:1 გომესი (7-პენ)

**უიგანი:** ბლასკესი, სტამი, გოლობარტი, მუსტო, ფიგეროა, გომესი, სპინოსა, ფივე (53. ჯონსი), ა. ენრიკესი, მაკმანამანი, დიკო (66. ა. როდრიგესი)

**მაყურებელი:** 5 849

**ჰალ სიტი–ბარნსლი 0:1**

**გოლები:** 0:1 დაგნალი (69)

**მაყურებელი:** 9 932

**ჰადერსფილდი–ლესტერი 1:1**

**გოლები:** 1:0 ნოვაკი (73), 1:1 ვუდი (81)

**მაყურებელი:** 11 945

**დერბი–ბლექბერნი 0:3**

**გოლები:** 0:1 კაზიმ-რიჩარდსი (43), 0:2 დანი (65), 0:3 როუდსი (70)

**მაყურებელი:** 14 013

**ბრენტფორდი–ჩელსი 2:2**

**გოლები:** 1:0 ტროტა (43), 1:1 ოსკარი (55), 2:1 ფორესტერი (73), 2:2 ტორესი (83)

**ჩელსი:** ტერნბული, ივანოვიჩი (79. ასპილიკუეტა), კეჰილი, ტერი, კოული, რამირესი, ლამპარდი, მარინი (46. მატა), ოსკარი, ბერტრანი (82. ბა), ტორესი

**მაყურებელი:** 12 146

**ლიდსი–ტოტენჰემი 2:1**

**გოლები:** 1:0 ვარნი (15), 2:0 მაკორმაკი (50), 2:1 დემპსი (58)

**ტოტენჰემი:** ფრიდელი, ნაუტონი (66. უოლკერი), კოლკერი, ვერტონგენი, ასუ-ეკოტო, პარკერი, ჰადლსტოუნი (58. ობიკა), ლენონი, სიგურდსონი (58. დემბელე), ბეილი, დემპსი

**მაყურებელი:** 29 943

**ოლდჰემი–ლივერპული 3:2**

**გოლები:** 1:0 სმიტი (2), 1:1 სუარესი (17), 2:1 სმიტი (45), 3:1 ვაბარა (48), 3:2 ალენი (80)

**ლივერპული:** ჯონსი, უისდომი (55. ჯერარდი), შკრტელი, კოატესი, რობინსონი, ალენი, სტერლინგი (72. შელვი), ჰენდერსონი, ბორინი (56. დაუნინგი), სტარიჯი, სუარესი

**მაყურებელი:** 10 295

### ჩემპიონშიპი. XXIX ტური

**ბრისტოლ სიტი–იპსვიჩი 2:1**

**გოლები:** 0:1 მერფი (30), 1:1 ს. დევისი (47), 2:1 სტიდი (90)

**ბარნლი–ბირმინგემი 1:2**

**გოლები:** 0:1 დეივი (21), 1:1 რ. უოლასი (56-პენ), 1:2 კინგი (90)

**გაძევება:** მარნი (61) -

**ჩარლტონი–შეფილდ უენ 1:2**

**გოლები:** 1:0 ჯექსონი (47), 1:1 ჯონსონი (84), 1:2 ლიტა (89)

**ნოტინგემი–უოტფორდი 0:3**

**გოლები:** 0:1 ვიდრა (20), 0:2 დინი (34), 0:3 ვიდრა (72)

**ვულვზი–ბლექპული 1:2**

**გოლები:** 1:0 ებანს-ბლეიკი (15), 1:1 ინსი (45), 1:2 ინსი (78)

**გაძევება:** ჯონსონი (90+2) –

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კარდიფი | 28 | 19 | 3 | 6 | 50-30 | 60 |
| 2. ლესტერი | 28 | 15 | 5 | 8 | 49-23 | 50 |
| 3. ჰალ სიტი | 28 | 15 | 5 | 8 | 39-31 | 50 |
| 4. უოტფორდი | 28 | 15 | 4 | 9 | 56-37 | 49 |
| 5. კრისტალ პალ. | 28 | 13 | 9 | 6 | 50-35 | 48 |
| 6. მიდლსბრო | 28 | 15 | 2 | 11 | 47-39 | 47 |
| 7. ბრაიტონი | 28 | 10 | 12 | 6 | 40-30 | 42 |
| 8. ბარნლი | 29 | 12 | 6 | 11 | 44-42 | 42 |
| 9. მილუოლი | 28 | 11 | 8 | 9 | 40-38 | 41 |
| 10. ნოტინგემი | 29 | 10 | 11 | 8 | 39-40 | 41 |
| 11. ლიდსი | 28 | 12 | 5 | 11 | 39-44 | 41 |
| 12. ჩარლტონი | 29 | 10 | 9 | 10 | 39-40 | 39 |
| 13. დერბი | 28 | 10 | 8 | 10 | 42-41 | 38 |
| 14. ბლექპული | 29 | 9 | 10 | 10 | 47-43 | 37 |
| 15. ბლექბერნი | 28 | 9 | 10 | 9 | 38-37 | 37 |
| 16. ბოლტონი | 28 | 8 | 10 | 10 | 40-41 | 34 |
| 17. ბირმინგემი | 29 | 8 | 10 | 11 | 38-46 | 34 |
| 18. ვულვზი | 29 | 9 | 6 | 14 | 34-41 | 33 |
| 19. ჰადერსფილდი | 28 | 8 | 9 | 11 | 32-48 | 33 |
| 20. შეფილდ უენ. | 29 | 9 | 5 | 15 | 33-44 | 32 |
| 21. იპსვიჩი | 29 | 8 | 8 | 13 | 29-51 | 32 |
| 22. პიტერბორო | 28 | 8 | 2 | 18 | 39-52 | 26 |
| 23. ბარნსლი | 28 | 6 | 7 | 15 | 29-44 | 25 |
| 24. ბრისტოლ ს. | 28 | 7 | 4 | 17 | 40-56 | 25 |

ბომბარდირები: 22 – გლენ მარი (კრისტალ პალასი), 19 – ჩარლი ოსტინი (ბარნლი)

### ლიგა ერთი. XXX ტური

ბორნმუთი-ქრიუ 3:1, კარლაისლი-სკანტორპი 1:1, კოლჩესტერი-უოლსოლი 2:0, ლეიტონი-ნოთს ქაუნთი 2:1, პორტსმუთი-ჰარტლპული 1:3, პრესტონი-ქოვენთრი 2:2, შრიუსბერი-ბერი 0:0

ტრანმერი-სუინდონი გადაიდო

### ლიგა ორი. XXX ტური

ბარტონი-ბარნეტი 1:0, ჩესტერფილდი-საუთენდი 0:1, დაგენჰემი-მოურკემბი 1:2, ფლიტვუდი-ოქსფორდი 3:0, ჯილინგემი-იორკი 1:1, პლიმუთი-აკრინგტონი 0:0, როტერჰემი-ბრისტოლ რ. 1:3

ბრედფორდი-უიკომბი გადაიდო

### ლივერპული



ლივერპულმა კოუტინიოს ტრანსფერი შეათანხმა. ოფიციალურად ეს ამბავი შეიძლება დღესვე დადასტურდეს

# კოუტინიო განითლდა

BBC-ის ცნობით, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ „ინტერი" და „ლივერპული" ბრაზილიელი შემტევი ნახევარმცველის, 20 წლის **ფელიპე კოუტინიოს** ტრანსფერზე შეთანხმდნენ. გარიგება 8,5 მილიონ ფუნტად (10 მლნ ევრო) არის შეფასებული. სამედიცინო შემოწმების გასავლელად ფეხბურთელი ინგლისში დღეს ჩავა და „მელვუდის" ბაზას ესტუმრება. დადებითი დასკვნის შემთხვევაში, „წითლები" სამხრეთამერიკელის შეძენას ოფიციალურად დღეს საღამოსვე დაადასტურებენ. მერსისაიდულმა კლუბმა უკვე შეიტანა შესაბამისი განაცხადი დიდი ბრიტანეთის შრომის სამინისტროში, რათა კოუტინიოზე სამუშაო ვიზა გაიცეს. აღსანიშნავია, რომ ფელიპეს ტრანსფერში „საუთჰემპტონი" 10 მილიონ ფუნტს იხდიდა, მაგრამ „წმინდანებში" კარიერის გაგრძელებაზე ფეხბურთელმა უარი პირადად თქვა. „ნერაძურის" ხელმძღვანელობას მერსისაიდელთა წინადადებაზე თანხმობის გარდა სხვა გამოსავალი უკვე აღარ ჰქონდა. „ლივერპული" სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე კოუტინიოს შემდეგ კიდევ ერთი ფეხბურთელის შეძენას გეგმავს.

## საკადრო პრობლემები

„ლივერპულის" მთავარმა მწვრთნელმა **ბრენდან როჯერსმა** ოფიციალურ ვებგვერდს მცირე კომენტარი მისცა გუნდში შექმნილი საკადრო პრობლემების გამო. აი, რას ამბობს ის: *„კმაყოფილი ვარ ხოსე ენრიკეს გამოჯანმრთელების პროცესით (ესპანელს მუხლის მყესები აქვს დაჭიმული. რედ), მაგრამ მოედანზე მისი გამოყვანა ჯერ კიდევ ადრეა. ხოსე სასურველ კონდიციებს მომდევნო უქმეებისთვის თუ მიაღწევს. მის მდგომარეობას უახლოესი დღეების განმავლობაში კიდევ დავაკვირდებით. ამ დროისთვისვე ველოდებით პეპე რეინას მწყობრში ჩადგომასაც".*

### მანჩესტერ სიტი



# მანჩინი: ხალხი არ კმარა

„მანჩესტერ სიტის" 48 წლის მთავარი მწვრთნელი **რობერტო მანჩინი** ბედს უჩივის. იტალიელის თქმით, მის გუნდს სერიოზული საკადრო კრიზისი აქვს და სასურველი იქნება, თუკი ხელმძღვანელობა სათადარიგოთა სკამის გაძლიერებაზე იზრუნებდა: *„არ ვიცი, დარჩენილ დღეებში ტრანსფერები იქნება თუ არა. ფაქტი ერთია, რომ გაყიდვით ნამდვილად არავის გავყიდით, რადგან შემადგენლობაში ისედაც 18 ფეხბურთელიღა დამრჩა. ბალოტელიზე იმის თქმა შემიძლია, რომ მან ჯერ უნდა დაიმსახუროს ძირითადში თამაში. ამ ეტაპზე არა ერთი და ორი მიზეზია, თუ რატომ არ განვიხილავთ მას სასტარტოსთვის. მას აქვს კლასი, რათა ტიტულების მოგებაში დაგვეხმაროს, მაგრამ ჯერ ცუდ ფორმაშია. წინ დაძაბული მატჩები გვაქვს, იმედია, მარიო პროგრესის გ ზას დაადგება".*

მანჩინის მტკიცების მიუხედავად, იტალიური წყაროები ამტკიცებენ, რომ „სიტი" 22 წლის „ხულიგანს" მაინც გაყიდის. მოგეხსენებათ, „მილანი" ბალოტელიში 20 მილიონ ევროს იხდის. „ქალაქელები" კი მას 28 მილიონად აფასებენ. ტრანსფერზე საჯაროდ მსჯელობას აღარ გაურბის მარიოს აგენტი **მინო რაიოლა**, ვინც რამდენიმე დღის წინ ამის შანსს მიზერულს უწოდებდა. ის ამჯერადაც ფრთხილ განცხადებებს აკეთებს, 100%-ით რაიმეს გამორიცხვა შეუძლებელიაო.

## კაპიტანი კიდევ ერთხელ დაშავდა

შაბათს „სტოკ სიტისთან" ასოციაციის თასის მე-4 ეტაპზე „მანჩესტერ სიტის" კაპიტანმა, 25 წლის **ვენსან კომპანიმ** მუხლის ტრავმა პირველივე ტაიმში მიიღო, რის გამოც შესაცვლელი შეიქმნა. ის გუნდს მომდევნო ორ შეხვედრაში (ხვალ „ქუინზ პარკთან" და 3 თებერვალს „ლივერპულის" წინააღმდეგ) ვერ დაეხმარება.

### ნიუკასლი

# 12 მილიონი აფრიკელში

„ნიუკასლმა" ვერაფრით დაიყოლია ფრანგული ლიგა 1-ის „ბასტია" 20 წლის **ფლორიან ტრაუვინის** ტრანსფერზე. 20 წლის შემტევ ნახევარმცველს კორსიკელებთან ხელშეკრულება 2014 წლის ზაფხულზე უმთავრდება. *„სამი მილიონი ფუნტი, რასაც ინგლისელები გვთავაზობდნენ, არაადეკვატური თანხაა,"* – განმარტა უარის მიზეზი ფრანგული კლუბის წარმომადგენელმა **ჟან მარი ჟერონიმიმ.** „კაჭკაჭების" ამბიციები ამით არ შემოიფარგლება. ჩრდილოელები არნემის „ვიტესიდან" 12 მილიონ ფუნტად 24 წლის თავდამსხმელის **ვილფრიდ ბონის** ყიდვას გეგმავენ. შეგახსენებთ, რომ ჯორდებმა იანვარში უკვე გადაიბირეს მცველები **მატიე დებუში** (ლილი), **მასადო აიდარა** (ნანსი) და **მაპუ იანგა-მბივა** (მონპელიე), ნახევარმცველი **მუსა სისოკო** (ტულუზი) და თავდამსხმელი **იოან გუფრანი** (ბორდო).

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

### ბელგია

**ჟუპილერლიგა. XXIV ტური**

| | |
|---|---|
| სტანდარდი-კორტრიიკი | 2:0 |
| ლოკერენი-ანდერლეხტი | 0:2 |
| ბეერსხოტი-მონსი | 0:0 |
| მეხელენი-გენკი | 2:1 |
| ბევერენი-ლუვენი | 2:0 |
| ვარეგემი-ლიერსი | 2:0 |
| ბრიუგე-გენტი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 23 | 17 | 4 | 2 | 59-20 | 55 |
| 2. ვარეგემი | 23 | 14 | 5 | 4 | 38-23 | 47 |
| 3. ლოკერენი | 24 | 13 | 4 | 7 | 47-34 | 43 |
| 4. სტანდარდი | 24 | 13 | 3 | 8 | 47-28 | 42 |
| 5. ბრიუგე | 23 | 11 | 7 | 5 | 51-34 | 40 |
| 6. გენკი | 24 | 10 | 9 | 5 | 47-36 | 39 |
| 7. მეხელენი | 24 | 10 | 5 | 9 | 36-34 | 35 |
| 8. კორტრიიკი | 24 | 9 | 5 | 10 | 28-25 | 32 |
| 9. მონსი | 24 | 9 | 5 | 10 | 39-45 | 32 |
| 10. ლუვენი | 24 | 6 | 10 | 8 | 41-42 | 28 |
| 11. ბევერენი | 24 | 6 | 8 | 10 | 24-37 | 26 |
| 12. შარლერუა | 23 | 7 | 3 | 13 | 23-43 | 24 |
| 13. გენტი | 24 | 5 | 9 | 10 | 24-34 | 24 |
| 14. ბეერსხოტი | 24 | 5 | 4 | 15 | 23-49 | 19 |
| 15. ლიერსი | 24 | 3 | 10 | 11 | 23-45 | 19 |
| 16. ს. ბრიუგე | 22 | 3 | 5 | 14 | 26-47 | 14 |

### შოტლანდია

**პრემიერლიგა. XXIV ტური**

| | |
|---|---|
| დანდი იუნ-როს ქაუნთი | 1:1 |
| აბერდინი-ჰიბერნიანი | 0:0 |
| დანდი-კილმარნოკი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 23 | 15 | 4 | 4 | 48-16 | 49 |
| 2. ინვერნესი | 22 | 9 | 10 | 3 | 47-35 | 37 |
| 3. მოზერველი | 23 | 10 | 7 | 6 | 40-32 | 37 |
| 4. ჰიბერნიანი | 24 | 9 | 7 | 8 | 32-30 | 34 |
| 5. აბერდინი | 24 | 8 | 8 | 8 | 30-31 | 32 |
| 6. სტ. ჯონსტონი | 23 | 7 | 9 | 7 | 26-29 | 30 |
| 7. დანდი იუნ. | 24 | 7 | 9 | 8 | 37-41 | 30 |
| 8. კილმარნოკი | 23 | 7 | 8 | 8 | 34-30 | 29 |
| 9. ჰარტსი | 22 | 6 | 8 | 8 | 21-26 | 26 |
| 10. როს ქაუნთი | 22 | 5 | 10 | 7 | 26-32 | 25 |
| 11. სტ. მირენი | 23 | 6 | 7 | 10 | 31-42 | 25 |
| 12. დანდი | 23 | 3 | 5 | 15 | 14-42 | 14 |

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდებში

# ჭაბუკები უფროსებს არ ეპუებიან

## დაუშვებენ პატარა ქართველებს ახალგაზრდებში?

**ამ უქმეებზე სპორტკომპლექს „არენაში“ ახალგაზრდა ბერძენ-რომაელთა საქართველოს პირველობა გაიმართა, რომელმაც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე წამსვლელ ნაკრებთა ბირთვი გამოავლინა. გამომდინარე იქიდან, რომ სეზონის დასაწყისია, ამ შეჯიბრებისგან მაღალ დონეს არ მოველოდით, თუმცა სპორტსმენებმა სასიამოვნოდ გაგვაოცეს და საკმაოდ კარგი ტურნირი შემოგვთავაზეს.**

ამ ნაკრებს თაობათა ცვლის პიკი წინა ორ სეზონში ჰქონდა, წლეულს კი შედარებით სტაბილური შემადგენლობა შემორჩა. ვფიქრობთ, დიდწილად ამის გამოა, რომ ამჯერად არ გვინახავს ახალი კადრების ისეთი ზეობა, შედეგებში ისეთი განსხვავება ახლებსა და ძველებს შორის, რაც ამავე საჭიდაო სახეობებში ან ძიუდოში ვიხილეთ (უფროსების ჩათვლით) - ძველებმა ფავორიტის სტატუსი ბოლომდე გაამართლეს და უმრავლეს წონებში მათ გაიმარჯვეს. თუმცა გამონაკლისებიც



55 კგ. კვარცხლბეკი

იყო, როცა ჭაბუკთა ნაკრებიდან გადმოსულებმა ღირსეულად იბრძოლეს „მზის ქვეშ ადგილის“ მოსაპოვებლად. ასე მოხდა, მაგალითად, 50-ში, 60-ში, 96-ში. ახალი კადრია მძიმე წონაშიც - **იაკობ ქაჯაია**, ოღონდ ის სიახლე ამ წონაშია და არა ახალგაზრდულ ნაკრებში - შარშან იქ 96 კილოგრამში ევროპისა და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

ჩემპიონატმა დაადასტურა, რომ ამ გუნდს საკმაოდ კარგი ცვლა მოდის ჭაბუკებიდან - ამ ასაკში ევროპის შარშანდელი გამარჯვებული **ირაკლი შავაძე** (50), ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **რამაზ ზოიძე** (55), ევროპის ვიცე-ჩემპიონი **კუკური კირცხალია** (96), **ხვიჩა ჭითავა** (60) - მათი ნაწილი ჯერ ისევ ჭაბუკებში გამოდის, ნაწილმა კი შარშან დაასრულა იქ გამოსვლა.

ამ კვარტეტიდან ჭაბუკთა ნაკრებში გამოსვლას კვლავაც აგრძელებენ შავაძე და ზოიძე. ახლანდელი წარმატებით მათ ახალგაზრდებში გამოსვლის შანსიც მიეცათ, თუმცა პრობლემა ასაკია - ორივე 1996 წელსაა დაბადებული და საკითხავია, მისცემენ თუ არა 20-წლამდელებში გამოსვლის ნებას. ეს პრობლემა უფრო აქტიურად შავაძის შემთხვევაში დგას, რადგან ის პირველ ნომრად იქცა, ზოიძემ კი ფინალი დათმო და აქ პირველი ნომერი ჩემპიონი **ედნარ შავაძეა** (55).

ირაკლი შავაძემ ლიდერობა ქუთაისელ **დავით სანიკიანს** ჩამოართვა, რომელთანაც ფინალში პირველი პერიოდი 0:1 დათმო, მაგრამ მომდევნოებში შთამბეჭდავად იასპარეზა - 4:1; 8:1 მოუგო! ნაკრებს ამ წონაში წინა წლებში საკადრო პრობლემები ჰქონდა და თუ ჩემპიონს ახალგაზრდების ევროპა-მსოფლიოზე დაუშვებენ, ვინძლო, ეს კრიზისიც დასრულდეს, თუ არადა ისევ სანიკიანმა უნდა გვიხსნას. მით უფრო, ამ წონაში ბრინჯაოს მედალოსნებიც 1996 წელს არიან დაბადებულნი.

ფრიად პერსპექტიული რამაზ ზოიძე შედეგების გარდა გამორჩეული იმითაცაა, რომ საშინაო ასპარეზზე ორივე სტილში ჭიდაობს და ქვეყნის პირველობაზე ჭაბუკებში „თავისუფლებშიც“ იმარჯვა და - ბერძენ-რომაელებშიც. ზემოხსენებული მსოფლიოსა და ევროპის ოქროების გარდა მის ყულაბაში ევროპული ბრინჯაო და მსოფლიოს ვერცხლიცაა. საინტერესოა, რომ ბოლო ორ წელიწადში ის ორჯერ გავიდა მსოფლიოს ფინალში და შარშან ბაქოში მსაჯებზე მასპინძელთა გავლენა რომ არა, ზედიზედ მეორედაც გახდებოდა მსოფლიოს ჩემპიონი! ურიგოდ მას არც „არენაში“ უჭიდავია, თუმცა ფინალში აშკარად გამოჩნდა, რომ ჯერ ასაკით უფროსებთან საჭიდაოდ მზად არაა - იქნებ ტექნიკა არ დაეწუნება, მაგრამ უფროსებთან საჯაჯგუროდ ფიზიკური მასა არ ჰყოფნის. შავაძესთან მედგრად კი იბრძოლა და მხოლოდ ჩოქბჯენში დაუთმო ქულები, მაგრამ მეტოქის გამოცდილება მაინც აშკარად იგრძნობოდა.

ედნარ შავაძეც, **ფირუზ წულუკიძეც** (66), ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი მესამე პრიზიორი **რობერტ ქობლიაშვილიც** (84), ქაჯაიაც და უკვე **ლაშა გობაძეც** (74) იმათ შორის არიან, რომელთაგანაც ქომაგი თუ სპეციალისტი ჩემპიონობას მოელოდა. ამათგან შავაძე და ქობლიაშვილი დეკემბერში უფროსთა შორისაც გახდნენ საქართველოს ჩემპიონები და არაა გამორიცხული, წლეულს ეროვნულ ნაკრებშიც იჭიდაონ თბილისში გასამართ ევროპის პირველობაზე. შავაძემ ახალგაზრდებშიც ისევე დამაჯერებლად და იოლად გაიმარჯვა, როგორც - უფროსებში. დიდი ჯაფა არც ქობლიაშვილს დასდგომია თანაქალაქელ **ლევან ყუფარაშვილთან** პაექრობაში - ორ პერიოდში მოუგო და ორივეში ჩოქბჯენში ივარგა. ეტყობა, ეს კომპონენტი მისი კოზირია - პირველად მეტოქე ჩადგა დაბლა და ქობლიაშვილმა არათუ უპრობლემოდ აქაჩა ლეიბიდან, კომბინაციაში მიჰყვა და მანამ ატრიალა, ვიდრე ანგარიში 6:0 არ გახადა. მეორე პერიოდში უკვე თვითონ ჩადგა ჩოქბჯენში, მაგრამ მსწრაფლ დაუსხლტა მეტოქეს და იქით გადაიყვანა ქულაზე... ვერ გეტყვით, ქობლიაშვილი ამ ილეთს რამდენად წარმატებით გამოიყენებს უცხოეთში, მაგრამ ამ მოძრაობაზე ბევრი რომ უმუშავია, ეტყობოდა მის გამოსვლას.

ჭაბუკებში ევროპის ორგზის ჩემპიონ წულუკიძეს დამატებითი დრო დასჭირდა ამავე ასაკში ევროპული ვერცხლ-ბრინჯაოს მფლობელ თანაქალაქელ **შმაგი ბოლქვაძესთან**. არადა, საქმეს აქამდე არ მიიყვანდა, მეორე პერიოდში ჩოქბჯენში შემტევის უპირატესობა რომ შეენარჩუნებინა და ქულა მეტოქისთვის არ დაეთმო. კიდევ კარგი, დამატებითში კვლავაც ძლიერად იჭიდავა და, პრაქტიკულად, უპრობლემოდ იმარჯვა, თუმცა ვისურვებდით, 2-3 წლის წინანდელი ფორმა დაიბრუნოს, როცა ოქროს უფროსებშიც შეეთამაშა - მას ბევრად მეტი შეუძლია.

საინტერესო გამოდგა მძიმე წონის ფინალიც იმის მიუხედავად, რომ ქაჯაიას აშკარა უპირატესობით ჩაიარა. მსოფლიოს ჩემპიონ **გურამ გედეხაურის** შვილს, ჭაბუკებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **ზურაბ გედეხაურს** ორჯერ ცხვირიდან სისხლი კი წასკდა და ექიმის დახმარებაც დასჭირდა, მაგრამ მის ჭიდაობას მთლად ტრავმას ვერ დავაბრალებთ. მისგან განსხვავებით, ქაჯაიას ყველაფერი გამოსდიოდა და ფიზიკურადაც უკეთ ჩანდა მომზადებული. აქაც ყველაფერი ჩოქბჯენის წესმა გადაწყვიტა - პირველი პერიოდის ბოლოს ქაჯაიამ კარგად დაიცვა თავი და ქულა არ დაუთმო, მეორეში კი იმავე პოზიციაში მშვენივრად გამოიყენა თავისი შანსი და პირველივე მისვლაზე რომ ასწია ლეიბიდან, მანამდე ატრიალა, სანამ ქობლიაშვილის დარად, ანგარიში 6:0 არ გახადა...

ჩემპიონატთან დაკავშირებით სიამოვნებით უნდა შევნიშნოთ ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობის მონდომება, რომელმაც ტურნირის ორგანიზებულად ჩასატარებლად საგანგებოდ იზრუნა და გახსნის ცერემონიალიც შემოგვთავაზა თავისი ჰიმნითა და დროშის აწევით, რაც საშინაო პირველობებში ხშირად არ გვხვდება (არა მხოლოდ ჭიდაობებში). თვით ჩემპიონატს და მის გეოგრაფიას რაც შეეხება, გამოვარჩევთ გარდაბნისა და სენაკის გუნდების წინსვლას, აჭარა კი კვლავაც ლიდერად რჩება.

დასასრულს, შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდებში ევროპის პირველობას წლეულს 2-7 ივლისს მაკედონიური სკოპიე უმასპინძლებს. სამწუხაროდ, მსოფლიოს პირველობაც მალევე იმართება - 13-18 აგვისტოს სოფიაში, ასეთი შემჭიდროებული კალენდარი კი მწვრთნელებს ორ-ორი შემადგენლობის ძიებას აიძულებს.

**ირაკლი თავაძე**

### კვარცხლბეკი. ბიჭები

**50 კგ.** 1. ირაკლი შავაძე (აჭარა); 2. დავით სანიკიანი (ქუთაისი); 3. დავით ჩხარტიშვილი (ოზურგეთი), კახა ირემაძე (აჭარა).

**55 კგ.** 1. ედნარ შავაძე; 2. რამაზ ზოიძე (ორივე - აჭარა); 3. ბექა ბალანჩივაძე (წყალტუბო), ირაკლი ქადაგიშვილი (თბილისი).

**60 კგ.** 1. ხვიჩა ჭითავა (სენაკი); 2. რამაზ სურმანიძე; 3. მურად მიქელაძე (ორივე - აჭარა), ლაშა მარიამიძე (თბილისი).

**66 კგ.** 1. ფირუზ წულუკიძე; 2. შმაგი ბოლქვაძე; 3. ამირან შავაძე (სამივე - აჭარა), ლაშა ებილაშვილი (გარდაბანი).

**74 კგ.** 1. ლაშა გობაძე; 2. ტარიელ კეკელაშვილი (ორივე - აჭარა); 3. ზეზვა აბრამაშვილი (გარდაბანი), დავით კუჭაშვილი (ოზურგეთი).

**84 კგ.** 1. რობერტ ქობლიაშვილი; 2. ლევან ყუფარაშვილი (ორივე - გარდაბანი); 3. აკაკი კანდელაკი (თბილისი), ირაკლი კოვზირიძე (წყალტუბო).

**96 კგ.** 1. კუკური კირცხალია (სენაკი); 2. ბექა კანდელაკი; 3. ლაშა შალიკაშვილი (ორივე - თბილისი), ნუკრი ფერსელიძე (აჭარა).

**120 კგ.** 1. იაკობ ქაჯაია (წყალტუბო); 2. ზურაბ გედეხაური (გარდაბანი); 3. ზურაბ პატარიძე, გიორგი გულბიანი (ორივე - ქუთაისი).

ჭადრაკი

## 6-დან 4-4 ქულით

გიბრალტარის საერთაშორისო ტურნირზე შაბათ-კვირას ორი ტურის პარტიები გათამაშდა. მე-5 ტურში **სალომე მელია** თეთრი ფიგურებით გავაინ ჯონსთან (ინგლისი) დამარცხდა, **ნანა ძაგნიძემ** კი გუდმუნდარ კარტანსონი (ისლანდია) დაჯაბნა. ოთხქულიანი ლიდერებიდან ედუარდ იტურისაგამ (ვენესუელა) ლე ქუანგ ლიემთან (ვიეტნამი) ნააგო, ხოლო ნიკიტა ვიტიუგოვმა (რუსეთი) დარიუშ სვერჩს (პოლონეთი) აჯობა.

გუშინ მე-6 ტურში ძაგნიძეს შავი ფიგურებით მაიკლ ადამსმა (ინგლისი) სძლია, სალომე მელია კი სებასტიან მეზის (საფრანგეთი) დაუზავდა. ორივე ქართველ დიდოსტატს ექვსი შესაძლებლიდან 4-4 ქულა აქვს. ლე ქუანგ ლიემისა და ნიკიტა ვიტიუგოვის პაექრობამ ერთპიროვნული ლიდერი ვერ გამოავლინა, რადგან შეხვედრა ყაიმით დასრულდა. ამ ორეულმა და ბულგარელმა კირილ გეორგიევმა 5.5-5.5 ქულას მოუყარეს თავი.

დღეს მე-7 ტურის ორთაბრძოლები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

ტყვიის სროლა. მიუნხენის ტურნირი



ნინო სალუქვაძე

# ამჯერად - ფინალი

პირველი დღისგან განსხვავებით, შაბათს **ნინო სალუქვაძე** ბევრად უფრო წარმატებით გამოვიდა მიუნხენის საერთაშორისო ტურნირში. მართალია, იმ დღესაც უმედლოდ დარჩა, მაგრამ შედეგიც გააუმჯობესა და ფინალშიც შევიდა.

შეგახსენებთ, რომ ეს შეჯიბრება მხოლოდ პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში იმართება, რადგან ამავე დისტანციაზე თებერვლის ბოლოს დანიაში გასამართი ევროპის პირველობისთვის მოსამზადებელი სტარტია. ჩვენმა ოლიმპიურმა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა შესარჩევ ეტაპზე 384 ქულა დააგროვა, რაც მისთვის არც ისე სახარბიელო შედეგია. სალუქვაძემ ყველაზე უკეთ მესამე სერიაში ისროლა, სადაც 98 ქულა აჩვენა, დანარჩენებში კი ამ ზღვარს საგრძნობლად ჩამორჩა. დამატებითი მაჩვენებლების დათვლის შემდეგ ჩვენებური სიაში მეექვსე აღმოჩნდა.

384 ქულა საკვალიფიკაციოში ფრიად პოპულარული შედეგი გამოდგა - ფინალური ოქტეტის ოთხმა წევრმა დაასრულა ასე გამოსვლა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ოთხივე საგრძნობლად ჩამორჩა მოწინავე კვარტეტს - მაგალითად, შესარჩევი ეტაპი 390 ქულით მოიგო მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ოლენა კოსტევიჩმა**, 388 დააგროვეს რუსმა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა, ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანმა **ნატალია პადერინამ** (ჩანს, ამან დაიბრუნა ნაკრებში ადგილი) და სერბმა მსოფლიოს ჩემპიონმა **ზორანა არუნოვიჩმა**, ერთით ნაკლები - ბელარუსმა ევროპის ჩემპიონმა და მსოფლიოს ორგზის ბრინჯაოს მედალოსანმა **ვიქტორია ჩაიკამ**.

ფინალში სალუქვაძემ სუსტად ისროლა და საბოლოოდ მერვე ადგილზე გადავიდა - 460.2 ქულა, დასკვნითი სროლები კი კოსტევიჩისა და პადერინას დუელად იქცა. ორივემ ჩინებულად იასპარეზა, თუმცა უკრაინელმა ცოტათი აქაც აჯობა კონკურენტს - 201.8 გამოუვიდა, რუსს კი - 201.1. საბოლოოდ ოქრო კოსტევიჩს დარჩა ჯამური 591.8 ქულით, ვერცხლი კი პადერინას ერგო 589.1-ით. მესამეზე არუნოვიჩი გავიდა - 568.3 ქულა.

შაბათს **ლევან ქადაგიძემაც** ისროლა. მისი შედეგია 571 ქულა და 46-ე ადგილი.

ჩვენი ნაკრები ამ დღეებში დაბრუნდება გერმანიიდან, რამდენიმე დღით თბილისში ივარჯიშებს, 7 თებერვალს კი ერევანში გაემგზავრება, სადაც ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ შეკრებას გაივლის. სომხეთში მწვრთნელ **ვახტანგ სალუქვაძის** ხელმძღვანელობით ის ექვსეული ივარჯიშებს, რომელმაც გერმანიაში იასპარეზა - ნინო სალუქვაძე, ქადაგიძე, **ლიზი კილაძე, მარიამ ბლუაშვილი, მარიამ მაღრაძე** და **ვლადისლავ მაიოროვი**. მათგან დანიაში კონტინენტის პირველობაზე მაღრაძისა და ბლუაშვილის გარდა ყველა გამოვა.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატი სპორტული პისტოლეტიდან სროლაში მოგვიანებით - 21 ივლისიდან 4 აგვისტომდე ხორვატულ ოსიეკში ჩატარდება.

**ირაკლი თავაძე**

სუმო. ჰაცუ ბაშო. 13-27 იანვარი

# ტოჩინოშინმა ბაშო 9 მოგებით დაასრულა

ტოკიოში დასრულდა წლის პირველი (ექვსიდან) სუპერტურნირი - ჰაცუ ბაშო. ჩემპიონის ვინაობა შაბათს გაირკვა, როცა მონღოლმა **ჰარუმაფუჯიმ** ზედიზედ მე-14 გამარჯვება იზეიმა. ეს მისი მე-5 იმპერატორის თასია. დადებითი ბალანსით დაასრულა ბაშო მე-6 მაეგაშირა **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)**, ხოლო უარყოფითი ბალანსით - მე-4 მაეგაშირა **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)**.

ასპარეზობის ბოლო დღეს ჩვენებურები დამარცხდნენ - ტოჩინოშინმა სეკივაკის რანგის სუმოისტ **გოეიდოსთან** დათმო, რომელსაც ჰაერივით სჭირდებოდა მე-8 გამარჯვება, წინააღმდეგ შემთხვევაში ტიტულს კარგავდა. ლევანმა ბაშო 9-6 ბალანსით დაასრულა, რაც კარგი შედეგია. ის მომდევნო ბაშოზე, სავარაუდოდ, მე-2 მაეგაშირა იქნება.

გაგამარუ ვერ გაუმკლავდა მონღოლ **ტამავაშის**, თეიმურაზმა ბაშო 6-9 ბალანსით დაასრულა და რეიტინგში დაქვეითება მოუწევს.

### XIV დღე

**(მნიშვნელოვანი ბრძოლები)**: ჰარუმაფუჯი-კაკურიუ (იორიკირი), ჰაკუჰო-კისენოსატო (იორიკირი), კოტოოშუ-ბარუტო (იორიკირი), კოტოშოგიკუ-არანი (იორიკირი), ტაკაიასუ-გოეიდო (ცუკიოტოში), შოჰოზანი-კაისეი (ოშიდაში), იკიოი-ტოჩიოძანი (სუკუინაგე), ტოიონოშიმა-მიოგირიუ (ცუკიჰიზა), ამინიშიკი-ტოიოჰიბიკი (კატასუკაში), **გაგამარუ**-ვაკანოსატო (ოშიდაში), **ტოჩინოშინი**-შოტენრო (იორიკირი).

### ბოლო დღე

**(მნიშვნელოვანი ბრძოლები)**: ჰარუმაფუჯი-ჰაკუჰო (იორიკირი), კოტოოშუ-კისენოსატო (უვატენაგე), კოტოშოგიკუ-კაკურიუ (იორიკირი), გოეიდო-**ტოჩინოშინი** (იორიტაოში), ბარუტო-იკიოი (იორიკირი), ტოჩიოძანი-ტაკაიასუ (ჰატაკიკომი), შოჰოზანი-კიოკუტენჰო (ოშიდაში), ამინიშიკი-აოიამა (ჰიკაკე), ჩიოტაირიუ-მიოგირიუ (ჰიკიოტოში), ტამავაში-**გაგამარუ** (ოშიდაში).

### საბოლოო მდგომარეობა

**15-0:** ჰარუმაფუჯი (იოკოძუნა)

**12-3:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), ტაკაიასუ (მაეგაშირა 7).

**10-5:** კოტოოშუ (ოძეკი), კისენოსატო (ოძეკი), ჩიოტაირიუ (მ 8), ტოკიტენკუ (მ 9).

**9-6:** ამინიშიკი (მ 1), **ტოჩინოშინი** (მ 6), ტაკარაფუჯი (მ 14).

**8-7:** კაკურიუ (ოძეკი), კოტოშოგიკუ (ოძეკი), გოეიდო (სეკივაკე), ბარუტო (სეკივაკე), ტოჩიოძანი (კომუსუბი), იკიოი (მ 5), კიტატაიკი (მ 10), ოკინოუმი (მ 10), ფუჯიაზუმა (მ 11), ტამავაში (მ 12), შოტენრო (მ 14), ტოჩინოვაკა (მ 15).

**7-8:** მიოგირიუ (მ 1), არანი (მ 4), აოიამა (მ 6), იოშიკაძე (მ 8), სადანოფუჯი (მ 12).

**6-9:** ტოიონოშიმა (მ 2), კაისეი (მ 3), **გაგამარუ** (მ 4), ტაკეკაძე (მ 9), დაიდო (მ 13), კოტოიუკი (მ 15).

**5-10:** ტოიოჰიბიკი (მ 3).

**4-11:** შოჰოზანი (კომუსუბი), კიოკუტენჰო (მ 2), მასუნოიამა (მ 7), ვაკანოსატო (მ 11), ასაჰიშო (მ 13), ტამაასუკა (მ 16).

**3-12:** მიაბიამა (მ 16).

**0-15:** ჰომაშო (მ 5, ტრავმა).

### ტიტულები

**იმპერატორის თასი:** ჰარუმაფუჯი (მე-5)
**ბრწყინვალე ასპარეზობა:** არავის
**მებრძოლი სული:** ტაკაიასუ (1-ელი)
**ტექნიკური რიკიში:** არავის
**ჟიურის ჩემპიონი:** ტაკანოიავა (1-ელი)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ლევან გორგაძე

# კალათბურთი

## საქართველოს თასი



# ოვერტაიმში მოგებული თასი

**27 იანვარი. თბილისი**

**სპორტის სასახლე**

| შსს აკადემია-ოლიმპი | 79:69 |
|---|---|

18:14, 13:14, 18:8, 9:22, 21:11

**შსს აკადემია:** ვონი (27ქ, 10მ, 5პ), როგავა (9ქ, 3ჩ), პრევიტი (5ქ), ანთაძე (2ქ, 5მ), არჩიბეკი (12ქ, 21მ), ჩიტაშვილი, ბოქოლიშვილი (5ქ), ლონდარიძე (16ქ), ლომოური (3ქ), ბექაური, რეიმონდი.

**ოლიმპი:** სოკი (12ქ, 8მ, 5პ), ფაცაცია (12ქ, 11მ, 5პ), ბერიშვილი (6ქ, 5მ), დვალიშვილი (2ქ, 6მ), მილოშევიჩი (10ქ, 10მ, 3დ), გულისაბედაშვილი, ტომარაძე (2ქ), მიქელაძე (3ქ), ანდრიუკაიტისი (22ქ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი, ზ. მაჩალაძე.

მატჩის შემდეგ "შსს აკადემიას" სპორტულმა დირექტორმა **ლევან მიქაბერიძემ** მითხრა – ეს "შსს აკადემიას" დაარსებიდან მეშვიდე ფინალი იყო, აქამდე ექვსივე წაგებული გვქონდაო. უმალ გამახსენდა 2011 წელს საევრობასკეტოდ დაწერილი წიგნი "მეშვიდე ცაზე, მეშვიდე ცდაზე". მართლაც, განსაკუთრებით გემრიელია რამდენიმეწლიანი უილბლობის შემდეგ (ზედიზედ ექვსი ფინალის წაგება, აბა სხვა რას უნდა მიეწეროს?) სანუკვარი ჯილდოს დაუფლება.

თასის მოპოვებას მეტი "სიმსუყე" შემატა სანახაობრივმა ფინალმა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, "ოლიმპსა" და "შსს აკადემიას" შორის გამარჯვებულის გამოვლენას ძირითადი დრო არ ეყო. ბოლო წამების ქრონოლოგიაზე ქვემოთ შევჩერდებით, მანამდე შეხვედრის სცენარს შევეხოთ.

ერთ ეპიზოდში ოლიმპელი **სტევან მილოშევიჩის** ზურგსუკნიდან მდგარმა შსს-ის მეფარე **კირკ არჩიბეკმა** თანაგუნდელ **ილია ლონდარიძეს** ხმამაღლა დაუძახა. ილიაც მილოშევიჩის წინ გაჩნდა. ამის გარეშეც ცხადი იყო, რომ აკადემიელები მაღალი დონის ცენტრის, სტევანის წინააღმდეგ ორმაგ დაცვას მიმართავდნენ.

ასეთ დროს ერთი ოლიმპელი ყოველთვის თავისუფლდებოდა. ეს რიგ ეპიზოდებში კარგად გამოიყენა ლიტველმა **მარტინას ანდრიუკაიტისმა**, რომელმაც საბოლოოდ 6 სამქულიანი ჩააგდო. მას თანაგუნდელებმა შორეულ ტყორცნებში მხარი სათანადოდ ვერ აუბეს. პირველ ტაიმში "ოლიმპმა" ფარქვეშიდან მხოლოდ 2 ქულა ჩააგდო, ხოლო მილოშევიჩი 2 ქულასა და 3 მოხსნას დასჯერდა.

როცა დაცვაში საქმე კარგად მიდის შეტევაშიც ყველაფერი რიგზეა, - ეს ბოლომდე ვერ გამართლდა "შსს-აკადემიას" შემთხვევაში, რადგან თავის მხრივ "ოლიმპიც" მტკიცედ იდგა დაცვაში. პირველ ტაიმში შსს-ელები უმთავრესად ვონისა და მოუხელთებელი ილია ლონდარიძის წყალობით აგროვებდნენ ქულებს. მეორე მეოთხედში მათ ამერიკელი ფორვარდი **ჩად პრევიტი** დაუშავდათ და მატჩი ველარ განაგრძო.

მესამე პერიოდში აკადემიელთა დაცვის სიმტკიცემ პიკს მიაღწია და გუნდმა 22:9 მოიგო. მეოთხე რაუნდის დასაწყისში, სამქულიანით თავი გამოიჩინა შსს-ს ახალგაზრდა გამთამაშებელმა **რევაზ როგავამ**, რომლის ტყორცნის შემდეგ გუნდი 52:38 დაწინაურდა. სწორედ ამ ეპიზოდის შემდეგ ტემპს უმატა "ოლიმპმა". რეზოს არ ჩამორჩა ასევე ახალგაზრდა ოლიმპელი **ირაკლი მიქელაძე**... მისსა და **ლევან ფაცაციას** შორეულ ტყორცნებს ანდრიუკაიტისმა კიდევ ერთი სამიანი მიაყოლა და ძირითადი დროის დასრულებამდე 13 წამით ადრე ანგარიში გათანაბრდა – 58:58.

ოვერტაიმში კი სამქულიანების ფეიერვერკი ვიხილეთ: ვონმა ორი, **ლომოურმა** ერთი სამიანი ჩააგდო და დამატებითი დროის დასრულებამდე 1:27 წუთით ადრე შსს 69:58 დაწინაურდა. **გია კაზანჯიანის** შეგირდებმა ისევ სამქულიანებით სცადეს სიტუაციის გამოსწორება, მაგრამ...

მატჩის საუკეთესო კალათბურთელ დეონტა ვონს კალათბურთის ფედერაციამ სპეციალური ჯილდო გადასცა, ხოლო ტელეწამყვანმა **ჯამლეტ ხუხაშვილმა** - ლეგენდარული კომენტატორის, კოტე მახარაძის სახელობის გარდამავალი თასი.

### ნამატჩევს

საპრესკონფერენციო დარბაზში "შსს აკადემიას" წევრები თასებით ხელდამშვენებულები შემოვიდნენ. მთავარმა მწვრთნელმა, **გიორგიოს კეცელიდისმა** საქართველოს თასს ხელი დაადო და თქვა:

"თბილისში პირველად ზუსტად ერთი წლის წინათ, 28 იანვარს ჩამოვედი. წამოსვლის წინ ჩემს ქალიშვილსა და მეუღლეს დავპირდი, რომ ერთი წლის განმავლობაში ჩემი გუნდი მინიმუმ ფინალში ითამაშებდა. ამ ჯილდოს მათ ვუძღვნი, ასევე ჩემს მეგობარ მწვრთნელ ჰელიოს კუფოსს, რომელმაც გულზე ოპერაცია გაიკეთა და კარიერას ველარ აგრძელებს.

რაც შეეხება შეხვედრას, მინდა აღვნიშნო, რომ "ოლიმპმა" მაღალ დონეზე ითამაშა. მეტად სანახაობრივი ფინალი გამოვიდა. ბევრი მეკითხება, რატომ გავუშვი გამთამაშებელი ლარი ბლერი და მის ნაცვლად დეონტა ვონი ჩამოვიყვანე. ვფიქრობ, პასუხი დღესაც მივიღეთ. ვონმა გამარჯვებაში ლომის წვლილი შეიტანა."

"ოლიმპის" თავკაცმა **გია კაზანჯიანმა** მოკლე, მაგრამ საფუძვლიანი ანალიზი გააკეთა:

"ველოდით, რომ ჩვენი ცენტრის, მილოშევიჩის წინააღმდეგ "აკადემია" ორმაგ დაცვას მიმართავდა. საპასუხოდ, პერიმეტრზე უპირატესობა უნდა შეგვექმნა, მაგრამ ჩვენმა მსროლელებმა სამქულიანები დაბალი შედეგიანობით ისროლეს, თუნდაც სამით მეტი ტყორცნა რომ გამოგვეყენებინა, სხვა სურათი გვექნებოდა. მილოშევიჩმა ნახევარფინალში ფეხი იტკინა და, ალბათ, ამიტომაც ვერ ითამაშა ჩვეულად."

მატჩის საუკეთესო კალათბურთელი დეონტა ვონი:

"ოლიმპელებს სუპერლიგის პირველ წრეში ვეთამაშეთ და დავმარცხდით. მათ კარგად ვყავდი შესწავლილი. ამ შეხვედრისთვის კი მაქსიმალურად მოვემზადეთ და შედეგიც ნახეთ. ვფიქრობ, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ეს ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა იყო. თუმცა დღეს გუნდური თამაშით გავიმარჯვეთ."

## ქართველი NBA-ში

# დიდი შემოტრიალება

„ატლანტა ჰოქსმა" მიმდინარე სეზონში საუკეთესო მატჩი ჩაატარა. დავაკონკრეტეთ: ჯორჯიელებისთვის საწყისი 18 წუთი კატასტროფული აღმოჩნდა, **კევინ გარნეტის** წინამძღოლობით ბოსტონელები თითქოს ბავშვებს ეთამაშებოდნენო - ქულებსაც იოლად აგროვებდნენ, ხოლო „ატლანტას" საკუთარ კალათთან არ უშვებდნენ. ყველაფრის თავი და თავი „ბოსტონის" აგრესიული დაცვა იყო. სტუმრები ჯორჯიელ გამთამაშებელს მისსავე მოედნიდან ავიწროებდნენ, ხოლო პერიმეტრზე ერთხელაც არავინ დარჩენიათ უმეთვალყურეოდ.

კალათბურთი ხომ ის თამაშია, რომელშიც მოედანზე მომხდარი მცირე ნიუანსიც კი ტაბლოზე ისახება. ჰოდა, რა გასაკვირია „ბოსტონ სელტიკსის" კარგი გარჯა რიცხვებში რომ დაფიქსირდა: მატჩის მე-18 წუთზე **ეივერი ბრედლის** ორქულიანის შემდეგ „კელტები" 27 ქულის სხვაობით დაწინაურდნენ (48:21).

ასეთი თამაშის შემყურე, ვერავინ იფიქრებდა, რომ „ატლანტა" თამაშს შემოატრიალებდა. არ ჩანდა გზა, რითაც ჯორჯიელები სიტუაციას გამოასწორებდნენ. ასეთ გზას, ალბათ, ვერც ბოსტონელები ხედავდნენ. სწორედ აქ შეცდნენ. მათ დაავიწყდათ, რომ ჯორჯიელთა რიგებში **კაილ კორვერი** ირიცხება, რომელსაც თვალდახუჭულს შეუძლია სამქულიანების რეალიზება. ატლანტამ მდგომარეობის გამოსწორება დაცვიდან დაიწყო - მეტად აგრესიულად და ყურადღებით ათამაშდა და მე-18 წუთის შემდეგ უკვე ბოსტონელები ვერ რჩებოდნენ თავისუფალ სატყორცნ პოზიციაზე. ასე და ამგვარად, „ატლანტა" 17:6 გაიქცა და მეორე პერიოდის ბოლოსთვის სხვაობა 12 ქულამდე შეამცირა. ზემოთ კორვერი კი ვახსენეთ, მაგრამ ამ სპურტში უფრო მეტი დამსახურება ფორვარდებს, **ელ ჰორფორდსა** და **ჯოშ სმიტს** მიუძღოდათ.

კორვერის ჯერი მესამე პერიოდში დადგა: ორი სამქულიანი ჩააგდო, რის შემდეგაც სხვაობა 4 ქულამდე ჩამოვიდა. ეს უკვე დიდი შემოტრიალება იყო. მეოთხე რაუნდიდან „ბოსტონიც" გონს მოეგო და ბოლო წუთებზე თანაბარი თამაში გაჩაღდა. რადგან გაქცევისას „ატლანტამ" **ზაზა ფაჩულიას** გარეშე ითამაშა, მწვრთნელმა ქართველი ცენტრი არც მეოთხე პერიოდში შეიყვანა მოედანზე. სირენამდე 4 წუთით ადრე სტუმრები 10 ქულის სხვაობით იგებდნენ. „ბოსტონის" დარ გამოცდილ გუნდს ასეთი ფორის შენარჩუნება მოეთხოვებოდა, მაგრამ ვერც ეს შეძლო, კორვერმა სამი, **ტიგიმ** ერთი სამქულიანი გამოიყენა და მატჩი ოვერტაიმში გადავიდა.

პირველმა დამატებითმა ხუთწუთეულმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა, მეორეში კი გარნეტმა მეექვსე ფოლი მიიღო და მის გარეშე დარჩენილ „ბოსტონს" „ატლანტამ" 123:111 აჯობა.

კორვერმა კარიერის რეკორდი დაამყარა - 8 სამქულიანი ჩააგდო, ჯამში კი 27 ქულა მოაგროვა. ჰორფორდმა 24, ხოლო ტიგმა 23 ქულა მიითვალა.

**ატლანტა-ბოსტონი 123:111 2ო.ტ.**

**ზაზა ფაჩულია:** 11 წუთი, 2 ქულა (1-დან 1 ორქულიანი), 3 მოხსნა, 1 პასი.

| | | |
|---|---|---|
| **I პერიოდი** | | |
| 6:13 | 14-5 | ი. ჯონსონი შეცვალა |
| 6:07 | 14-7 | პასი: 1 (ჰორფორდი 2ქ) |
| 5:22 | 16-8 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 5:22 | 16-10 | ორქულიანი: 2ქ |
| 3:23 | 18-10 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| **II პერიოდი** | | |
| 9:00 | 39-17 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 7:16 | 41-19 | სმიტმა შეცვალა |
| 0:53 | 54-37 | ჰორფორდი შეცვალა |
| 0:22 | 57-38 | სტივენსონმა შეცვალა |



ატლანტა-ბოსტონი. აბა, იპოვეთ ზაზა ფაჩულია

## ქართველი ამერიკაში

# ისევ დუბლი, ისევ მოგება და...

## მეომრებთან დაჭრილი შენგელია



თვალნატკენმა შენგელიამ მაღალი პროცენტული სიზუსტით ისროლა

NBA-ის განვითარების ლიგაში მესამე მატჩი ჩაატარა **თორნიკე შენგელიამ** და მოედანი არც ამჯერად დაუტოვებია ორმაგი დუბლის გარეშე. მისმა „სპრინგფილდმა" საკუთარ მოედანზე „სანტა კრუს უორიორსი" ლამაზი ანგარიშით დაამარცხა - 111:100.

ამ სტატიას ახლავს ფოტო, რომელზეც შენგელია ჯარიმას სტყორცნის. თუ კარგად დააკვირდებით, შენიშნავთ, რომ მას თვალზე ჭრილობა აქვს. გამოცემა „რეპუბლიკანში" წერია, რომ ტრავმა პირველ მეოთხედში მიიღო. უფრო ზუსტად: საწყისი პერიოდის დასრულებამდე 7:52 წუთით ადრე შენგელიამ ბურთი სამქულიან რკალთან მიიღო, „მეომრების" კალათისკენ დაიძრა, თუმცა საჯარიმოს სატყორცნ ხაზთან ბურთი დააგდო და შეტევა ველარ განაგრძო. როგორც გამოირკვა, მეტოქესთან მსუბუქი შეჯახებისას თვალის ქუთუთო დაუზიანდა, ვიდრე ექიმი სისხლის დენას უჩერებდა, მატჩი შეჩერებული იყო და ცხრა კალათბურთელი თოკოს ელოდა. საბედნიეროდ, შენგელია მალევე დაბრუნდა მოედანზე და თამაშის განახლების შემდეგ სწორედ იმ წერტილიდან შეუტია, სადაც ტრავმა მიიღო. მოწინააღმდეგეები დაჯარიმდნენ და ქართველმა ფორვარდმა ორიდან ერთი საჯარიმო გამოიყენა (ფოტოზე სწორედ ეს მომენტია ასახული).

თორნიკემ მოედანზე 37 წუთი გაატარა და მაღალი პროცენტული სიზუსტით ისროლა როგორც ახლო, ასევე შორი დისტანციიდან. მან 8-დან 5 ორქულიანი, 4-დან 3 სამიანი და 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო. 21 წლის ქართველის სრული მონაგარი ასეთი იყო: 24 ქულა, 13 მოხსნა, 3 პასი, 3 ჩაჭრა, 2 დაფარება.

თოკოზე მეტი მხოლოდ მისივე თანაგუნდელმა **ტაიშონ ტეილორმა** მოაგროვა - 26 ქულა.

*- მოხარული ვარ, რომ მას შემდეგ, რაც „სპრინგფილდში" ვარ ზედიზედ მეორე მატჩიც მოვიგეთ. შედეგებიც გვიჩვენებს, რომ კარგი გუნდი გვყავს. იმედი მაქვს, წარმატებულ სვლას მომდევნო შეხვედრებშიც განვაგრძობთ,* - განაცხადა ნამატჩევს თორნიკე შენგელიამ.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ლეგიონერები

# ოთხეული ლიდერებში და შეყლაშვილის ლელო

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ათი ტური დარჩა. სატურნირო ცხრილის პირველი ხუთი საფეხური ამ დროისთვის ქართველ მორაგბეთა ხუთ გუნდს უკავია. აქედან სამი- „ტულონი", „ტულუზი" და „კლერმონი" იმდენად არიან დაწინაურებულნი, რომ სავარაუდოდ მათ პლეი ოფს მიღმა დარჩენა არ ემუქრებათ, თუმცა თეორიულად ესეც შესაძლებელია. „მონპელიეს" და „კასტრს" კი, რომლებიც დაწინაურებულ სამეულს კვალში უდგანან, მწვავე ბრძოლები ჯერ კიდევ წინ აქვთ.**



მარცხნიდან მესამე ლევან დათუნაშვილი

წაუგებელ სერიას განაგრძობს გათამაშების ლიდერი **დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონი", რომელმაც მე-16 ტურში შინ დაამარცხა **თამაზ მჭედლიძის** „მონ დე მარსანი" - 15:9. მასპინძლებს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდა. ქუბრიაშვილთან ერთად არ უთამაშიათ **ბაკის ბოთას** და **ჯო ფან ნიკერკს.**

მარსანელებმა, მიუხედავად იმისა, რომ აუტსაიდერები არიან, მეტოქეს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს. პირველ ტაიმში ტულონელებმა დაწინაურება მაინც მოახერხეს და ექვსი ქულით 15:9 მოიგეს. შესვენების შემდეგ, დიდი მცდელობის მიუხედავად, მონაგრის გაზრდა ვერც ერთმა შეძლო.

მიქაუტაძე თამაშში 64-ე წუთიდან ჩაერთო, ჩილაჩავა სათადარიგოთა შორის იყო, თუმცა მოედანზე არ გამოჩენილა, მჭედლიძე განაცხადში არ იყო.

სატურნირო ცხრილში მეორე საფეხურზე გადაინაცვლა **ვასილ კაკოვინისა** და **ჯაბა ბრეგვაძის** „ტულუზმა", რომელმაც შინ დაამარცხა ბასკური „ბიარიცი" - 19:14. ტულუზელები უპირატესობას თავიდანვე დაეუფლნენ და მე-9 წუთისთვის უკვე 13:0 იგებდნენ. ბასკებმა მდგომარეობის გამოსწორება ტაიმის შუანელისკენ მოახერხეს, თუმცა მაქსიმუმ რაც შეძლეს, ანგარიშის ხუთ ქულამდე შემცირება იყო - 8:13.

მეორე ტაიმში ვითარება რადიკალურად არ შეცვლილა. გუნდებმა ორ-ორი საჯარიმო გაიტანეს და მასპინძლებმა მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმეს. კაკოვინს და ბრეგვაძეს არ უთამაშიათ.

**დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონის" წაუგებელი სერია პერპინიანში შეწყდა. „ვულკანებმა", რომლებსაც რამდენიმე ტრავმირებული წამყვანი მოთამაშე აკლდა, „პერპინიანთან" 19:26 წააგო.

აღსანიშნავია, რომ კლერმონელები 62-ე წუთამდე ანგარიშში წინ იყვნენ, თუმცა მატჩის დასკვნით მეოთხედში მასპინძლებმა გარდატეხის შეტანა შეძლეს. ზირაქაშვილი ტრავმირებულია და არ უთამაშია, კოლელიშვილი განაცხადში არ იყო.

**მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გიორგი ჟღენტის** „მონპელიემ" სტუმრად უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა „აჟენთან" - 13:9. ჩვენებურთა გუნდი თავიდანვე დაწინაურდა, თუმცა მასპინძლებმა, რომლებიც დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვიან, პირველი ტაიმის მიწურულისთვის ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება შეძლეს - 6:7. შესვენების შემდეგ „მონპელიემ" მონაგარს ორი საჯარიმო მიუმატა, რაზეც აჟენელებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს.

ნარიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 56-ე წუთზე შეცვალეს, გორგოძემ მოედანზე 19 წუთით მეტი დაჰყო, ჟღენტი ტრავმირებულია და არ უთამაშია.

**ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრმა", რომელიც ლიდერთა შორისაა და პლეი ოფში გასვლისთვის იბრძვის, მე-16 ტურის მატჩი სტუმრად გამართა ბასკურ „ბაიონთან" და 12:22 წააგო. ჩვენებურის გუნდმა მეტოქეს წინააღმდეგობა მეტ-ნაკლებად პირველ ნახევარში გაუწია, თუმცა ოთხი ქულით მაინც დამარცხდა - 16:12. შესვენების შემდეგ „კასტრმა" მონაგარს ველარაფერი შემატა. ბასკებმა კი, კიდევ ორი საჯარიმოს გატანა შეძლეს.

**ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსემ" შინ იოლად დაამარცხა საპლეიოფო ექვსეულის ბოლო წევრი „გრენობლი" - 35:6. შედეგად პარიზელებს 37 ქულა დაუგროვდათ და ახლა „ალპელებს" მხოლოდ ხუთი ქულით ჩამორჩებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ პლეი ოფის საგზურისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ შეუძლიათ. ჟვანიას არ უთამაშია.

ისევ არ გამოჩენილა „ბორდოს" შემადგენლობაში **ზაზა ნავროზაშვილი.** ბორდოელები კი მე-16 ტურში შინ დამარცხდნენ „მეტრო რასინგთან" - 15:22. ჩვენებურის გუნდს ახლა 19 ქულა აქვს და დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის.

### I დივიზიონი

#### XVI ტური

**ბაიონი-კასტრი 22:12, პერპინაინი-კლემონი 26:19, სტად ფრანსე-გრენობლი 35:6, აჟენი-მონპელიე 9:13, ტულონი-მონ დე მარსანი 15:9, ბორდო-მეტრო რასინგი 15:22, ტულუზი-ბიარიცი 19:14.**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. ტულონი - 61 ქულა, 2. ტულუზი - 54, 3. კლერმონი - 54, 4. მონპელიე - 45, 5. კასტრი - 44, 6. გრენობლი - 42, 7. მეტრო რასინგი - 38, 8. პერპინიანი - 38, 9. სტად ფრანსე - 37, 10. ბიარიცი 37, 11. ბაიონი - 30, 12. ბორდო - 19, 13. აჟენი - 19, 14. მონ დე მარსანი - 9.**

#### XVII ტური

**მეტრო რსაინგი-კლერმონი, მონ დე მარსანი-გრენობლი, ბაიონი-პერპინიანი, აჟენი-ტულუზი, ბორდო-ტულონი, კასტრი-სტად ფრანსე, მონპელიე-ბიარიცი.**

ელიტურ, მეორე დივიზიონში მე-19 ტურის მატჩები გაიმართა, რომლის შემდეგაც ნათლად გამოიკვეთა, რომ პლეი ოფში თამაშისთვის რეალურად ქართველ მორაგბეთა ოთხი გუნდი იბრძოლებს. ესენია: „ორიაკი", „ტარბი", „ბრივი" და „ლიონი".

„ქართული გუნდებიდან" საუკეთესო მაჩვენებელი **ლევან დათუნაშვილის, კარლენ ასეიშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკს" აქვს. ჩვენებურთა ეს გუნდი სტუმრად ეთამაშა **გიორგი ჩხაიძის, დავით დადუნაშვილის, ირაკლი მირცხულავასა** და **გიორგი ნემსაძის** „ტარბს" და 9:15 დამარცხდა.

ამ გამარჯვების შემდეგ ტარბელები საპლეიოფო ხუთეულს მჭიდროდ მიუახლოვდნენ, ორიაკი კი მეორე ადგილიდან მეოთხეზე დაქვეითდა. დათუნაშვილი, ნაცარაშვილი, დადუნაშვილი, ჩხაიძე და მირცხულავა ძირითად შემადგენლობაში იყვნენ, ნემსაძე და ასეიშვილი თამაშში მეორე ტაიმიდან ჩაერთნენ.

**დავით ხინჩაგიშვილის, გოდერძი შველიძისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივი" სტუმრად დამარცხდა „ნარბონთან" - 17:28, თუმცა 51 ქულით სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილი მაინც შეინარჩუნა. ქართველი მორაგბეები სათადარიგოთა შორის იყვნენ და მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდნენ.

აუტსაიდერთა დავაში **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიემ" შინ დაამარცხა **დავით აშვეთიასა** და **შალვა სუთიაშვილის** „მასი" - 30:21. შეყლაშვილმა, რომელმაც სრულად ითამაშა, 44-ე წუთზე ლელო მიითვალა. ძირითად შემადგენლობაში იყვნენ აშვეთია და სუთიაშვილიც.

**გურამ კავთიძის** „ლიონმა" შინ დაამარცხა **ალექსანდრე თოდუას, ვახტანგ მაისურაძის, ვახტანგ ახობაძის, კახაბერ კობერიძისა** და **გიორგი თეთრაშვილის** „ალბი" - 26:12. ლიონელთა რიგებში ტრავმის მოშუშების შემდეგ დაბრუნდნენ **ლიონელ ნალე** და **სებასტიან შაბალი**, რაც გუნდის თამაშს უმალვე დაეტყო.

თოდუამ თავიდან ბოლომდე ითამაშა, მაისურაძე 59-ე წუთზე შეცვალეს, კავთიძე თამაშში ერთი წუთით ადრე ჩაერთო, ახობაძე, კობერიძე და თეთრაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

**ტარიელ რატიანიძის** „დაქსი" სტუმრად დამარცხდა „კოლომეისთან" - 15:22. რატიანიძე განაცხადში არ იყო.

### II დივიზიონი

#### XIX ტური

**ოში-ლა როშელი 3:20, კოლომიე-დაქსი 22:15, იიონაქსი-ექსი 22:10, კარკასონი-პო 12:12, ლიონი-ალბი 26:12, ნარბონი-ბრივი 28:17, ბეზიე-მასი 30:21, ტარბი-ორიაკი 15:9.**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. იიონაქსი - 77 ქულა, 2. პო - 58, 3. ლა როშელი - 58, 4. ორიაკი - 58, 5. ბრივი - 51, 6. ტარბი - 51, 7. კარკასონი - 50, 8. ლიონი - 48, 9. ნარბონი - 40, 10. ალბი - 39, 11. კოლომიე - 39, 12. ოში - 32, 13. ექსი - 29, 14. დაქსი - 29, 15. ბეზიე - 25, 16. მასი - 18.**

#### XX ტური

**ალბი-მასი, დაქსი-ნარბონი, პო-ოში, ექსი-ბეზიე, ბრივი-ორიაკი, კარკასონი-ტარბი, კოლომიე-იიონაქსი, ლა როშელი-ლიონი.**

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ



დავით დადუნაშვილი (N1) და ირაკლი მირცხულავა (მარცხნივ)

ერთა თასი

ეროვნული ბიბლიოთეკა



არენა კლუჟი

# რუმინეთი საქართველოს კლუჟში დაუხვდება?

**ერთა თასის გათამაშება მომავალ უქმეებზე დაიწყება. საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტი რუმინეთის ეროვნული გუნდი მზადებას უკვე შეუდგა და მსოფლიოს თასის საგზურისთვის სერიოზულად ბრძოლას აპირებს.**

როგორც ჩანს, რუმინეთის რაგბის კავშირს განზრახული აქვს, რაგბის პოპულარიზაციის მიზნით, ერთა თასის მატჩებს ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში უმასპინძლოს. მათი გადაწყვეტილებით, „სტეჟარი" „ბორჯღალოსნებს" ქალაქ კლუჟში, საყოველთაოდ ცნობილ „არენა კლუჟზე" დაუხვდება, სადაც ადგილობრივ ფეხბურთელთა გუნდი ევროპის ჩემპიონთა ლიგის მატჩებს ატარებს.

*„ჩვენ უკვე ვესაუბრეთ ქალაქის ხელმძღვანელებს და სტადიონის ადმინისტრაციას. მოხარულნი ვართ, რომ ერთა თასზე საქართველოს ნაკრების მასპინძლობა მათი სურვილიცაა. რაიმე ჯერ გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ ერთის თქმა კი შემიძლია - ქართველებთან შეხვედრის კლუჟში გამართვის შანსი ძალიან დიდია. ამ ქალაქს შესანიშნავი სპორტული და სარაგბო ისტორია აქვს და ნამდვილად იმსახურებს ასეთი მაღალი დონის მატჩს უმასპინძლოს"* - თქვა რუმინეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **ალინ პეტრაკემ.**

შეგახსენებთ, რომ რუმინეთისა და საქართველოს ნაკრებების მატჩი, რომელიც ერთა თასის წლევანდელი გათამაშების ბოლო ტურის შეხვედრაა, 16 მარტს გაიმართება.

დაახლოებით იგივე გეგმები უნდა ჰქონდეს ესპანეთის რაგბის ფედერაციასაც, რომლის გადაწყვეტილებითაც, 23 თებერვალს ესპანეთის ნაკრები რუმინეთის ეროვნულ გუნდს ხიხონში ეთამაშება.

### რუმინეთის ნაკრები

**შეტევა: მიჰაიტა ლაზარი (კასტრი), პაულიკა იონი (ლონდონ ველში), პეტრუ ტამბა (კარდიფი), ანდრეი ურსაკე, ოვიდიუ ტონიცა (ორივე-კარკასონი), ეუგენ კაპატანა, დანიელ კარპო (ორივე-ტიმიშოარა), ანდრეი რადოი (ბაია მარე), ვალენტინ ურსაკე (იიონაქსი), მარიუს სირბე (ტარბი), კორნელ ტატუ, ვიორელ ლუკაჩი (ორივე-სტიაუა), ალექსანდრუ მიტუ (ბუქარესტი), მიჰაი მაკოვეი (სენ ნაზერი).**

**უკანა ხაზი: ფლორინ სურუჯუ (ბუქარესტი), კიპრიან კაპლესკუ (დინამო), დორინ მანოლე (ორტეზი), ფლორინ ვლაიკუ, რობერტ დესკალუ (ორივე-სტიაუა), ჩაბა გალი, კრისტიან დინისი, მიჰაი როსკა, მადალინ ლემნარუ, იონუც ნიაკსუ (ყველა-ბაია მარე), ადრიან აპოსტოლი (ფარული), კატალინ ფერკუ (ტიმიშოარა).**

### ერთა თასი 2013

#### I ტური

**2 თებერვალი**

ბელგია-საქართველო
პორტუგალია-რუმინეთი
რუსეთი-ესპანეთი

#### II ტური

**9 თებერვალი**

საქართველო-პორტუგალია
რუმინეთი-რუსეთი
ბელგია-ესპანეთი

#### III ტური

**23 თებერვალი**

რუსეთი-საქართველო
ესპანეთი-რუმიენთი
პორტუგალია-ბელგია

#### IV ტური

**9 მარტი**

საქართველო-ესპანეთი
პორტუგალია-რუსეთი
ბელგია-რუმინეთი

#### V ტური

**16 მარტი**

რუმინეთი-საქართველო
ესპანეთი-პოტუგალია
რუსეთი-ბელგია

## ქართული სპორტი

### ფიგურული ციგურაობა

# დონ კიხოტმაც ვერ უშველა



ელენე გედევანიშვილი

ზაგრებში დამთავრდა ფიგურულად მოციგურავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელიც წარუმატებელი აღმოჩნდა კონტინენტის პირველობების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორ **ელენე გედევანიშვილისთვის**. ქართველი მოციგურავე წლევანდელ შეჯიბრებაზე ახალი პროგრამებით წარდგა, რომლებიც გრან პრის ორ ტურნირზე კი გამოცადა, მაგრამ, ეტყობა, ბოლომდე დახვეწა მაინც ვერ მოასწრო. ზაგრებში ასპარეზობის პირველ დღეს მოკლე პროგრამამ ჯონ უილიამსის „შინდლერის სიით" მხოლოდ მე-16 ადგილი მოუტანა (48,75 ქულა), თავისუფალი პროგრამით (ლეონ მინკუსის „დონ კიხოტი") ცოტა უკეთ იასპარეზა - 93,96 ქულა დაიმსახურა და მე-11 იყო, ორივე გამოსვლის ჯამში (142,71 ქულა) კი მე-14 ადგილი ხვდა.

კონტინენტის ჩემპიონის წოდება მეხუთედ მოიპოვა იტალიელმა კაროლინა კოსტნერმა (194,71). იგი ორივე პროგრამით მეორე იყო, მაგრამ საბოლოოდ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. გამარჯვებულს მცირედით ჩამორჩა რუსი ადელინა სოტნიკოვა (193,99), რომელიც მოკლე პროგრამით პირველი იყო, თავისუფალი პროგრამით კი - მესამე. ბრინჯაოს მედალი მის თანამემამულე ელიზავეტა ტუკტამიშევას (188,85) ერგო.

სპორტულ ცეკვებში, როგორც გაუწყეთ, **ოთარ ჯაფარიძემ და ანგელინა ტელეგინამ** დებიუტი მე-20 ადგილით აღნიშნეს.

**ვაჟა დანელია**

### ჩოგბურთი

# ერთეულებში - უიღბლოდ

ორი ქართველი სპორტსმენი - **სოფიო შაფათავა და მაკა ჩახნაშვილი** - ჩაება ეილათის (ისრაელი) ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 75.000 დოლარი) საკვალიფიკაციო ბადეში. გუშინ პირველი წრის შეხვედრები გაიმართა. ჩახნაშვილმა შედარებით იოლად სძლია ბულგარელ ელიზა კოსტოვას (6:2, 6:4), მაგრამ მეორე წრეში ბელარუს ალიაკსანდრა სასნოვიჩს დანებდა სამ სეტში - 2:6, 7:5, 2:6. შაფათავამ კი სასტარტო ორთაბრძოლა დათმო უკრაინელ ვალენტინა ივახნენკოსთან - 4:6, 6:4, 3:6.



ქართველი ჩოგბურთელები წყვილებშიც მოსინჯავენ ძალებს - ჩახნაშვილი ალბერტა ბრიანტისთან (იტალია) ერთად რალუკა ოლარუს და კრისტინა-ანდრეა მიტუს (ორივე - რუმინეთი) დაუპირისპირდება, ხოლო შაფათავა ტერეზა მრდეზასთან (ხორვატია) შეწყვილებული იულია გლუშკოს (ისრაელი) და იოჰანა კონტას (დიდი ბრიტანეთი) დუეტს გაუწევს მეტოქეობას.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ქალთა ნაკრები ეილათშივე 6-9 თებერვალს ფედერაციის თასზე ევროაფრიკული ზონის პირველ ლიგაში ითამაშებს.

**ვაჟა დანელია**

### ხელბურთი

# თბილისში დასრულდა, ყვარელში ხვალ იწყება

2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის მზადების პროგრამით 1998-1999 წლებში დაბადებული ხელბურთელებისთვის მეოთხედ ეწყობა საქართველოს პირველობა, რომელშიც სხვადასხვა რეგიონის ვაჟთა 19 გუნდი მონაწილეობს. ზონების მიხედვით ისინი 3 ჯგუფში არიან განთესილი.

სპორტკომპლექს „არენაში" შეხვედრები დაამთავრეს თბილისის ქვეჯგუფში მოასპარეზეებმა. მესამე ეტაპის პირველი ორი ტურის შედეგები უკვე გაუწყეთ, ბოლო სამი ტურის პაექრობები კი ასე დასრულდა: „მართვე" - „შევარდენი" 24:16, „კორიდა" - „მერანი" 22:27, „აისი" „პეგასთან", „მართვესა" და „შევარდენთან" სათამაშოდ არ გამოცხადდა, რის გამოც ტექნიკური ნაგებები (0:10) ჩაეთვალა. „მერანი" - „პეგასი" 29:25, „კორიდა" - „შევარდენი" 18:7; „პეგასი" - „კორიდა" 23:23, „მერანი" - „მართვე" 24:16. საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: „მერანი" - 10 ქულა (116:74), „პეგასი" - 7 (114:77), „კორიდა" - 7 (99:82), „მართვე" - 4 (96:97), „შევარდენი" - 2 (49:94), „აისი" - 0 (0:50). პირველმა ოთხმა გუნდმა ფინალური ეტაპის საგზურები დაიმსახურა.

ხვალ შეჯიბრებაში აღმოსავლეთის ქვეჯგუფის გუნდები (თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი, რუსთავი, ქარელი, გორი) ჩაებმებიან. პაექრობები 31 იანვრის ჩათვლით ყვარელში გაიმართება. დასავლეთის ქვეჯგუფის წარმომადგენლები ქუთაისში 2-5 თებერვალს დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

**ვაჟა დანელია**



## უცხოური სპორტი

### კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# გასოლი ბოსტონში, გეი ლეიკერსში, პირსი მემფისში?

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში სატრანსფერო ბაზარი 21 თებერვალს იხურება და დედლაინის მოახლოებასთან ერთად, სულ უფრო აქტიურად ვრცელდება ჭორები მოსალოდნელ გაცვლებთან დაკავშირებით.

მეგატრეიდი დააანონსა ESPN-ის მიმომხილველმა **მარკ შტეინმა**. დაუდასტურებელი ინფორმაციით, „მემფისის" ხელმძღვანელობა განიხილავს ფორვარდ **რუდი გეის** გაცვლას „ლეიკერსში", სულ კი ამ გარიგებაში სამი კლუბი იქნება ჩართული. იტყობინებიან, რომ კალიფორნიული კლუბის ფორვარდი **პაუ გასოლი** „ბოსტონში" გადავა, „სელტიქსიდან" „მემფისში" წავა **პოლ პირსი**, ხოლო „ლეიკერსი" გეის მიიღებს.

„ბოსტონის" კაპიტანს შემდეგი სეზონისთვის აქვს კონტრაქტი 15.3 მილიონ დოლარზე, საიდანაც მხოლოდ ხუთი მილიონია გარანტირებული, რამაც შეიძლება დააინტერესოს „მემფისი".

■ ■ ■

დედლაინისთვის შემადგენლობის გადახალისებას აპირებს „ტორონტო". ერთ-ერთი წყაროს ცნობით, კანადურ კლუბს განზრახული აქვს უკანა ხაზის ორი წამყვანი მოთამაშიდან ერთ-ერთის გაცვლა. *„მაგრამ, ეს არ იქნება ხოსე კალდერონი"*, - წერია განცხადებაში. სავარაუდოდ, „ტორონტო" გამოეთხოვება **კაილი ლოურის**, - აღნიშნავს იგივე წყარო. ამ კალათბურთელის კონტრაქტი 2013-14 წლების ბოლომდეა ძალაში.

წლევანდელ რეგულარულში ლოური საშუალოდ მატჩში 13.8 ქულასა და 5.8 შედეგიან გადაცემას აგროვებს. კალდერონის ანალოგიური მაჩვენებლები 11.1 ქულასა და 7.5 პასს უდრის.

■ ■ ■

„დენვერ ნაგეტსის" ფორვარდ **ანდრე იგუოდალას** თავის ამჟამინდელ კლუბთან მრავალწლიანი კონტრაქტის გაფორმება სურს.

წლევანდელი სეზონის შემდეგ, იგუოდალა აპირებს გამოიყენოს კონტრაქტში არსებული პუნქტი და უარი თქვას მიმდინარე ხელშეკრულების ბოლო წელზე. 2013-14 წლების სეზონში ფორვარდს შეუძლია გამოიმუშავოს 16.2 მილიონი დოლარი.

წლევანდელ სეზონში იგუოდალამ 44 მატჩი ჩაატარა, რომლის დროსაც, საშუალოდ, 13.3 ქულა, 5.5 მოხსნა, 4.5 შედეგიანი პასი და 1.5 ჩაჭრა დააგროვა.

■ ■ ■

„ატლანტა ჰოქსის" ფორვარდს **ჯოშ სმიტს** მიაჩნია, რომ ის თავისი თამაშით უფრო სარფიან კონტრაქტს იმსახურებს.

*„ვგრძნობ, რომ ტოპმოთამაშე ვარ. გუნდისთვის ბევრი სარგებლობა მომაქვს თუნდაც იმით, რომ პრაქტიკულად ყველა პოზიციაზე შემიძლია თამაში, რადგან უნივერსალი ვარ.*

*მიმაჩნია, რომ ჩემი სამუშაოსთვის კლუბმა მაქსიმალური ხელფასი უნდა გადამიხადოს. ეს სამართლიანი იქნება.*

*აქ არ შეიძლება რაიმე ყოყმანს ჰქონდეს ადგილი ხელმძღვანელობის მხრიდან. მე - ჯოშ სმიტი ვარ და არა ვინმე სხვა. მე არ ვარ მაიკლ ჯორდანი, არც ლებრონ ჯეიმსი და არც ბრუკ ლოპესი. მე ვარ - ჯოშ სმიტი"*, - ამბობს „ატლანტას" ვარსკვლავი.

წლევანდელ სეზონში სმიტის საშუალო სტატისტიკა 16.7 ქულასა და 8.5 მოხსნას უდრის.

■ ■ ■

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ბოლოდროინდელი მორიგი ჩავარდნის შემდეგ, ისევ აგორდა ჭორები კალიფორნიულ კლუბში მწვრთნელის შეცვლის შესახებ. მაგრამ ორი დღის წინ, **მაიკ დ'ენტონიმ** შეხვედრა გამართა კლუბის ვიცე-პრეზიდენტ **ჯიმ ბასთან** და გენერალურ მენეჯერთან **მიტჩ კუპჩაკთან** და ამ დუეტმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადა მწვრთნელს. გუნდის ბოსებმა დ'ენტონის უთხრეს, რომ მას შეუძლია გააგრძელოს შემადგენლობის მხრივ ექსპერიმენტები.

*„ეს პოზიტიური შეხვედრა იყო"*, - განაცხადა დ'ენტონიმ.

61 წლის სპეციალისტმა გასული წლის ნოემბერში შეცვალა **მაიკ ბრაუნი** და იქედან მოყოლებული, „ლეიკერსმა" 13 მატჩი მოიგო და 20-ჯერ დამარცხდა.

**25 იანვარი**

**კლივლენდი-მილუოკი 113:108**

18:21, 32:38, 31:31, 32:18

კ: ირვინგი (35), ტომპსონი (18+3 დაფარება), უეიტერსი (16), ლივინგსტონი (12), სპეიტსი (10).

მ: ილიასოვა (30+7 მოხსნა), ელისი (21+9 პასი), ჯენინგსი (14+12 პასი), სანდერსი (14+11 მოხსნა).

**ჩიკაგო-გ. სტეიტი 103:87**

31:13, 32:37, 21:16, 19:21

ჩ: ჰაინრიხი (25), რობინსონი (22), ბატლერი (16+12 მოხსნა), ბუზერი (15+13 მოხსნა), ნოა (14+16 მოხსნა+3 დაფარება).

გ-ს: ლი (23), კარი (21), ტომპსონი (13+8 მოხსნა), ჯეკი (11).

**მემფისი-ბრუკლინი 101:77**

32:22, 35:22, 18:23, 16:10

მ: გასოლი (20+9 მოხსნა), კონლი (14), რენდოლფი (12+9 მოხსნა), ბეილისი (11+8 პასი+7 მოხსნა), როტენი (11), გეი (11), ჯონსონი (10).

ბ: ლოპესი (18+3 დაფარება), უილიამსი (12+6 პასი), ევანსი (11+10 მოხსნა), ჯონსონი (11).

**მაიამი-დეტროიტი 110:88**

30:31, 30:20, 24:17, 26:20

მ: უეიდი (29+7 პასი+3 ჩაჭრა), ჯეიმსი (23+7 მოხსნა+7 პასი), ბოში (14+7 მოხსნა), ლაენი (11).

დ: მონრო (31+12 მოხსნა), ბაინუმი (13), ნაითი (9).

**26 იანვარი**

**ტორონტო-კლივლენდი 98:99**

25:19, 25:27, 25:20, 23:33

ტ: ჯონსონი (18+12 მოხსნა), ანდერსონი (17), დევისი (16+9 მოხსნა), დეროზანი (15), კალდერონი (10).

კ: ირვინგი (32), სპეიტსი (17), ტომპსონი (14+8 მოხსნა+3 დაფარება), ელინგტონი (12), ზელერი (4+12 მოხსნა).

**ფილადელფია-ნიუ იორკი 97:80**

24:19, 29:22, 31:17, 13:22

ფ: ჰოლიდეი (35+6 პასი), ტერნერი (20), ნ. იანგი (20), ტ. იანგი (10).

ნ-ი: ენტონი (25+9 მოხსნა), სტაუდმაიერი (20), ჩენდლერი (6+10 მოხსნა).

**ვაშინგტონი-ჩიკაგო 86:73**

23:24, 27:20, 23:11, 13:18

ვ: ნენე (16), ოკაფორი (15+16 მოხსნა), უოლი (15+7 პასი).

ჩ: რობინსონი (19), ნოა (9+17 მოხსნა+10 პასი).

**შარლოტი-მინესოტა 102:101**

22:34, 25:24, 26:19, 29:24

შ: უოკერი (25+8 მოხსნა+8 პასი+3 ჩაჭრა), სეშენსი (23), გორდონი (18), ჰენდერსონი (15), ბიიომბო (10+13 მოხსნა).



პოლ პირსი

**ნიუ ორლეანი-ჰიუსტონი 82:100**

18:27, 22:21, 25:32, 17:20

ნ-ო: გორდონი (20), ანდერსონი (19), ამინუ (11), დევისი (10+7 მოხსნა+3 ჩაჭრა).

ჰ: ჰარდენი (30+8 პასი), პატერსონი (18+13 მოხსნა), დელფინო (14), ლინი (13+8 პასი+6 ჩაჭრა), პარსონსი (10+3 დაფარება).

**დალასი-სან ანტონიო 107:113**

20:27, 23:26, 25:35, 39:25

დ: ბობუა (19), კარტერი (17), ნოვიცკი (15), მაიო (14+7 პასი), კოლისონი (13), ბრენდი (8+13 მოხსნა).

ს-ა: პარკერი (23+10 პასი), ბლეირი (22), ნილი (18+6 პასი), სპლიტერი (13+12 მოხსნა), გრინი (11+3 ჩაჭრა), ლეონარდი (10+8 მოხსნა+4 ჩაჭრა), დიაო (10).

**საკრამენტო-ოკლაჰომა 95:105**

30:27, 21:31, 16:28, 28:19

ს: ტ. ევანსი (16), კაზინსი (14+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), ტომპსონი (14), ტორნტონი (13+4 ჩაჭრა), აუთლო (10).

ო: დურანტი (24+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), მარტინი (24), უესტბრუკი (18+14 პასი), იბაკა (14+8 მოხსნა), სეფოლოშა (10).

**ლეიკერსი-იუტა 102:84**

26:19, 21:18, 25:26, 30:21

ლ: ჰოვარდი (17+13 მოხსნა), უორლდ პისი (17), გასოლი (15+7 მოხსნა), ნეში (15), ბრაიანტი (14+9 მოხსნა+14 პასი+3 ჩაჭრა).

ი: ფეივორსი (14), ჰეივორდი (13), ჯეფერსონი (12+7 მოხსნა), მილსეპი (10+4 ჩაჭრა), ფოიე (10).

**ვაშინგტონი-მინესოტა 114:101**

29:25, 31:21, 31:27, 23:28

ვ: ჯორ. კროუფორდი (19), ბილი (16+4 დაფარება), ნენე (14+7 მოხსნა), უოლი (14), უებსტერი (13), სერაფინი (10).

მ: უილიამსი (18+11 მოხსნა), კირილენკო (17), შველაბალი (15+7 მოხსნა), რიდნური (14), ბარეა (13).

**ატლანტა-ბოსტონი 123:111 (2ო)**

10:29, 28:28, 31:16, 29:25, 9:9, 16:4

ა: კორვერი (27+3 ჩაჭრა), ჰორფორდი (24+13 მოხსნა), ტიგი (23+7 პასი+3 ჩაჭრა), სმიტი (17+14 მოხსნა+7 პასი), ჰარისი (14), ჯონსონი (11).

ბ: გარნეტი (24+10 მოხსნა), გრინი (17), რონდო (16+10 მოხსნა+11 პასი), ლი (16+7 მოხსნა), ბრედლი (14), პირსი (12), ტერი (12).

მ: რიდნური (22+7 მოხსნა+7 პასი), ბარეა (19), რუბიო (14+8 პასი+5 ჩაჭრა), სტიმსმა (11+7 მოხსნა), კირილენკო (10), კანინგემი (10).

**ჰიუსტონი-ბრუკლინი 119:106**

28:29, 34:20, 27:31, 30:26

ჰ: ჰარდენი (29+7 პასი), აშიქი (20+16 მოხსნა), პარსონსი (16+11 პასი), ლინი (14+9 პასი), დელფინო (13), მორისი (5+10 მოხსნა).

ბ: უილიამსი (27+11 პასი), ლოპესი (21+7 მოხსნა+5 დაფარება), ჯონსონი (13+6 პასი), უოლასი (11).

**მილუოკი-გ. სტეიტი 109:102**

23:26, 28:29, 35:19, 23:28

მ: ჯენინგსი (20+7 პასი), ელისი (20), ილიასოვა (18+12 მოხსნა), სანდერსი (16+11 მოხსნა+3 დაფარება), დანლივი (11), უდრიხი (10).

გ-ს: კარი (26+7 პასი), ტომპსონი (19), ლენდრი (13+14 მოხსნა), ჯეკი (13+10 პასი), ლი (12+15 მოხსნა).

**სან ანტონიო-ფინიქსი 108:99**

26:26, 33:30, 22:26, 27:17

ს-ა: პარკერი (31+7 პასი), ჯინობილი (20+3 ჩაჭრა), სპლიტერი (13+8 მოხსნა), დიაო (11), ჯექსონი (10).

ფ: ბიზლი (25), დადლი (23), ტაკერი (11+10 მოხსნა), გორტატი (9+12 მოხსნა), დრაგიჩი (9+10 პასი).

**დენვერი-საკრამენტო 121:93**

39:25, 32:24, 30:20, 20:24

დ: ლოუსონი (26+6 პასი+4 ჩაჭრა), იგუოდალა (20+7 პასი), გალინარი (14), მაკგი (12), ფარიდი (11+9 მოხსნა), კუფოსი (10).

ს: ბრუქსი (16), ტ. ევანსი (15), რობინსონი (10+10 მოხსნა), ტომასი (10).

**იუტა-ინდიანა 114:110 (ო)**

27:24, 18:24, 31:20, 22:30, 16:12

ი: ჯეფერსონი (25), მილსეპი (21+5 ჩაჭრა), ჰეივორდი (15+6 პასი+3 ჩაჭრა), ფოიე (14), ფეივორსი (11).

ი: უესტი (24+7 მოხსნა+3 დაფარება), ჯორჯი (23), ჰილი (22+9 მოხსნა+8 პასი), ჰიბერტი (14+12 მოხსნა), ოგასტინი (11).

**პორტლენდი-კლიპერსი 101:100**

25:22, 26:23, 31:31, 19:24

პ: ბატუმი (20+10 მოხსნა+12 პასი), ლილარდი (20), მეტიუზი (18+3 ჩაჭრა), ჰიქსონი (15+7 მოხსნა), ოლდრიჯი (12).

კ: გრიფინი (24+8 მოხსნა+10 პასი+4 ჩაჭრა), კროუფორდი (19), ბლედსოუ (11+9 მოხსნა), ბარნსი (11).

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# როგორც 94 წლის წინ

ახლადდაწყებულ რეგულარულ ჩემპიონატში სამი გუნდია, რომელსაც ჯერ შეხვედრა არ წაუგია. ერთ-ერთია „სან ხოსე შარქსი", რომელმაც გუშინ „კოლორადო" დაამარცხა - 4:0 და ახლა, ოთხ მატჩში ოთხი მოგება აქვს. ოთხივე შეხვედრაში დუბლის შესრულება მოახერხა „ზვიგენების" ფორვარდმა პატრიკ მარლომ და ამით მან ჰოკეის ეროვნული ლიგის ახალი ისტორია შექმნა. ბოლოს, ზედიზედ ოთხ მატჩში ორ-ორი შაიბის გატანა 1917-18 (!) წლებში შეძლო „ოტავას" ჰოკეისტმა **კაი დენენიმ**. გუშინდლამდე, მარლოს უფრო მეტი შაიბა ჰქონდა გატანილი, ვიდრე რეგულარული ჩემპიონატის ექვს გუნდს - „ფლორიდას", „ედმონტონს", „კოლამბუსს", „კალგარის", „ფილადელფიასა" და „ლოს ანჯელესს".

გუშინ, პატრიკ მარკლო დღის მეორე ვარსკვლავად დაასახელეს. პირველი ვარსკვლავის სტატუსი ერგო „ფილადელფიას" თავდამსხმელ **მეტ რიდს**, რომელმაც „ფლორიდასთან" მატჩში ჰეთ-თრიკი შეასრულა. რაც შეეხება დღის მესამე ვარსკვლავს, ეს გახლავთ „სენტ ლუისის" ფორვარდი **დევიდ პერონი**, რომლის ანგარიშზეა ორი შაიბა და ერთი შედეგიანი პასი „დალასის" წინააღმდეგ მატჩში.

### 25 იანვარი

**ბოსტონი-აილენდერსი 4:2**

1:1, 1:1, 2:0

**გოლები:** 1:0 შ. ტორნტონი-1 (პეი-1, ჰემილტონი-2), 1:1 კ. ოკუანი-2 (კ. მაკდონალდი-2, ულსტრიომი-2), 2:1 კ. ოკუანი-3, 2:2 გ. კემპბელი-1 (კრეიჩი-3, კ. კელი-1), 3:2 ხარა-1 (ლუჩიჩი-1, ჰორტონი-1), 4:2 პ. ბერჟერონი-1 (მარჩანდი-1, ჰემილტონი-3).

**ბაფალო-კაროლინა 1:3**

0:0, 0:0, 1:3

**გოლები:** 1:0 ვანეკი-3 (პომინვილი-5, ერჰოფი-3), 1:1 სიომინი-1 (ჯ. სტაალი-4), 1:2 ჰარისონი-1 (ე. სტაალი-1), 1:3 სკინერი-4 (გლისონი-1, ჰარისონი-1).

**ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი 3:2 (ო)**

1:0. 1:0, 0:2, 1:0

**გოლები:** 1:0 ს. ჯონტა-1 (ჯოზეფსონი-1, ფეინი-1), 2:0 ელიაში-1 (კლარკსონი-1, ჟიდლიცკი-2), 2:1 რიბეირო-1 (ჯ. უორდი-1, მაიკ გრინი-1), 2:2 მაიკ გრინი-1, 3:2 კოვალჩუკი-2 (ჟიდლიცკი-3, ელიაში-2).

**ტამპა ბეი-ოტავა 6:4**

1:0, 2:4: 3:0

**გოლები:** 1:0 მ. კარლი-1 (კონაჩერი-4, მ-ა. ბერჟერონი-1), 1:1 კონდრა-1 (კ. ნილი-1, გონჩარი-2), 1:2 სპეცა-2 (ალფრედსონი-2, გონჩარი-3), 1:3 ე. კარლსონი-3 (მ. მიხალეკი-3, ტარისი-1), 2:3 სტემკოსი-2 (სალო-2, სან ლუი-3), 2:4 ტარისი-4 (ალფრედსონი-3, დაუგავინსი-1), 3:4 ჰედმანი-1 (სტემკოსი-5, სან ლუი-4), 4:4 მელოუნი-2 (სალო-3, კონაჩერი-5), 5:4 მელოუნი-3 (ლეკავალიე-4, ჰედმანი-1), 6:4 პიატი-2 (სტემკოსი-6).

**დეტროიტი-მინესოტა 5:3**

0:0, 4:2, 1:1

**გოლები:** 1:0 ბრუნერი-2 (ზეტერბერგი-3, კრონვალი-3), 2:0 ბერტუცი-1 (ფილპულა-1, ბ. სმიტი-1), 2:1 პარიზე-2 (რ. სატერი-1, მ. კოივუ-3), 2:2 გილბერტი-1 (გრანლუნდი-1, ბროდინი-1), 3:2 ზეტერბერგი-1 (დაციუკი-3, ფილპულა-2), 4:2 დაციუკი-2 (კრონვალი-4, ფრანცენი-2), 5:2 ბერტუცი-2 (დაციუკი-4, ფილპულა-3), 5:3 პარიზე-3 (გილბერტი-1, მ. კოივუ-4).

**ვინიპეგი-პიტსბურგი 4:2**

0:2, 3:0, 1:0

**გოლები:** 0:1 კროსბი-2 (კუნიტცი-2, ლეტანგი-3), 0:2 კროსბი-3 (ნისკანენი-2), 1:2 ე. კეინი-2 (ველერი-2, ბაფლინი-3), 2:2 ბაფლინი-2 (ენსტრიომი-5, ლედი-2), 3:2 ლედი-2 (ლიტლი-1), 4:2 ველერი-2 (ე. კეინი-2).

**ანაჰაიმი-ვანკუვერი 0:5**

0:2, 0:1, 0:2

**გოლები:** 0:1 დ. სედინი-2 (ჰ. სედინი-3, ედლერი-2), 0:2 რეიმონდი-2 (ბაროუზი-1, ჰამჰუისი-2), 0:3 ვოლპატი-1, 0:4 კასიანი-3 (დ. სედინი-4, ჰ. სედინი-4), 0:5 რეიმონდი-3 (შრიოდერი-1).

### 26 იანვარი

**სან ხოსე-კოლორადო 4:0**

2:0, 2:0, 0:0

**გოლები:** 1:0 მარლო-7 (პაველსკი-8, დ. ბოილი-2), 2:0 მარლო-8 (ჯ. ტორნტონი-9, დ. ბოილი-3), 3:0 ჯ. ტორნტონი-2 (ქლოუ-2, მარლო-3), 4:0 ირვინი-1 (ჰავლატი-2, ქლოუ-3).

**რეინჯერსი-ტორონტო 5:2**

0:2, 1:0, 4:0

**გოლები:** 0:1 გრაბოვსკი-3 (ლაილსი-2, კულემინი-4), 0:2 ვან რიმსდიკი-3 (ლაილსი-3, მაკარტური-2), 1:2 ბ. რიჩარდსი-2 (გაბორიკი-2, ნეში-3), 2:2 მ. სტაალი-1 (დელ ზოტო-3, გაბორიკი-3), 3:2 გაბორიკი-4 (მ. სტაალი-2, ბ. რიჩარდსი-4), 4:2 ბ. ბოილი-1 (დელ ზოტო-4, სტეპანი-4), 5:2 გაბორიკი-5 (ნეში-4, ჯირარდი-2).

**კოლამბუსი-ჩიკაგო 2:3**

1:1, 0:1, 1:1

**გოლები:** 1:0 ლეტესტუ-1 (ფოლინო-1, დორსეტი-3), 1:1 ბოლანდი-3 (პ. კეინი-6), 1:2 ბიკელი-1 (ჰიალმარსონი-2, ფროლიკი-1), 1:3 ტეივზი-3 (პ. კეინი-7, მარიან ჰოსა-2), 2:3 ანისიმოვი-2 (დუბინსკი-1, იოჰანსენი-2).

**ფლორიდა-ფილადელფია 1:7**

0:3, 1:2, 0:2

**გოლები:** 0:1 სიმონდსი-2 (ტიმონენი-2, კ. ჟირუ-1), 0:2 რიდი-1 (კ. ჟირუ-2, ბრიზგალოვი-1), 0:3 მაკგინი-1 (ქობურნი-1, ფედოტენკო-1), 0:4 რიდი-2 (ქობურნი-2, ლ. შენი-1), 1:4 მიულერი-1 (ჯოვანოვსკი-1), 1:5 ლ. შენი-1, 1:6 რიდი-3 (ბ. შენი-2, ნუბლი-1), 1:7 ფედოტენკო-1 (ტელბოტი-1, მაკგინი-1).

**დალასი-სენტ ლუისი 3:4**

2:1, 0:3, 1:0

**გოლები:** 0:1 რედენი-1 (პიეტრანჯელო-4, სობოტკა-2), 1:1 ვინკური-1 (ფიდლერი-1, ნისტრიომი-1), 2:1 რაიდერი-3 (გოლიგოსკი-2, რეი უიტნი-3), 2:2 პერონი-1 (შატენკირკი-6), 2:3 კ. სტიუარტი-3 (ბერგლუნდი-2, პერონი-2), 2:4 პერონი-2 (ტარასენკო-3), 3:4 გარბუტი-1 (მოროუ-2, სკევიური-1).

**ფინიქსი-ლოს ანჯელესი 2:4**

0:0, 1:3, 1:1

**გოლები:** 0:1 კოპიტარი-1 (დ. ბრაუნი-1), 1:1 ბოდკერი-1 (ეკმან-ლარსონი-2, ვარბატა-3), 1:2 კოპიტარი-2 (ჯასტინ უილიამსი-1, მუზინი-1), 1:3 ჯ. კარტერი-2 (საიმონ განიე-1), 2:3 დოუნი-2 (კორპიკოსკი-1), 2:4 მუზინი-1 (კლიფორდი-4, დრიუსკი-1).

**კალგარი-ედმონტონი 4:3**

2:1, 2:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ბეკლუნდი-2 (კამალერი-2, სტემპნიაკი-1), 2:0 ბოუმისტერი-1 (ჯორდანო-1, სტემპნიაკი-2), 2:1 შულცი-2 (ებერლე-3, ტ. ჰოლი-3), 3:1 გლენკროსი-3 (იგინლა-3, ტანგეი-2), 3:2 ებერლე-2 (შულცი-3, ჰორკოფი-1), 4:2 სტემპნიაკი-3 (ბოუმისტერი-2, ჰუდლერი-1), 4:3 სემ განიე-2 (ნიუჯენტ-ჰოპკინსი-3, შულცი-4).

**ანაჰაიმი-ნეშვილი 3:2 (ბ)**

0:1, 1:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 0:1 იიპი-1, 1:1 რაინი-1 (სელიანე-3, ფაულერი-1), 1:2 ლეგუანდი-2 (კლაინი-2, გ. ბურკი-1), 2:2 ვინიკი-5 (პერი-3, ს. კოივუ-5).

**ბულიტები გაიტანეს:** პერი (ანაჰაიმი).

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისის თასი**

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| სტოკი-მანჩესტერ სიტი | 0:1 |
| ბოლტონი-ევერტონი | 1:2 |
| ბრაიტონი-არსენალი | 2:3 |
| დერბი-ბლექბერნი | 0:3 |
| ჰადერსფილდი-ლესტერი | 1:1 |
| ჰალი-ბარნსლი | 0:1 |
| მაკლსფილდი-უიგანი | 0:1 |
| მიდლსბრო-ალდერშოტი | 2:1 |
| ნორვიჩი-ლუტონი | 0:1 |
| ქუინზ პარკი-მილტონი | 2:4 |
| რედინგი-შეფილდი | 4:0 |
| მანჩესტერ იუნ-ფულჰემი | 4:1 |
| ბრენტფორდი-ჩელსი | 2:2 |
| ლიდსი-ტოტენჰემი | 2:1 |
| ოლდჰემი-ლივერპული | 3:2 |

**ინგლისი**

**ჩემპიონშიპი**

| | |
|---|---|
| ბრისტოლი-იფსვიჩი | 2:1 |
| ბარნლი-ბირმინგემი | 1:2 |
| ჩარლტონი-უენსდი | 1:2 |
| ნოტინგემი-უოტფორდი | 0:3 |
| ვულვზი-ბლეკპული | 1:2 |

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ბორნმუთი-ქრიუ | 3:1 |
| კარლაილი-სკანთორპი | 1:1 |
| კოლჩესტერი-უოლსოლი | 2:0 |
| ლეიტონი-ნოტსი | 2:1 |
| პორტსმუტი-ჰარტლპული | 1:3 |
| პრესტონი-ქოვენთრი | 2:2 |
| შრიუსბერი-ბერი | 0:0 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| ბარტონი-ბარნეტი | 1:0 |
| ჩესტერფილდი-საუთენდი | 0:1 |
| დაგენჰემი-მორეკამბი | 1:2 |
| ფლიტვუდი-ოქსფორდი | 3:0 |
| ჯილინგემი-იორკი | 1:1 |
| პლიმუტი-აკრინგტონი | 0:0 |
| როტერჰემი-როვერსი | 1:3 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| კემბრიჯი-გრიმსბი | 0:0 |
| ლინკოლნი-ფორესტ გრინი | 1:2 |
| ნანიტონი-ბრენტრი | 2:4 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| შატორუ-ისტრი | 2:0 |
| მონაკო-გინგამი | 2:2 |

**ნასიონალი**

| | |
|---|---|
| ბასტია-ეპინალი | 2:1 |
| ლე პუარი-მეცი | 1:1 |
| რედ სტარი-კარკეფუ | 2:1 |

**პორტუგალია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბელენენსეში-ბენფიკა B | 2:1 |
| ავეში-პორტუ B | 2:2 |
| ლეიქსოეში-ტროფენსე | 2:1 |
| სპორტინგი B-ატლეტიკო | 0:0 |
| ტონდელა-სტ. კლარა | 4:2 |
| გიმარაეში B-მარიტიმუ B | 0:1 |
| პენაფიელი-კოვილია | 2:0 |
| ნავალი-ფეირენსე | 2:0 |
| პორტიმონენსე-ფრეამუნდე | 3:0 |
| უნიაო-ბრაგა B | 0:0 |

**შოტლანდია**

**I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დამბარტონი-ჰემილტონი | 3:1 |
| დანფერმლაინი-ლივინგსტონი | 0:1 |
| ფალკირკი-ეირდრი | 4:3 |
| მორტონი-რეითი | 1:0 |
| პარტიკი-კოუდენბითი | 2:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალოა-სტრანრარი | 4:1 |
| არბროა-ფორფარი | 3:1 |
| ისტ ფაიფი-ეირი | 3:3 |

**III დივიზიონი**

| | |
|---|---|
| რეინჯერსი-მონროუზი | 1:1 |

**შოტლანდიის ლიგის თასი**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ინვერნესი-ჰართსი | 1:1 პენ. 4:5 |
| სტ. მირენი-სელტიკი | 3:2 |

**საბერძნეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ფოკიკოსი-დოქსა | 0:1 |
| ირაკლისი (ს)-ანაგენისი (ე) | 2:0 |
| კალონი-პანსერაიკოსი | 1:0 |
| კავალა-კალითეა | 1:0 |
| ოლიმპიაკოსი (ვ)-აპოლონი | 3:0 |
| პანაიტოლიკოსი-ირაკლისი (პ) | 1:2 |
| პიერიკოსი-ანაგენისი (ი) | 4:0 |
| ტრასივულოსი-ნიკი ვოლუ | 1:0 |
| ეთნიკოსი-ერგოტელისი | 0:1 |

**თურქეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბოლუ-თავშანლი | 2:2 |
| ერჩიესი-ბუკა | 0:0 |
| ქარსიაქა-შანლიურფა | 1:0 |
| ქონია-1461 ტრაბზონი | 0:4 |
| დენიზლი-ბბ გაზიანთეფი | 2:1 |
| ქართალი-მანიშა | 0:0 |
| სამსუნი-გიოზთეფე | 1:0 |
| რიზე-ადანა დემირი | 1:2 |

**კვიპროსი**

| | |
|---|---|
| ომონია-ანორთოსისი | 1:3 |
| ეთნიკოსი-აეკ | 3:0 |
| აპოლონი-ენოსისი | 0:0 |
| აიია-აეკ | 1:1 |
| ნეა სალამისი-აელ | 0:1 |
| ოლიმპიაკოსი-აპოელ | 0:2 |

**ისრაელი**

| | |
|---|---|
| მაკაბი (თ-ა)-ჰაპოელი (ა) | 4:0 |
| ბნეი შახნინი-ირონი (რ-ჰ) | 0:4 |
| ირონი (ქ-შ)-აშდოდი | 0:0 |
| მაკაბი (ნ)-ჰაპოელი (რ-გ) | 1:1 |
| ბეითარი-ბნეი იეჰუდა | 0:1 |
| ჰაპოელი (ბ-შ)-ჰაპოელი (ჰ) | 2:1 |
| მაკაბი (ჰ)-ჰაპოელი (თ-ა) | 3:0 |

**ბრაზილია**

**პაულისტა**

| | |
|---|---|
| გუარანი-პონტე პრეტა | 1:3 |
| სან პაულუ-ატ. სოროკაბა | 2:1 |
| ლინენსე-იტუანო | 0:0 |
| ოესტე-სან კაეტანო | 1:1 |
| მირასოლი-კორინთიანსი | 0:1 |
| პალმეირასი-პენაპოლენსე | 2:3 |

**ჩილე**

| | |
|---|---|
| რეინჯერსი-იტალიანო | 1:1 |
| უაჩიპატო-სან მარკოსი | 0:0 |
| ლა კალერა-ანტოფაგასტა | 2:1 |
| ატ. ნუბლენსე-ევერტონი | 1:1 |
| დეპ. იკიკე-პალესტინო | 0:0 |
| კობრელოა-კოლო კოლო | 5:2 |
| კობრესალი-უნ. ესპანიოლა | 1:2 |

**ეკვადორი**

| | |
|---|---|
| ლდუ დე ლოხა-დეპ. კიტო | 2:2 |
| ლდუ დე კიტო-უ. კატოლიკა | 2:1 |
| მანტა-ინდეპენდიენტე | 3:1 |
| დეპ. კევედო-ბარსელონა | 1:1 |
| ეს ნასიონალი-დეპ. კუენკა | 3:1 |

**მექსიკა**

| | |
|---|---|
| მორელია-ჩივასი | 1:1 |
| სანტოსი-ლეონი | 2:0 |
| კრუს ასული-პუებლა | 4:0 |
| კერეტარო-ტიგრესი | 0:2 |
| მონტერეი-სან ლუისი | 3:2 |
| ტიხუანა-პაჩუკა | 2:0 |
| ატლასი-ამერიკა | 2:1 |
| ტოლუკა-პუმასი | 0:1 |

**ავსტრალია**

| | |
|---|---|
| მელბურნ ვ-სიდნეი | 3:1 |
| ვესტერნ სიდნეი-მელბურნ ჰ | 1:0 |
| პერტი-ბრისბენი | 0:1 |
| ველინგტონი-ნიუკასლი | 1:1 |

**აფრიკის თასი**

| | |
|---|---|
| კოტ დ'ივუარი-ტუნისი | 3:0 |
| ალჟირი-ტოგო | 0:2 |
| მაროკო-ს. აფრიკა | 2:2 |
| კაბო ვერდე-ანგოლა | 2:1 |

**კალათბურთი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| სკაილაინერსი-ერტლანდი | 58:62 |
| ტრირი-ვიურცბურგი | 66:71 |
| ბერემერჰავენი-ბონი | 75:90 |
| ულმი-ბავარია | 83:75 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| ილისიაკოსი-კავალა | 82:78 (ო) |
| პანიონიოსი-დრამასი | 75:73 |
| პაოკ-ოლიმპიაკოსი | 76:71 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ბარსელონა-ბილბაო | 87:85 (ო) |
| სარაგოსა-კანარიასი | 81:67 |
| რეალი-ვალიადოლიდი | 87:75 |
| გრან კანარია-მანრესა | 65:75 |
| ესტუდიანტესი-გიპუსკოა | 79:77 |
| ხუვენტუდი-უნიკახა | 79:71 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| აველინო-ვარეზე | 82:83 (ო) |
| ვანოლი-კაზერტა | 73:74 |
| მილანი-ბოლონია | 91:68 |
| რეჯო ემილია-ვენეცია | 69:75 |
| სასარი-მონტეგრანარო | 106:90 |
| სკავოლინი-ბიელა | 89:76 |
| კანტუ-რომა | 60:65 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ფენერბაჰჩე-ერდემირი | 82:77 |
| ბანვითი-ეფესი | 82:76 |

**ხელბურთი**

**მს. ჩემპიონატი**

**კაცები. ფინალი**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-დანია | 35:19 |

**ჰოკეი**

**NHL**

| | |
|---|---|
| ვაშინგტონი-ბაფალო | 3:2 |

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ცსკა-ატლანტი | 0:2 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ვილახი-ვენა | 2:3 (ო) |
| დორნბირნი-ინსბრუკი | 4:3 |
| ზალცბურგი-ალბა | 4:5 |
| ზნოიმო-ოლიმპია | 5:1 |
| ზაგრები-ლინცი | 4:5 (ო) |
| გრაცი-კლაგენფიურტი | 1:2 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აისბარენი-ჰამბურგი | 2:0 |
| დიუსელდორფი-მიუნხენი | 2:3 |
| კიოლნი-ვოლფსბურგი | 2:1 (ო) |
| კრეფელდი-აუგსბურგი | 4:3 |
| მანჰაიმი-ჰანოვერი | 4:1 |
| შტრაუბინგი-ინგოლშტადტი | 4:3 (ო) |
| ნიურნბერგი-იზერლონი | 1:2 (ბ) |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ვოლერენგა-სტრიერნენი | 5:2 |
| სტავანგერი-ფრისკ ასკერი | 5:2 |
| ტონსბერგი-ლორენსკოგი | 0:6 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ზვოლენი-ნიტრა | 3:1 |
| კოშიცე-მარტინი | 4:1 |
| პოპრადი-ბისტრიცა | 6:5 (ო) |
| სკალიცა-ჟილინა | 2:4 |
| პიესტანი-ტრენჩინი | 1:3 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-ლიტვინოვი | 4:3 (ო) |
| კარლოვი ვარი-სლავია | 2:0 |
| ლიბერეცი-პლზენი | 6:3 |
| პარდუბიცე-კლადნო | 4:1 |
| სპარტა-ბუდეიოვიცე | 4:2 |
| ხომუტოვი-ტრშინეცი | 3:2 |
| ბრნო-ზლინი | 1:3 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ბილი-ლუგანო | 2:3 |

სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი

# მასპინძლები მარცხდებიან

მსოფლიოს თასის წლევანდელი ლიდერი და ფაქტობრივი გამარჯვებული **ტინა მაზე** ყველაზე მეტად ელოდა ეტაპს სლოვენიის მარიბორში. სეზონის ლიდერი საკუთარი პუბლიკის წინაშე უნდა გამოსულიყო და იმედოვნებდა, რომ თანამემამულეებსაც გაახარებდა მორიგი გამარჯვებით.

თუმცა მაზეს შესანიშნავად ესმოდა, რომ ამის გაკეთება რთული იქნებოდა. გიგანტურ სლალომში წელს დიდი კონკურენციაა და ამ დისციპლინაში ბოლო სტარტი სლოვენიელმა ოლიმპიურ ჩემპიონთან, გერმანელ **ვიქტორია რებენსბურგთან** წააგო. მაგრამ მაზე ვერ წარმოიდგენდა, თუ საშინაო ტრასაზე მას ამერიკელი **ლინდსი ვონი** დაამარცხებდა, რომელიც არასოდეს ბრწყინავდა გიგანტურ სლალომში.

პირველი ცდა ლინდსიმ მესამე ადგილზე დაასრულა, მეორეში კი, ტრასის შუაში დაშვებული სერიოზული შეცდომის მიუხედავად, უფრო მოუმატა. ვონის ასეთ რისკიან გამოსვლას მაზემ ვერაფერი დაუპირისპირა და მეორე ადგილზე დაასრულა ეტაპი. მესამეზე კი ავსტრიელი **ანა ფენინგერი** გავიდა, რომელმაც სერიოზული კონკურენცია ვერ გაუწია ვონსა და მაზეს, სამაგიეროდ, პოდიუმისთვის ბრძოლაში აჯობა ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს **მარია რიშს**.

**გიგანტური სლალომი**

1. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 2:22.20; 2. **ტინა მაზე** (სლოვენია) - +0.08; 3. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - +0.57; 4. **მარია რიში** (გერმანია) - +0.74; 5. **ჯესიკა ლინდელ-ვიკარბი** (შვედეთი) - +1.15; 6. **კატირ ცეტელი** (ავსტრია) - +1.32...

**საერთო ჩათვლა**

1. **ტინა მაზე** (სლოვენია) - 1554; 2. **მარია რიში** (გერმანია) - 820; 3. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 740; 4. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - 704; 5. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 651; 6. **ვიქტორია რებენსბურგი** (გერმანია) - 590...

■ ■ ■

მსოფლიოს თასის კალენდარში ბევრი კლასიკური ეტაპია, მაგრამ მათ შორის, მაინც გამორჩეულია ავსტრიის ქალაქ კიტცბუელის სტარტი შტრაიფის ლეგენდარულ ტრასაზე. გასულ უქმეებზე აქ 100 ათასი მაყურებელი შეიკრიბა იმ იმედით, რომ ეტაპს რომელიმე ავსტრიელი მოიგებდა, რაც აქ დიდი ხანია არ მომხდარა.

პირველი სტარტი სუპერ-გიგანტი იყო, რომელშიც ძალიან დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა **აქსელ-ლუნდ სვინდალმა**. ის მეორე დღეს, სწრაფდაშვებაშიც ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ დისტანციის ზედა ნაწილზე საკმაოდ ბევრი შეცდომა დაუშვა, რამაც მას მხოლოდ მეცხრე ადგილი მოუტანა.

სვინდალის ამ წარუმატებლობების შემდეგ, ავსტრიელებს თითქოს ხელი არ უნდა შეშლოდათ. ლიდერობა ხელთ იგდო **მაქს ფრანცმა** იქამდე, სანამ ტრასაზე არ გავიდა იტალიელი **დომინიკ პარისი**. ამ უკანასკნელმა სწრაფდაშვების გავლისთვის სხვა ხაზი აირჩია, ვიდრე სხვა მონაწილეებმა და ამან პარისს დიდი უპირატესობა მოუტანა კონკურენტებზე, მათ შორის, მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ **ერიკ გუეიზე**.

თუმცა ავსტრიელებმა მაინც გაიხარეს. მართალია, მაქს ფრანცი მეხუთე ადგილამდე ჩამოქვეითდა, სამაგიეროდ, **ჰანეს პაიჰელტი** ავიდა პოდიუმის მესამე საფეხურზე. გარდა ამისა, ათეულში მოხვდა ავსტრიის კიდევ ორი წარმომადგენელი - **კლაუს კრიოლი** და **გეორგ შტრაიტბერგერი**.

**სწრაფდაშვება**

1. **დომინიკ პარისი** (იტალია) - 1:57.56; 2. **ერიკ გუიე** (კანადა) - +0.13; 3. **ჰანეს რაიჰელტი** (ავსტრია) - +0.36; 4. **დავიდ პუასონი** (საფრანგეთი) - +0.60; 5. **მაქს ფრანცი** (ავსტრია) - +0.61; 6. **კლაუს კრიოლი** (ავსტრია) - +0.731...

**საერთო ჩათვლა**

1. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 935 ქულა; 2. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორვეგია) - 890; 3. **ტედ ლიგეტი** (აშშ) - 750; 4. **ფელიქს ნოიროიტერი** (გერმანია) - 646; 5. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორვატია) - 490; 5. **მანფრედ მოელგი** (იტალია) - 477...

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

# შარშანდელი ჩემპიონები


ვიქტორია აზარენკა

ბელარუსმა **ვიქტორია აზარენკამ** და სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** შეინარჩუნეს ავსტრალიის ღიაზე შარშან მოპოვებული ტიტულები.

## ვიქტორიას დღე

აზარენკასა და **ნა ლის** შორის ფინალური მატჩის წინ, ბუკმეიკერები უპირატესობას ვიქტორიას ანიჭებდნენ, მაგრამ თავდაპირველად, მათი პროგნოზი არ მართლდებოდა.

ორივეს გაუჭირდა თამაშში შესვლა. ჯერ თავისი მოწოდება წააგო ლიმ, მომდევნო გეიმში კი იგივე გააკეთა აზარენკამ. შემდეგ კი თავისი სათამაშო უპირატესობა გამოკვეთა ჩინელმა, რაც უკანა ხაზზე აქტიურობით იყო გამოწვეული. განსაკუთრებით კარგი იყო ლი მეორე მოწოდების მიღებისას. პირველ სამ საკუთარ გეიმში ბელარუსმა ვერც ერთი ქულა ვერ აილო მეორე მოწოდების დროს. მხოლოდ 2:5-ზე შეძლო ვიქტორიამ გამოცოცხლება, რითაც პირველად შეინარჩუნა საკუთარი მოწოდება, შემდეგ კი ბრეიკი გააკეთა მაშინ, როცა ლი სეტზე აწვდიდა. და მაინც, პირველ პარტიაში აზარენკას ძალიან ბევრი შეცდომა ჰქონდა და ამან მეათე გეიმში იჩინა თავი, რომელიც ბელარუსმა ორმაგი შეცდომით დაასრულა - 4:6.

პირველი სეტის ბოლოს ჩანდა, რომ ლის უკვე უჭირდა მეტოქის გამკლავება, თან ვიქტორიაც სტაბილური გახდა. ამან ის გამოიწვია, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგანი ორი ბრეიკით დაწინაურდა. ლიმ თანდათან სცადა სხვაობის შემცირება, მაგრამ სეტის შუაში ფეხი გადაიბრუნა. ჩინელმა მაშინვე სამედიცინო ტაიმაუტი მოითხოვა, მის მარცხენა ფეხს უმკურნალეს და ლიმ წარმატებით განაახლა თამაში. აზარენკა კი მოდუნდა და ზედიზედ რამდენიმე ბურთი წააგო, თუმცა დროულად დაბრუნდა თამაშში, რითაც სამმაგი ბრეიკ-პოინტი მოიგერია. ჩინელი შესანიშნავად თამაშობდა, ორი „დაფარული" სეტბოლი მოიგერია და სეტში ანგარიში გაათანაბრა, რასაც მოჰყვა სერიოზული ჩავარდნა. ბელარუსმა საკმაოდ იოლად აილო სეტში ბოლო გეიმები - 6:4.

მესამე სეტი შესანიშნავად დაიწყო აზარენკამ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ლი ველარ ჰყვებოდა ტემპში მეტოქეს, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა მართალი. ჩინელმა მალე დაიბრუნა ინიციატივა და წინ გასვლაც მოახერხა, შემდეგ კი მატჩი შეწყდა. საქმე ისაა, რომ მატჩი „ავსტრალიის დღეს" დაემთხვა, რომელსაც გრანდიოზული ფოიერვერკით აღნიშნავენ და ასეთ ხმაურში თამაშის გაგრძელება შეუძლებელია. ამ პაუზის დროს, აზარენკამ ექიმის კონსულტაცია მიიღო და ცოტა ხნით კორტიც დატოვა. თამაშის განახლებიდან პირველი გათამაშებისამ ლი ისევ დაეცა კორტზე - ისევ მარცხენა ფეხი გადაიბრუნა, თან კეფა დაარტყმა კორტზე. საქმეში ისევ ექიმები ჩაერივნენ, თან მათ უფრო ჩოგბურთელის თავი უფრო აინტერესებდათ, ვიდრე ფეხი.

და კვლავ, ჩინელი პაუზის შემდეგ უკეთ შევიდა თამაშში და ბრეიკით დაწინაურება მოახერხა, მაგრამ აზარენკამ ბრძოლის ჟინი გამოიჩინა. საერთოდ, ყოველ სეტში ბელარუსი თანდათან უმატებდა თამაშს, იმ დროს, როცა ლი ერთ დონეზე მოქმედებდა, ან უფრო უარესადაც, ვიდრე მატჩის სტარტზე. და ამის მიუხედავად, მესამე სეტში მნიშვნელოვანი უპირატესობა არავის ჰქონდა. აზარენკამ ბრეიკით დაწინაურება მოახერხა, მაგრამ ლის ჰქონდა ანგარიშის გათანაბრების შანსი.

საბოლოოდ, ამ დაძაბულ მატჩში აზარენკამ მოიგო - 4:6, 6:4, 6:3 და შეინარჩუნა შარშანდელი ტიტულიც და კლასიფიკაციაში ლიდერობაც.

**ფინალი**

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 1)**-ნა ლი (ჩინ, 6) 4:6, 6:4, 6:3.

## ჯოკოვიჩის ჰეთ-თრიკი

ნოვაკ ჯოკოვიჩისა და **ენდი მარეის** ფინალში ბრიტანელი უფრო რთულ სიტუაციაში იყო იმის გამო, რომ მეტოქეზე ერთით ნაკლები დღე დაისვენა და თან ნახევარფინალში გაცილებით რთული მატჩის გადატანა მოუხდა **როჯერ ფედერერის** წინააღმდეგ.

პირველივე გეიმიდან დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა. და არც ერთი ჩოგბურთელი არ აპირებდა თავისი გეიმის დათმობას. ამ პარტიაში ბრეიკ-პოინტები დიდი იშვიათობა იყო - მარეის მეტოქის მოწოდების აღების არც ერთი შანსი არ ჰქონია, ჯოკოვიჩმა კი ხუთი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან. ჯოკოვიჩი უფრო საინტერესოდ გამოიყურებოდა და თითქოს, ტაი-ბრეიკზე უპირატესობა მას უნდა ჰქონოდა, მაგრამ მან მთლიანად ჩააგდო მე-13 გეიმი. სერბმა ორმაგი შეცდომით დაიწყო და პირწმინდად დათმო ტაი-ბრეიკი.

განაწყენებულმა ჯოკოვიჩმა ძალიან ცუდად დაიწყო მეორე სეტი - ზედიზედ შვიდი ქულა წააგო. თუმცა ნოვაკი დროულად გამოერკვა და სამმაგი ბრეიკ-პოინტი გადაარჩინა. ამის შემდეგ, მთელი 92 (!) წუთის განმავლობაში ბრეიკ-პოინტი არ დაფიქსირებულა. თამაში ისევ თანაბარი იყო და ისევ ტაი-ბრეიკის ჯერი დადგა. და აქაც, მე-13 გეიმი მოიგო იმან, ვინც სეტის განმავლობაში მეტოქეზე სუსტად გამოიყურებოდა. აქაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ორმაგ შეცდომას, რომელიც მარეიმ 2:3-ზე დაუშვა და ველარ დაეწია მეტოქეს.

მესამე პარტიის სტარტზე მარეის დიდი ხანი მკურნალობდნენ მარჯვენა ფეხზე. თამაშის განახლების შემდეგ ნოვაკმა პრაქტიკულად მაშინვე მოიპოვა ინიციატივა, მაგრამ თავიდან ბევრ შეცდომას უშვებდა. ეს ნაკლი სერბმა სეტის ბოლოს გამოასწორა - და მან სამმაგი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა. ორი ენდიმ მოიგერია, მესამეზე კი შეცდომა დაუშვა, რის შემდეგაც ნოვაკმა ნულზე მოიგო სეტზე მოწოდება.

მეოთხე სეტის პირველ გეიმებში ენდი ახერხებდა ბრძოლას და პირველმა მიიღო ბრეიკ-პოინტი, მაგრამ ძალიან დიდი იყო ჯოკოვიჩის უპირატესობა. მესამე გეიმში ეს ბრეიკში გამოიხატა, რასაც მალე მეორე ბრეიკიც მოყვა. არ შეიძლება იმის თქმა, რომ მარეი ნაადრევად დანებდა: ჯოკოვიჩის ბოლო ორ გეიმზე მას ერთი ბურთი აშორებდა სამმაგ ბრეიკ-პოინტამდე, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოიპოვა. სერბმა დამაჯერებლად დაუსვა წერტილი ფინალს და ღია ერაში გახდა პირველი ჩოგბურთელი, ვინც ზედიზედ სამჯერ მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა.

**ფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-ენდი მარეი (ბრიტ, 3) 6:7(2), 7:6 (3), 6:3, 6:2.

**ყველა ჩემპიონი**

ერთეულები. კაცები - ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)

ქალები - ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი)

წყვილები. კაცები - ბობ ბრაიანი/მაიკ ბრაიანი (აშშ)

ქალები - სარა ერანი/რობერტა ვინჩი (იტალია)

მიქსტი - იარმილა გაიდოშოვა/მეტიუ ებდენი (ავსტრალია)

იუნიორები. ერთეულები. ვაჟები - ნიკ კირიოსი (ავსტრალია).

გოგონები - ანა კონიუხი (ხორვატია)

წყვილები. ვაჟები - ჯეი ანდრიჟიჩი/ბრედლი მუსლი (ავსტრალია)

გოგონები - ანა კონიუხი/კეროლ დაო (ხორვატია/კანადა)

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ნოვაკ ჯოკოვიჩი

ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

## აქაც დოპინგი?

26 წლის ჩეხი ჩოგბურთელი **ბარბორა ზახვალოვა** აკრძალული პრეპარატების მიღებაშია მხილებული, - იტყობინება ერთ-ერთი ჩეხური გამოცემა. ინფორმაციის თანახმად, მსოფლიოს 104-ე ჩოგნის დოპინგსინჯმა დადებითი შედეგი დააფიქსირა ერთ-ერთ პრეპარატზე, რომელიც მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს აკრძალულ სიაში შედის.

*„ჩვენ ჯერ თავს ვიკავებთ კომენტარისგან. თავდაპირველად გვსურს ოფიციალური დოკუმენტები მივიღოთ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციისგან და ეროვნული ანტისადოპინგო სააგენტოსგან"*, - ამბობს ჩოგბურთის ფედერაციის წარმომადგენელი **კარელ ტეჟკალი**.

პროფესიულ კარიერაში ბარბორა ზახვალოვას მოგებული აქვს WTA-ის ერთი ტურნირი ერთეულებში და 17-ჯერ გაუმარჯვია წყვილთა თანრიგში. დავამატებთ, რომ ჩოგბურთელს ოქტომბრის შემდეგ არ მიუღია მონაწილეობა ოფიციალურ ტურნირებში.

## მოღალატე ფედერერი

შვეიცარიის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **რენე სტამბახმა** გააკრიტიკა **როჯერ ფედერერი** იმის გამო, რომ ჩოგბურთელმა უარი თქვა დევისის თასზე ჩეხეთის ნაკრების წინააღმდეგ თამაშზე.

*„რა შემიძლია გავაკეთო, თუ მას არ სურს დევისის თასზე თამაში?! როჯერს ვერაფერს დავაძალებ. ფედერერმა იმედი გაგვიცრუა და დაგვალალატა, რადგან სამი წლის წინ დაგვპირდა, რომ რეგულარულად ითამაშებდა დევისის თასზე.*

*ჩემი აზრით, როცა ჩოგბურთელები წუწუნებენ კალენდრის გადატვირთულობის გამო, ისინი არ უნდა მიემგზავრებოდნენ სამხრეთ ამერიკაში საჩვენებელი მატჩების ჩასატარებლად"*, - ამბობს სტამბახი.

## ვენუსი პარიზიდან მოიხსნა

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ვენუს უილიამსმა** განაცხადი გამოიტანა პარიზის ტურნირიდან, რომელიც დღეს აიღებს სტარტს საფრანგეთის დედაქალაქში. როგორც გაზეთი „ეკიპი" იუწყება, მსოფლიოს 26-ე ჩოგნის უარის მიზეზი ზურგის ტრავმა გახლავთ.

*„სამწუხაროა, რომ წელს ვერ შევძლებ პარიზის ტურნირში გამოსვლას. ეს შეჯიბრი მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის მსოფლიოს რეიტინგში ძველი პოზიციების დაბრუნების კუთხით, მაგრამ დასანანია, რომ ზურგის ტრავმა არ მაძლევს თამაშის საშუალებას"*, - ამბობს ვენუსი.

აღვნიშნავთ, რომ 32 წლის ამერიკელი ასევე ვერ მიიღებს მონაწილეობას ფედერაციის თასის მატჩში იტალიის ნაკრების წინააღმდეგ.

## ესპანეთი მარტინესს ჩააბარეს

ლეგენდარული ჩოგბურთელი **კონჩიტა მარტინესი** ფედერაციის თასზე ესპანეთის ნაკრების ახალი კაპიტანი გახდა, - წერს ქვეყნის ჩოგბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი. კაპიტნის პოსტზე მარტინესმა ესპანური ჩოგბურთის მეორე ლეგენდა - **არანჩა სანჩეს-ვიკარიო** შეცვალა, რომელმაც პოსტი 2012 წლის დეკემბერში დატოვა მას შემდეგ, რაც ესპანეთმა მსოფლიო ჯგუფის პირველი რაუნდი წააგო რუსეთთან - 2:3. მარტინესს ოფიციალურად დღეს წარადგენენ, ხოლო მისი დებიუტი ესპანეთის ნაკრების კაპიტნის პოსტზე უკრაინის ნაკრების წინააღმდეგ შედგება. ეს შეხვედრა ქალაქ ალიკანტეში 9-10 თებერვალს ჩატარდება.

საჩოგბურთო კარიერის დროს, მარტინესს ხუთჯერ აქვს ესპანეთის ნაკრებთან ერთად მოგებული ფედერაციის თასი.

ჭადრაკი

## ჩემპიონი ერთი ტურით ადრე

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის რეიტინგის პირველმა ნომერმა, ნორვეგიელმა **მაგნუს კარლსენმა** ერთი ტურით ადრე გაინაღდა გამარჯვება ვეიკ-ან-ზეეს (ჰოლანდია) სუპერტურნირზე.

მე-12 ტურში კარლსენმა თეთრი ფიგურებით დაამარცხა ამერიკელი **ჰიკარი ნაკამურა**, რის შემდეგაც 9.5 ქულა დააგროვა და მეტოქეებისთვის მიუღწეველი გახდა. ნორვეგიელის უახლოეს მდევარს, სომეხ **ლევონ არონიანს** ჰოლანდიელ **ანიშ გირისთან** ყაიმის შემდეგ 8 ქულა აქვს.

ველოსპორტი

## კონტადორი ჯიროს გამოტოვებს

ცნობილმა ესპანელმა ველომრბოლმა **ალბერტო კონტადორმა**, რომელსაც აკრძალული პრეპარატის გამოყენების გამო 2010 წელს ტურ დე ფრანსზე მოპოვებული გამარჯვება ჩამოართვეს, 2013 წლის სეზონში ფრანგულ ველომარათონზე აქცენტის გაკეთება გადაწყვიტა. ამის გამო, ტურ დე ფრანსის ორგზის ჩემპიონი გამოტოვებს მეორე სახელგანთქმულ რბოლას - „ჯირო დ'იტალიას".

*„წელს ჯიროზე არ ვიქნები. მინდა 100 პროცენტით ვიყო კონცენტრირებული ტურ და ფრანსზე. იტალიური ველომარათონი განსაკუთრებული რბოლაა ჩემთვის, მაგრამ მაინც, ტურ დე ფრანსი წლის მთავარი სტარტია"*, - ამბობს კონტადორი სააგენტო „როიტერთან" კომენტარში.

## ლენსი არ დაიფიცებს

სკანდალურად ცნობილი ამერიკელი ველომრბოლის **ლენს არმსტრონგის** ადვოკატმა **ტიმოტი ჰერმანმა** განაცხადა, რომ მისი კლიენტი არ მისცემს დათქმულ ვადაში (6 თებერვლამდე) ფიცის ქვეშ ჩვენებას ამერიკის ანტისადოპინგო სააგენტოს.

*„ანტისადოპინგო სააგენტოს მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნება"*, - წერია არმსტრონგის ადვოკატის წერილში.

ამასთან, ჰერმანი მიესალმა ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირის განცხადებას იმის თაობაზე, რომ ორგანიზაცია დაიწყებს თანამშრომლობას მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოსთან, რათა უფრო ხარისხიანად მოხდეს სპორტსმენთა სისხლში აკრძალული პრეპარატის აღმოჩენა, რაც „ხელს შეუწყობს სიმართლის დადგენას".

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **ნიკოლოზ ნეფარიძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**